

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი

შრომათა კრებული

ARCHIL ELIASHVILI INSTITUTE OF CONTROL SYSTEMS
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PROCEEDINGS

ИНСТИТУТ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ ИМЕНИ АРЧИЛА ЭЛИАШВИЛИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

СБОРНИК ТРУДОВ

№23, 2019



თბილისი * Tbilisi * Тбилиси

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი

შრომათა კრებული

ყოველწლიური რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

Annual peer-reviewed scientific journal

Ежегодный рецензируемый научный журнал

**ARCHIL ELIASHVILI INSTITUTE OF CONTROL SYSTEMS
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

PROCEEDINGS

**ИНСТИТУТ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ ИМЕНИ АРЧИЛА ЭЛИАШВИЛИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА**

СБОРНИК ТРУДОВ

№23, 2019

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

შრომათა კრებულში ძირითადად დაბეჭდილია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 2019 წელს ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგები.

შრომები ეხება ინსტიტუტის სამ მთავარ მიმართულებას: მართვის თეორიას, მართვის სისტემებსა და მოწყობილობებს, მათ შორის მართვის პროცესებს ენერგეტიკულ სისტემებში, და ინფორმატიკას.

The research results carried out mainly by the institute's scientists through 2019 year are given in the proceedings.

The presented papers are related to three basic scientific topics: control theory, development of control systems and devices including control processes in energy systems, and Informatics.

Настоящий сборник трудов в основном содержит результаты исследований, проведенных научными сотрудниками института в 2019 году. Труды отражают три главных научных направления исследований института: теорию управления, разработку систем и устройств управления, в том числе управление в энергетических системах, и информатику.

მთავარი რედაქტორი

პროფ. ნ. ყავლაშვილი (სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი)

სარედაქციო კოლეგია

სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი:

თ. მაგრაქველიძე, ტ.მ.დ. (მთ. რედაქტორის მოადგილე)

ბ. შანშიაშვილი, პროფ., ტ.მ.დ. (მთ. რედაქტორის მოადგილე)

ლ. ლორთქიფანიძე, ტ.მ.კ. (მთ. რედაქტორის მოადგილე)

მ. გეგეჭკორი (პასუხისმგებელი მდივანი)

ვ. გაბისონია, ტ.მ.კ.

ო. ლაბაძე, ტ.მ.დ.

მ. მიქელაძე, აკად. დოქტორი

თ. ტროყაშვილი, ტ.მ.კ.

გ. ჩიკოძე, ფილოლ. მ.დ., ფიზ.მათ.მ.კ.

ა. ჩუტკერაშვილი, აკად. დოქტორი

ნ. მირიანაშვილი, ტ.მ.დ.

ნ. ჯავაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ა. ფრანგიშვილი, აკადემიკოსი

ზ. გასიტაშვილი, პროფესორი

ზ. წვერაძე, პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა. ბარდაველიძე, პროფესორი

იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტი, ლინცი, ავსტრია

თ. კუცია, პრივატ-დოცენტი, დოქტორი

ინსტიტუტის მისამართი:

0186 თბილისი, ე. მინდელის ქ. №10

ტელ.: (+995 32) 319871

ელ.ფოსტა: martsistem@gmail.com

ვებგვერდი: <http://gtu.ge/msi/>

გამომცემლობა შპს „მაცნე პრინტი“

ელ.ფოსტა: sakmacne@gmail.com

ნომერი ეძღვნება
აკადემიკოს მინდია სალუქვაძის ხსოვნას

The issue is dedicated to the memory of
Academician Mindia Salukvadze

Номер посвящается памяти
академика Миндия Салуквадзе



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებულის წინამდებარე ნომერი პირველია, რომელიც გამოდის აკადემიკოს მინდია სალუქვაძის მთავარი რედაქტორობის გარეშე.

2018 წლის 27 დეკემბერს ბატონი მინდია 85 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მინდია სალუქვაძე დაიბადა 1933 წლის 6 მარტს პედაგოგების, ევგენი (უჩა) სალუქვაძისა და მანონა ცინცაძის ოჯახში. მისი მშობლები 37 წლის რეპრესიებს შეეწირნენ. ობლად დარჩენილი ორი ძმა მამიდამ შეიფარა, გაზარდა, თავისი შვილებისგან არ გამოარჩია, უაღრესად მძიმე წლებისა და დიდი გაჭირვების მიუხედავად, ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლო, აღზარდა დიდებულ ადამიანებად და სათავე დაუდო მათ ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

მრავალი წინააღმდეგობის გადალახვით ბატონმა მინდიამ შექმნა თავისი უნიკალური ბიოგრაფია, რომლის მოკლე აღწერაც კი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე.

1955 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და სამუშაოდ გაანაწილეს სოხუმის ფიზიკატექნიკის ინსტიტუტში, რომელიც იმ დროს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად ითვლებოდა. ბატონმა მინდიამ, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვისა, ძალზე გაიხარა ასეთ ინსტიტუტში განაწილებით. სათანადო ორგანოებში მისი საბუთების შესწავლის შემდეგ მას უარი ეთქვა აღნიშნულ ინსტიტუტში მუშაობის

დაწყებაზე. კიდევ რამდენიმე ინსტიტუტს მიაკითხა, მაგრამ ამავე მიზეზით უარით გამოისტუმრეს. საუბედუროდ, 1937 წლის ამბები დაუძლეველ წინააღმდეგობებს უქმნიდა მას.

ამ მარცხის შემდეგ, ბატონმა მინდიამ თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. როგორც ჩანს, იგი მშვენიერი მასწავლებელი იყო და მოსწავლეთა მოწონებით სარგებლობდა. განსაკუთრებით გოგონები არ იყვნენ გულგრილნი მათზე ოდნავ უფროსი ახალგაზრდა სიმპატიური მასწავლებლის მიმართ. ეს ყოველივე იმით დაგვირგვინდა, რომ ბატონმა მინდიამ სანიმუშო ოჯახი შექმნა ...

მიუხედავად სკოლაში მუშაობისა, ბატონ მინდიას მუდმივად ჰქონდა ინტერესი მეცნიერებისადმი. მას კიდევ ჰქონდა სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობის დაწყების მცდელობა, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

საბედნიეროდ, ამ ქვეყნად არსებობენ უშიშარი, წესიერი, სამართლიანობის ზეობისათვის მებრძოლი და უაღრესად კულტურული ადამიანები. ასეთი ადამიანი ბატონი მინდიას ცხოვრების გზაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი აღმოჩნდა. ბატონი მინდია გვიამბობდა:

„როდესაც მდივანმა ბატონ ნიკო მუსხელიშვილს ჩემი მისვლის შესახებ მოახსენა, მდივანი მისი კაბინეტიდან გამოვიდა და მითხრა შებრძანდითო. მე შევედი. ბატონი ნიკო კარებთან დამხვდა, მომესალმა, მიმიყვანა მაგიდასთან, დაჯდომა შემომთავაზა, თვითონაც მიუჯდა მაგიდას და მითხრა – აბა, მიაშბეთ რა საკითხზე ხართ მოსულიო. მე ვუამბე ყველაფერი ჩემ შესახებ. მან ყურადღებით მომისმინა, დახმარებას დამპირდა, წამოდგა, კარებამდე მიმაცილა და დამემშვიდობა“.

ამ შეხვედრიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მას შეატყობინეს, რომ მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში გაიხსნა ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი (ამჟამად არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი), რომლის დირექტორი არის ბატონი არჩილ ელიაშვილი და მასთან მიდით სამსახურის თაობაზეო.

ისევ ბატონი მინდიას ნაამბობიდან:

„როდესაც ბატონი არჩილის კაბინეტში შევედი, გულთბილად შემხვდა. მთხოვა, თქვენ შესახებ მიაშბეთო. მე ყველაფერი ვუამბე, და როდესაც ვუთხარი, რომ ჩემი მშობლები 1937 წელს დახვრიტეს-მეთქი, მან მაგიდის უჯრიდან ქალაქი ამოიღო, კალამთან ერთად მომაწოდა და მითხრა: ახლავე, დაუყონებლივ დაწერეთ განცხადება სამსახურში მიღების თხოვნითო“.

ამგვარად, ბატონი მინდია გახდა ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის, როგორც თავად ამბობდა, მე-17 თანამშრომელი.

შემდეგ იყო ასპირანტურა მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტში, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, გამოქვეყნებული როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის რეიტინგულ ჟურნალებში, 5 სახელმძღვანელო, 15 მონოგრაფია, მათ შორის ამერიკაში გამოცემული ერთ-ერთი პირველი

მონოგრაფია მრავალკრიტერიული ოპტიმიზაციის სფეროში. ცნობილია ამერიკელი და რუსი მეცნიერების ინიციატივით დამკვიდრებული ტერმინები – „სალუქვადის მეთოდი“, „სალუქვადის პრინციპი“, „სალუქვადის ამოხსნა“ და სხვა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ორ ათეულზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებელი სადისერტაციო ნაშრომები.

ბატონი მინდია სალუქვადე არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, და არაერთი, მათ შორის უცხოური, აკადემიის წევრად. ის იყო ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ამავედროულად გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის სისტემების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. ბატონი მინდია იყო გ. ნიკოლაძის პრემიისა და სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი.

სამეცნიერო მუშაობას ბატონი მინდია შესანიშნავად უთავსებდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას. ის წლების განმავლობაში იყო საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე, ჩოხოსანთა საზოგადოების პრეზიდენტი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მისი, როგორც უზენაესი საბჭოს წევრის, ხელმოწერაც ამშვენებს.

გარდაცვალების შემდეგ მის მრავალ პრემიასა და ჯილდოს კიდევ ერთი შეემატა. საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 25 მაისის განკარგულებით ბატონი მინდია სალუქვადე დაჯილდოვდა ბრწყინვალეების ორდენით.

რაოდენ საამაყოა, რომ ასეთი ბიოგრაფიის მქონე საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენს ინსტიტუტს, ჯერ დირექტორის, შემდეგ კი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის რანგში. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის წარმატებებში, რომლებიც მრავლად იყო ამ წლების განმავლობაში. ბატონი მინდია იყო ინიციატორი, ხელმძღვანელი და უშუალო შემსრულებელი მრავალი აქტუალური სამეცნიერო პრობლემის, გამოკვლევის წამოწყებისა და წარმატებით გადაჭრისა. იყო უაღრესად ყურადღებიანი თანამშრომლების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ. მისი ზრუნვის შედეგი იყო ის, რომ არაერთმა ახალგაზრდამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები. ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების არცთუ მცირე რაოდენობა აღინიშნა სხვადასხვა, მათ შორის, სახელმწიფო პრემიებით. ამ წლების განმავლობაში ინსტიტუტში მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა არაერთი დიდი საერთაშორისო კონფერენცია. ბატონი მინდიას დამსახურებაა ინსტიტუტის შრომათა კრებულის ამ ფორმატით დაარსება და ყოველწლიურად გამოცემა იმ მძიმე წლებშიც კი, როდესაც ამის საშუალება მეტისმეტად მწირი იყო.

ბატონი მინდია შეურყეველ ბურჯად ედგა ინსტიტუტს და იცავდა მას სხვადასხვაგვარი შემოტევებისაგან, თუმცა ეს არ იყო იოლი საქმე და ყოველთვის ვერ ხერხდებოდა იმ მძიმე წლებში, როდესაც არაფრად მიიჩნეოდა მეცნიერის ავტორიტეტი. ჩალის ფასად გაიყიდა ინსტიტუტის უზარმაზარი შენობა. ბატონმა მინდიამ საფლავში ჩაიტანა დარდი, რომ ვერ

შემლო საგანგებოდ ინსტიტუტისთვის აშენებული შენობის თუნდაც მცირე ნაწილის შენარჩუნება.

წავიდა ჩვენგან ბატონი მინდია და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა და მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამულიშვილი, დახვეწილი ინტელიგენტი და ნამდვილი მეცნიერი. დაგვიტოვა, აგრეთვე, ათეულ წლებში გამოტარებული და მყარად დამკვიდრებული დიდებული ტრადიციები, რომელთაც სათავე დაუდო ინსტიტუტის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა ბატონმა არჩილ ელიაშვილმა.

მუდამ გვემახსოვრება ბატონი მინდიას ნათელი, ღიმილიანი სახე, ინსტიტუტისათვის გაწეული უდიდესი ამაგი და უაღრესად კეთილი დამოკიდებულება ადამიანებისადმი.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის
მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები*

ინსტიტუტის შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგია

სარჩევი – Contents – Содержание

მართვის თეორია – Control Theory – Теория Управления

Frequency domain identification of block-oriented nonlinear systems	15
<i>B. Shanshiashvili, N. Kavlashvili, N. Dadiani, K. Omiadze</i>	
დისკრეტული ოპტიმიზაციის ერთი ამოცანის მათემატიკური მოდელი განუზღვრელობის პირობებში.....	24
<i>ქ. კუთხაშვილი</i>	
On One Problem of Plant Location.....	29
<i>D. Sikharulidze, V. Gabisonia, N. Dadiani</i>	

მართვის სისტემები და მოწყობილობები – Control Systems and Devices – Системы и устройства управления

დიდი მუდმივი დენის კალიბრატორის აგება ინვერტორის გამოყენებით	37
<i>ნ. ყავლაშვილი, ლ. გვარამაძე, ო. ლაბაძე, პ. სტავრიანიძე, თ. საანიშვილი, გ. კიკნაძე</i>	
Study of synergy of insecticidal formulations against BMSB using the mathematical isobole method	42
<i>A. Chirakadze, N. Kavlashvili, Z. Buachidze, N. Meskhi, A. Gigineishvili, A. Jishiashvili, A. Laperishvili, L. Zazadze, N. Khuskivadze, I. Khomeriki, M. Taktakishvili</i>	
Микросистемы массового обслуживания с ремонтом и заменой отказавших элементов	48
<i>В. Хуцишвили</i>	
მომავალ ათწლეულებში საქართველოს ელექტროენერჯით დაკმაყოფილების ზოგიერთი საკითხის შესახებ.....	53
<i>ხ. ლომიძე, მ. ჯანიკაშვილი, ი. არჩვაძე</i>	
თბოგამცემი ზედაპირის ხორკლიანობის შევრილების სიმალლის გავლენა თბოგაცემის ინტენსიფიკაციაზე ვერტიკალურ მილზე წყლის აფსკის ჩამოდინების დროს.....	60
<i>თ. მაგრაქველიძე, გ. გიგინეიშვილი, ა. მიქაშაძე, ტ. კობერიძე, ხ. ლომიძე</i>	
მუსიკალური ინსტრუმენტების ავტომატური აწყობა.....	65
<i>თ. ტროყაშვილი, გ. ურუშაძე, ნ. შენგელია, ნ. დოლონაძე</i>	
მრავალსახსრული სამრეწველო რობოტი ადაპტური მართვის სისტემით	68
<i>დ. ფურცხვანიძე, ო. ლაბაძე, ვ. ბახტაძე, ქ. კვირიკაშვილი, მ. გეგეჭკორი</i>	
ახალი ტიპის მრავალსახსრიანი რობოტი.....	75
<i>დ. ფურცხვანიძე, ო. ლაბაძე, პ. სტავრიანიძე, ვ. ბახტაძე, გ. კიკნაძე</i>	

ინტერპოლირების ამოცანის გადაწყვეტა Matlab-ის საშუალებით	81
<i>დ. ცინცაძე, ქ. ოშიაძე</i>	
აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში არსებული მეორეული ენერგორესურსების მოხმარება თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით	85
<i>ნ. მირიანაშვილი, ნ. გპელიშვილი, ქ. კვირიკაშვილი, ვ. ხათაშვილი</i>	

ინფორმატიკა – Informatics – Информатика

ენის დინამიკის ზოგი ასპექტი	93
<i>გ. ჩიკოიძე</i>	
Interactive Synthesis of Georgian Sentence	105
<i>G. Chikoidze, N. Javashvili, A. Chutkerashvili</i>	
Morphological Analyzer of Georgian Language Subsystems	115
<i>L. Lortkipanidze, L. Makrakhidze</i>	
Derivation Models According to Otar Tchiladze Text Corpus	119
<i>N. Javashvili, A. Chutkerashvili</i>	
Модель автоматического грузино-английского перевода «сентенциальных примитивов» содержащих имя прилагательное	126
<i>Н. Амirezашвили, Л. Самсонадзе</i>	
გამოწვეული ოტოაკუსტიკური ემისიის პარამეტრების ცვალებადობა და მეტყველებითი აუდიომეტრიის მონაცემები სმენის ლატენტური დაქვეითების ჩამოყალიბების პროცესში	130
<i>ნ. სარალიძე, ნ. სვანიძე, ა. თუშიშვილი, ნ. შარაშენიძე</i>	
სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის შემუშავება ასოციაციების ძიების საფუძველზე	136
<i>მ. მიქელაძე, ვ. რაძიევსკი, ნ. ჯალიაბოვა, ნ. ანანიაშვილი, დ. რაძიევსკი</i>	
სამედიცინო ცოდნის ბაზაში ახალი კანონზომიერებების გამოვლენა და მათი გამოყენება დიაგნოსტიკის და პროგნოზირების ამოცანების ამოხსნისას	142
<i>ვ. რაძიევსკი, მ. მიქელაძე, დ. რაძიევსკი, ი. ოკონიანი</i>	
სამედიცინო დიაგნოსტიკის არაფორმალიზებული ამოცანები და მათი ამოხსნის მეთოდები	148
<i>ვ. რაძიევსკი, მ. მიქელაძე, დ. რაძიევსკი, ი. ოკონიანი</i>	
ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდი პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზების იდენტიფიცირებისათვის	152
<i>მ. ხაჩიძე, მ. ცინცაძე, მ. არჩუაძე, გ. ბესიაშვილი</i>	
მრავალფუნქციური პროგრამული სისტემები სპორტის მენეჯმენტში	158
<i>მ. ხაჩიძე, დ. ხაჩიძე</i>	

დიდი მონაცემების გამოყენება ცოდნის ხარისხის ამაღლების მიზნით.....	165
<i>პ. ქარჩავა, ლ. სიხარულია</i>	
საუბრიდან ტექსტის ამოცნობის ტექნოლოგია	171
<i>ა. კობიაშვილი, ნ. დარჩიაშვილი, მ. გეგეჭკორი</i>	
პროგრამული უზრუნველყოფის მოდულური ტესტირება	178
<i>ა. კობიაშვილი, თ. ვეკუა</i>	
უცხოური ენის შესწავლის გაუმჯობესება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით	184
<i>ვ. ველიაშვილი, ე. ჩიკაშუა</i>	

ხსოვნა - Memory – Память

თამაზ ტროყაშვილი	191
------------------------	-----

მართვის თეორია

CONTROL THEORY

ТЕОРИЯ УПРАВЛЕНИЯ

Frequency domain identification of block-oriented nonlinear systems

*Besarion Shanshiashvili, Nugzar Kavlashvili, Nugzar Dadiani,
Ketevan Omiadze*

*besoshan@hotmail.com, nkavlash@gmail.com, nugzar_dadiani@yahoo.com,
Komiadze@mail.ru*

Abstract

The problem of parameter identification of block-oriented nonlinear dynamic systems in the frequency domain is considered. Method of parameter identification in steady state at the input sinusoidal influences is proposed. The solution of the problem of parameter identification is reduced to the solution of the systems of algebraic equations by using the Fourier approximation. The parameters estimations are received by the least squares method. Reliability of the received results in industrial conditions at the presence of noise, depends on the accuracy of the measurement of system input and output signals and mathematical processing of the experimental data at the approximation.

Key words:

nonlinear system, block-oriented model, identification, parameter, sinusoidal.

1. Introduction

Basis of automation of any industrial system is the presence of the information on a condition of the system in the form of mathematical model.

One of the main trends of control theory - system identification is supposed to build optimal system model based on observations system input and output variables at the time of real operation of the system.

The systems identification is connected with the solution of different problems depending on the a priori information about the system. The construction of the system's adequate model in many respects is determined by solving the parameter identification problem.

The problem of parameter identification of systems is solved based on a posteriori information by different approaches and methods.

The majority of the real industrial dynamic systems are nonlinear and possess many "inconvenient" features from the point of view of their control. Such systems can be adequately characterized only by nonlinear models on all working area of change of variables.

The nonlinear systems are generally represented by the block-oriented models [1] consisting of different modifications of the Hammerstein and Wiener models, or general models, in particular, the Volterra [2] and Wiener [3] series and the Kolmogorov-Gabor continuous and discrete polynomials [4-5].

Different modifications of the Hammerstein and Wiener models consist of different combinations of connections of linear dynamic and nonlinear static blocks. Such models are successfully used in many fields of the industrial processes (modelling of ball-tube mills of the concentrating factory, distillation columns, hydraulic actuators, electrical water-heater process, heat transfer process, etc.).

At the representation of nonlinear systems by the block-oriented models, most of the existing developed methods of parameter identification is developed for the simple Hammerstein and Wiener models (e.g. [6-9]). Comparatively small quantity of works is devoted to the identification of parameters of other block-oriented models (e.g. [10-12]). This can be explained by the fact that the majority of such models, except for the Hammerstein models (simple and generalized) are nonlinear relative to the parameters, and because of the big number of estimated parameters. So, for example, the number of estimated parameters of the simple Wiener-Hammerstein cascade model with the nonlinear elements in the form of polynomial functions of n degree and linear dynamic elements described by the differential equations of m_1 and m_2 order, is equal to $n + m_1 + m_2 + 3$. Therefore, the solution of the problem of parameter identification is analytically possible only for some block-oriented low order models.

In this work the problem of parameter identification is considered on the set of models, elements of which are simple Hammerstein and Wiener models, Wiener-Hammerstein and Hammerstein-Wiener cascade models with nonlinear elements in the form of polynomial functions of second degree and linear elements described by the ordinary differential equation of first and second order. Despite their simplicity, such models are widely used for the modelling of industrial processes.

It should be noted that the problem of parameter identification considered in this work can be connected directly with the problem of structure identification using the experimental data, received for solving the problem of structure identification based on a posteriori information application (e.g. [13]).

2. Classes of models and input signals

The problem parameter identification is considered on the following class of continuous block-oriented models:

$$L = \{s_i | i = 1, 2, 3, 4\}, \quad (1)$$

where s_1 is the simple Hammerstein model, s_2 - the simple Wiener model, s_3 - simple Wiener-Hammerstein cascade model and s_4 - simple Hammerstein-Wiener cascade model (Fig. 1).

The nonlinear static elements, which are included in the models are described by finite degree polynomial functions:

$$f(u) = f_1(u) = \sum_{i=0}^n c_i u^i(t), \quad f_2(x) = \sum_{j=0}^m d_j x^j(t), \quad (2)$$

where c_i ($i = 0, 1, \dots, n$), d_j ($j = 0, 1, \dots, m$)- constant coefficients.

$W(p)$ and $W_i(p)$ ($i = 1, 2$) are transfer functions of the linear dynamic systems in the operational form, i.e. p denotes the differentiation operation - $p \equiv d/dt$. $u(t)$ and $y(t)$ are input and output variables, correspondingly.




Fig.1. Block-oriented models: 1) simple Hammerstein model; 2) simple Wiener model; 3) simple Wiener-Hammerstein cascade model; 4) simple Hammerstein -Wiener cascade model.

The linear dynamic elements included in the class of block-oriented models, are assumed to be steady, i.e. the roots of their characteristic equations are placed in left half plane of the roots plane.

Models of the set L are generally described by the following equations:

- **Simple Hammerstein model**

$$y(t) = W(p) \sum_{i=1}^n c_i u^i(t); \quad (3)$$

- **Simple Wiener model**

$$y(t) = c_0 + \sum_{i=1}^n c_i [W(p)u(t)]^i; \quad (4)$$

- **Simple Wiener-Hammerstein cascade model**

$$y(t) = W_2(p) \sum_{i=0}^n c_i [W_1(p)u(t)]^i; \quad (5)$$

- **Simple Hammerstein -Wiener cascade mode**

$$y(t) = \sum_{j=1}^m d_j \left[W(p) \sum_{i=1}^n c_i u^i(t) \right]^j. \quad (6)$$

For solving the problem of parameter identification of nonlinear systems on the basis of the active experiment it is supposed, that the input variable of the system $u(t)$ is a sinusoidal function:

$$u(t) = A \cos \omega t. \quad (7)$$

3. The Mathematical Description of the Forced Oscillation

When the harmonic signal acts on the input of the nonlinear block-oriented system, the forced oscillation with features for different models is obtained at the output of the system in the steady state after the termination of the transient process.

When a sinusoidal signal acts on the input of the linear element, then at the output of the element in the steady state the sinusoidal signal with same frequency and with the amplitude and phase, which depends on the frequency, is obtained. In this case, the periodic signal is obtained on the output of nonlinear static element, which is the sum of the sinusoidal signals with multiple frequencies. These facts were used to determine analytical expressions of the forced oscillations on the output of models.

Let's consider the case when the transfer functions of the model's linear dynamic parts are defined by the expression:

$$W_i(p) = \frac{1}{T_{0i} p^2 + T_i p + 1} \quad (i=1,2), \quad (8)$$

where $T_{0i} > 0 (i=1,2)$ has a dimension of time square, and $T_i > 0 (i=1,2)$ - a dimension of time, and in (2) $n = m = 2$.

The forced oscillations, obtained at the output of the models in the steady state, as in case when $T_i > 2\sqrt{T_0}$ ($i=1,2$) and $T_i < 2\sqrt{T_0}$ ($i=1,2$), are determined by the expressions:

- **Simple Hammerstein model**

$$y(t) = c_0 + \frac{c_2}{2} A^2 + \frac{c_1 A}{\sqrt{(1-\omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2}} \cos(\omega t + \varphi_{11}) + \frac{c_2 A^2}{2\sqrt{(1-4\omega^2 T_{01})^2 + 4\omega^2 T_1^2}} \cos(2\omega t + \varphi_{21}), \quad (9)$$

where

$$\varphi_{1i} = -\arctg \frac{\omega T_i}{1-\omega^2 T_{0i}}, \quad \varphi_{2i} = -\arctg \frac{2\omega T_i}{1-4\omega^2 T_{0i}} \quad (i=1,2). \quad (10)$$

From (10), taking into account (11), after a series of transformations we obtain:

$$y(t) = c_0 + \frac{1}{2} A^2 + \frac{A(1-\omega^2 T_{01})}{(1-\omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2} \cos \omega t + \frac{A\omega T_1}{(1-\omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2} \sin \omega t + \frac{c_2 A^2 (1-4\omega^2 T_{01})}{2[(1-4\omega^2 T_{01})^2 + 4\omega^2 T_1^2]} \cos 2\omega t + \frac{c_2 A^2 \omega T_1}{(1-4\omega^2 T_{01})^2 + 4\omega^2 T_1^2} \sin 2\omega t. \quad (11)$$

- **Simple Wiener simple model**

$$y(t) = c_0 + \frac{c_2 A^2}{2[(1-\omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2]} + \frac{c_1 A(1-\omega^2 T_{01})}{(1-\omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2} \cos \omega t + \frac{c_1 A \omega T_1}{(1-\omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2} \sin \omega t +$$

$$+ \frac{c_2 A^2 \left[(1 - \omega^2 T_{01})^2 - \omega^2 T_1^2 \right]}{2 \left[(1 - \omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2 \right]^2} \cos 2\omega t + \frac{c_2 A^2 (1 - \omega^2 T_{01}) \omega T_1}{\left[(1 - \omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2 \right]^2} \sin 2\omega t ; \quad (12)$$

• **Simple Wiener-Hammerstein cascade model**

To simplify the calculations, we will suppose that in expression (2): $n = 2$, $c_0 = c_1 = 0$, $c_2 = c$ and in (8): $T_{0i} = 0$ ($i = 1, 2$), then after calculation we will receive:

$$y = \frac{cA^2}{2(1 + \omega^2 T_1^2)} + \frac{cA^2(1 - \omega^2 T_1^2 - 4\omega^2 T_1 T_2)}{2(1 + \omega^2 T_1^2)^2(1 + 4\omega^2 T_2^2)} \cos 2\omega t + \frac{cA^2 \left[(1 - \omega^2 T_1^2) \omega T_2 + \omega T_1 \right]}{2(1 + \omega^2 T_1^2)^2(1 + 4\omega^2 T_2^2)} \sin 2\omega t ; \quad (13)$$

• **Simple Hammerstein -Wiener cascade model**

After supposing that in expressions (2), (3): $n = 2$, $c_0 = c_1 = d_0 = d_1 = 0$, $c_2 = d_2 = 1$ and in (8): $T_{0i} = 0$ ($i = 1$) and $T_1 = T$, then we will receive:

$$y = \frac{A^4}{4} + \frac{A^4 + 4A^4 \omega^2 T^2}{8(1 + 4\omega^2 T^2)^2} + \frac{A^4}{2(1 + 4\omega^2 T^2)} \cos 2\omega t + \frac{A^4 \omega T}{1 + 4\omega^2 T^2} \sin 2\omega t + \frac{A^4 - 4A^4 \omega^2 T^2}{8(1 + 4\omega^2 T^2)^4} \cos 4\omega t + \frac{A^4 \omega T}{2(1 + 4\omega^2 T^2)^2} \sin 4\omega t . \quad (14)$$

4. Parameter identification

Let's consider the features for the parameters estimation of models by the method using the Fourier approximation by the method of the least squares.

4.1.1. Simple Hammerstein model

The application of the Fourier approximation [14] for the output periodic signal of the system enables to obtain the estimates of the Fourier coefficients $\frac{a_0}{2}$, a_k , b_k , ($k = 1, 2$). Equating such estimates with their theoretical values we'll get:

$$\frac{\hat{a}_0}{2} = c_0 + \frac{1}{2} c_2 A^2 , \quad (15)$$

$$\hat{a}_1 = \frac{c_1 A (1 - \omega^2 T_{01})}{(1 - \omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2} , \quad \hat{b}_1 = \frac{c_1 A \omega T_1}{(1 - \omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2} , \quad (16)$$

$$\hat{a}_2 = \frac{c_2 A^2 (1 - 4\omega^2 T_{01})^2}{2 \left[(1 - 4\omega^2 T_{01})^2 + 4\omega^2 T_1^2 \right]} , \quad \hat{b}_2 = \frac{c_2 A^2 \omega T_1}{(1 - 4\omega^2 T_{01})^2 + 4\omega^2 T_1^2} . \quad (17)$$

Using the expressions (16) and (17) at different frequencies $\omega = \omega_i$ ($i = 1, 2, K, n$), we obtain the dependence between the parameters T_{01} and T_1 :

$$\omega_i^2 T_{01} + \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i T_1 + \varepsilon_{1i} = 1 \quad (i = 1, 2, \dots, n), \quad (18)$$

$$4\omega_i^2 T_{01} + 2 \frac{\hat{a}_{2i}}{\hat{b}_{2i}} \omega_i T_1 + \varepsilon_{2i} = 1 \quad (i = 1, 2, \dots, n), \quad (19)$$

where $\hat{a}_{1i}, \hat{b}_{1i}, \hat{a}_{2i}, \hat{b}_{2i}$ ($i = 1, 2, K, n$) - values of the Fourier coefficients at the frequency ω_i , $\varepsilon_{1i}, \varepsilon_{2i}$ ($i = 1, 2, K, n$) - errors of measurements and approximations.

Let's consider the features for T_{01} and T_1 parameters estimation by the method of least squares using the expression (18).

The error squared sum is

$$S = \sum_{i=1}^n \varepsilon_{li}^2 = \sum_{i=1}^n \left(1 - \omega_i^2 T_{01} - \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i T_1 \right)^2. \quad (20)$$

Now we'll determine the values of the estimates \hat{T}_{01} and \hat{T}_1 so that their substitution for T_{01} and T_1 should give the minimal value S in the equation (20). For that purpose differentiating (20) at first by T_{01} and then by T_1 , and equating the received results to zero, we'll obtain the following expressions for estimating \hat{T}_{01} and \hat{T}_1 :

$$\begin{aligned} \sum_{i=1}^n \omega_i^4 T_{01} + \sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i^3 T_1 &= \sum_{i=1}^n \omega_i^2, \\ \sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i^3 T_{01} + \sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}^2}{\hat{b}_{1i}^2} \omega_i^2 T_1 &= \sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i. \end{aligned} \quad (21)$$

The solution of the system of equations (21) allows obtaining the estimates of the parameters \hat{T}_{01} and \hat{T}_1 using the method of the least squares:

$$\hat{T}_{01} = \frac{\left(\sum_{i=1}^n \omega_i^2 \right) \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}^2}{\hat{b}_{1i}^2} \omega_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i \right) \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i^3 \right)}{\left(\sum_{i=1}^n \omega_i^4 \right) \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}^2}{\hat{b}_{1i}^2} \omega_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i^3 \right)^2}, \quad (22)$$

$$\hat{T}_1 = \frac{\left(\sum_{i=1}^n \omega_i^4 \right) \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i \right) - \left(\sum_{i=1}^n \omega_i^2 \right) \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i^3 \right)}{\left(\sum_{i=1}^n \omega_i^4 \right) \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}^2}{\hat{b}_{1i}^2} \omega_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n \frac{\hat{a}_{1i}}{\hat{b}_{1i}} \omega_i^3 \right)^2}. \quad (23)$$

Estimates \hat{T}_{01} and \hat{T}_1 also can be also obtained by using expression (19). If we know the values of estimates \hat{T}_{01} and \hat{T}_1 it is possible to obtain estimates of parameters \hat{c}_0 , \hat{c}_1 and \hat{c}_2 by using the expressions (15), (16), (17).

4.1.2. Simple Wiener model

Equating the estimates of the Fourier coefficients $\frac{a_0}{2}$, a_k , b_k , ($k=1,2$) to their theoretical values we obtain:

$$\frac{a_0}{2} = c_0 + \frac{c_2 A^2}{2 \left[(1 - \omega^2 T_{02})^2 + \omega^2 T_2^2 \right]}. \quad (24)$$

The coefficients a_1 and b_1 in that case are determined by the expressions (16), and

$$\hat{a}_2 = \frac{c_2 A^2 \left[(1 - \omega^2 T_{01})^2 - \omega^2 T_1^2 \right]}{2 \left[(1 - \omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2 \right]^2}, \quad \hat{b}_2 = \frac{c_2 A^2 (1 - \omega^2 T_{01}) \omega T_1}{\left[(1 - \omega^2 T_{01})^2 + \omega^2 T_1^2 \right]^2}. \quad (25)$$

\hat{T}_{01} and \hat{T}_1 estimates by the method of the least squares are determined by the expressions (22) and (23), and the estimates of the parameters \hat{c}_0 , \hat{c}_1 and \hat{c}_2 - by the expressions (16), (24) and (25).

4.1.3. Simple Wiener-Hammerstein cascade model

Equating the estimate of the Fourier coefficient $\frac{\hat{a}_0}{2}$ of the output periodic signal to its theoretical value from (13), after series of operations according to the least squares method and transformations we'll get system of equation for estimating \hat{c} and \hat{T}_0 :

$$\begin{aligned} A^2 n \hat{c} - \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right) \hat{T}_0 &= \sum_{i=1}^n \hat{a}_{0i}, \\ A^2 \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right) \hat{c} - \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^4 \right) \hat{T}_0 &= \sum_{i=1}^n \hat{a}_{0i}^2 \omega_i^2, \end{aligned} \quad (26)$$

where $T_0 = T_1^2$.

The solution of the system of equations (26) allows obtaining the estimates of the parameters \hat{c} and \hat{T}_1 by the least squares method:

$$\hat{c} = \frac{\left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \right) \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^4 \right) - \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right)^2}{A^2 n \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^4 \right) - A^2 \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right)^2}, \quad (27)$$

$$\hat{T}_1 = \sqrt{\frac{n \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right) - \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \right) \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right)}{n \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^4 \right) - \left(\sum_{i=1}^n \hat{a}_{0i} \omega_i^2 \right)^2}}. \quad (28)$$

After receiving estimate \hat{T}_1 using expression of ratio:

$$\frac{\hat{a}_2}{\hat{b}_2} = \frac{1 - \omega^2 T_1^2 - 4\omega^2 T_1 T_2}{(1 - \omega^2 T_1^2) \omega T_2 + \omega T_1}, \quad (29)$$

it is possible to obtain the estimate of the parameter T_2 by the least squares method:

$$\hat{T}_2 = \frac{\sum_{i=1}^n \left(\hat{a}_{2i} \omega_i^3 \hat{T}_1^2 - 4\hat{b}_{2i} \omega_i^2 \hat{T}_1 \right) \left(\hat{a}_{2i} - \hat{b}_{2i} + \hat{a}_{2i} \omega_i \hat{T}_1 + \hat{b}_{2i} \omega_i^2 \hat{T}_1^2 \right)}{\sum_{i=1}^n \left(\hat{a}_{2i} \omega_i^3 \hat{T}_1^2 - 4\hat{b}_{2i} \omega_i^2 \hat{T}_1 \right)}. \quad (30)$$

4.1.4. Simple Hammerstein -Wiener cascade model

Equating the estimate of the Fourier coefficient \hat{b}_2 of the output periodic signal to its theoretical value from (14)

$$\hat{b}_2 = \frac{A^4 \omega T}{1 + 4\omega^2 T^2}, \quad (31)$$

after series of operations we'll get system of equation at the different frequencies $\omega = \omega_i (i = 1, 2, K, n)$ for estimating \hat{T} :

$$A^4 \left(\sum_{i=1}^n \omega_i^2 \right) T - \left(4 \sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^3 \right) \hat{T}_0 = \sum_{i=1}^n \hat{b}_{2i} \omega_i, \quad (32)$$

$$A^4 \left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i} \omega_i^3 \right) T - \left(4 \sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^4 \right) \hat{T}_0 = \sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^2.$$

The solution of the system of equations (32) allows obtaining the estimate of the parameter \hat{T} :

$$\hat{T} = \frac{\left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i} \omega_i \right) \left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^4 \right) - \left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^3 \right) \left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i} \omega_i^2 \right)}{A^4 \left[\left(\sum_{i=1}^n \omega_i^2 \right) \left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^4 \right) - \left(\sum_{i=1}^n \hat{b}_{2i}^2 \omega_i^3 \right)^2 \right]}. \quad (33)$$

Using expression of estimate of Fourier coefficient \hat{a}_2 from (14) we obtain another estimate \hat{T} :

$$\hat{T} = \sqrt{\frac{2 \sum_{i=1}^n \hat{a}_{2i}^2 \omega_i^2 - A^4 \sum_{i=1}^n \hat{a}_{2i} \omega_i^2}{8 \sum_{i=1}^n \hat{a}_{2i}^2 \omega_i^4}}. \quad (34)$$

5. Investigation of the identification method on accuracy

According to developed method of parameter identification algorithms of parameter identification of nonlinear systems have been designed. In order to use of the designed algorithms of parameter identification in the industrial conditions under noise and disturbances, it is necessary to investigate identification method on accuracy.

The identification method is investigated by theoretical analysis and computer modelling. The investigation of the algorithms of the parameter identification was carried out by means of the computer modelling based on using MATLAB.

We used both, the tool of package Simulink-toolbox for the system modelling and tool Symbolic Math Toolbox for the solution of the equations.

For example, scheme for simple Wiener model is given here.




Fig. 2. Scheme for simple Wiener model

The reliability of the received results, at the parameter identification of nonlinear systems of industrial processes conditions in the presence of noise and errors, depends on the measurement accuracy

of the systems' input and output signals and on the mathematical processing of the experimental data at the approximation. Besides, as it is known, that used method of the least squares is noiseless.

6. Conclusion

In this work the problem of parameter identification is considered on the set of models, elements of which are simple Hammerstein and Wiener models, Wiener-Hammerstein and Hammerstein-Wiener cascade models with nonlinear elements in the form of polynomial functions of second degree and linear elements described by the ordinary differential equation of first and second order. Despite their simplicity such models are widely used for the modelling of industrial processes.

The solution of the problem of parameter identification for the majority of block - oriented models is complicated due to the nonlinearity of such models relative to the sought parameters.

Proposed method of parameter identification in steady state based on the observation of the system's input and output variables at the input sinusoidal influences is proposed. The solution of the problem of parameter identification is reduced to the solution of the algebraic equations systems by using the Fourier approximation. The parameters estimations are received by the least squares method. Reliability of the received results depends on the accuracy of the measurement of system output signals and mathematical processing of the experimental data at the approximation.

Developed parameter identification method can be used for the modelling of nonlinear industrial processes when the model structure is known a priori. As the estimations of parameters are received by the least squares method, which is noiseless, it can be used in the industrial conditions in the presence of the noise and measurement errors. The specification of the method of identification allows to use Fourier coefficients of various harmonics to estimate the parameters and compare the received results.

ბლოკურად ორიენტირებული არაწრფივი სისტემების იდენტიფიკაცია სიხშირულ არეში

ბესარიონ შანშიაშვილი, ნუგზარ ყავლაშვილი, ნუგზარ დადიანი, ქეთევან ომიადე

რეზიუმე

განხილულია ბლოკურად ორიენტირებული არაწრფივი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა სიხშირულ არეში. შემოთავაზებულია პარამეტრული იდენტიფიკაციის მეთოდი დამყარებულ რეჟიმში სისტემის შემავალი სინუსოიდური ზემოქმედების დროს. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანის გადაწყვეტა ფურიეს აპროქსიმაციის გამოყენებით დაიყვანება ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე. პარამეტრების შეფასებები მიიღება უმცირესი კვადრატების მეთოდით. მიღებული შედეგების საიმედოობა სამრეწველო პირობებში ხმაურის არსებობის პირობებში დამოკიდებულია სისტემის შემავალი და გამომავალი სიგნალების გაზომვისა და ექსპერიმენტული მონაცემების მათემატიკური დამუშავების სიზუსტეზე.

Идентификация блочно-ориентированных нелинейных систем в частотной области

Виссарион Шаншиашвили, Нугзар Кавлашвили, Нугзар Дадиани, Кетеван Омиадзе

Резюме

Рассматривается задача параметрической идентификации блочно-ориентированных нелинейных динамических систем в частотной области. Предложен метод параметрической

идентификации в установившемся режиме при входных синусоидальных воздействиях. Решение проблемы идентификации параметра приводится к решению систем алгебраических уравнений при применении аппроксимации Фурье. Оценки параметров получены методом наименьших квадратов. Надежность полученных результатов в промышленных условиях при присутствии шума, зависит от точности измерения сигналов входа и выхода системы и математической обработки экспериментальных данных при аппроксимации.

ლიტერატურა - References – Литература

1. Haber R & Keviczky L Identification of nonlinear dynamic systems. In: Preprints of the IV IFAC Symposium on Identification and System Parameter Estimation, part 1., Moscow, Institute of Control Sciences, 1976, pp. 62-112.
2. Volterra V. Theory of Functionals and of Integral and Integro-Differential Equations. New York, Dover Publ., 1959.
3. Wiener N. Nonlinear Problems in Random Theory. New York, Wiley, 1958.
4. Kolmogorov A. N. Interpolation and extrapolation of stationary random series. Bulletin of the Academy Sciences of USSR, Mathematical series. No. 5, 1941, pp. 3-14.
5. Gabor L, Wilby PL. & Woodcook R. A universal nonlinear filter predictor and simulator which optimizes itself by a learning process. In: Proc. of the IE, part B, vol. 108, issue 40, 1961, pp.422-433.
6. Block-oriented Nonlinear System Identification (eds F. Giri & E-W. Bai). Berlin: Springer, 2010.
7. Giri F., Rochdi Y., Brouri A. & Chaoui F.Z. Parameter identification of Hammerstein systems containing backlash operators with arbitrary-shape parametric borders. Automatica. Vol. 47, no. 8, 2011, pp. 1827-1833.
8. Hagenblad A., Ljung L & Wills A.G. Maximum Likelihood identification of Wiener models. Automatica. Vol. 44, no. 11, 2008, pp. 2697–2705.
9. Salukvadze M. & Shanshiashvili B. Identification of nonlinear Continuous Dynamic Systems with Closed Cycle. International Journal of Information Technology & Decision making. Vol. 12, no. 2, 2013, pp. 179-199.
10. Wills A., Schön T. B., Ljung L. & Ninness B. Identification of Hammerstein–Wiener models. Automatica. Vol. 49, no. 1, 2013, pp. 70–81.
11. Li L. & Ren X. Decomposition-based recursive least-squares parameter estimation algorithm for Wiener-Hammerstein systems with dead-zone nonlinearity. Inter. Jour. of Syst. Sc. Vol. 48, issue 11, 2017, pp. 2405-2414.
12. Shanshiashvili B., Shanshiashvili N. Parametric identification of nonlinear continuous dynamic systems. LEPL Archil Eliashvili Institute of control systems. Proceedings. Tbilisi, № 13, 2009, pp. 46-52.
13. Shanshiashvili B. & Prangishvili A. Structure identification of continuous nonlinear dynamical systems. Procedia Computer Science. Vol. 12, 2017, pp. 1032-1043.
14. Hamming R. W. Numerical methods for scientists and engineers. New York: Dover Publications Inc, 1987.

დისკრეტული ოპტიმიზაციის ერთი ამოცანის მათემატიკური მოდელი
განუზღვრელობის პირობებში

ქეთევან კუთხაშვილი, ვლადიმერ გაბისონია

kkutkhashvili@yahoo.com, L.gabis@yahoo.com

რეზიუმე

ნაშრომში აგებულია დისკრეტული ოპტიმიზაციის ერთი კლასიკური ამოცანის, კერძოდ, განრიგთა თეორიის მრავალკრიტერიული ამოცანის მათემატიკური მოდელი. განხილულია ამოცანა, სადაც დავალებათა შესრულება ხდება უწყვეტი ერთსაფეხურა სისტემით. პროცესორები ნაწილობრივ ურთიერთშეცვლადია. ნაწილობითი დალაგების სიმრავლე და დამატებითი რესურსების სიმრავლე ცარიელია, წინასწარ ცნობილია პროცესორების წარმადობა, დავალებათა შესრულებისათვის საჭირო დრო და ფინანსური ხარჯები, ხოლო დავალებათა სისტემაში მოხვედრა ზუსტად არ არის განსაზღვრული, არამედ მოცემულია ინტერვალის სახით. ოპტიმალური ამორჩევა ხდება ორი კრიტერიუმის ერთობლივი გათვალისწინებით. კრიტერიუმებად განხილულია დავალებათა მთლიანი სისტემის დამუშავების საერთო ღირებულება და სისტემის შექმნის ხანგრძლივობა. აგებულია ალგორითმი, რისთვისაც გამოყენებულია ინტერვალური და შტოებისა და საზღვრების მეთოდები მრავალკრიტერიული ამოცანისათვის.

საკვანძო სიტყვები:

დისკრეტული; ოპტიმალური; განრიგი; მათემატიკური მოდელი; მრავალკრიტერიული ამოცანის ოპტიმიზაცია.

შესავალი.

ამა თუ იმ კომპანიის მიერ გრძელვადიან პერიოდში პროექტების დაგეგმვა არსებულ (განსაკუთრებით ფინანსურ) რესურსებზე არის დამოკიდებული. რესურსების ოპტიმალური განაწილება და მართვა რთული საქმეა და ფირმისა თუ რაიმე დიდი ორგანიზაციის სტაბილურობისთვისა და ეკონომიკური განვითარებისთვის სწორი გადაწყვეტილების მიღებას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება. ძირითადად, გადაწყვეტილების მიღება მენეჯერის გამოცდილებაზეა დამოკიდებული და რაიმე დასაბუთებულ მსჯელობას არ ეყრდნობა. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია თუ გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული იქნება ზუსტი გამოთვლები და მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო კომპეტენტური და დასაბუთებული გადაწყვეტილება მივიღოთ.

ერთ-ერთ ასეთ მეთოდს მათემატიკური მოდელის აგება და მართვა წარმოადგენს. ცხადია, რაც უფრო ზუსტად ასახავს მათემატიკური მოდელი დასაგეგმ პროცესს, მით უფრო სწორი და ეფექტური იქნება მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, რეალური ეკონომიკური პროცესები მრავალი პარამეტრითა და ფაქტორით ხასიათდება და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში ზუსტი მათემატიკური მოდელის აგება ვერ ხერხდება, ან აგებული მოდელი იმდენად რთულია, რომ მისთვის ამოხსნის მეთოდის შერჩევა შეუძლებელია.

დისკრეტული ოპტიმიზაციის ამოცანები, ძირითადად, პრაქტიკიდანაა ნაკარნახევი. მათ უამრავი გამოყენება აქვთ ეკონომიკის, ტექნიკის სახელმწიფო მართვის და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

არსებობს ამოცანები, როდესაც აღსაწერი პროცესის შესახებ სრული ინფორმაცია გვაქვს. ყველა პარამეტრი, რომელიც პროცესის მართვაში მონაწილეობს, წინასწარ არის ცნობილი. მაგრამ რეალურ სიტუაციაში არსებობს გაუთვალისწინებელი შემთხვევები და ფაქტორები. ძირითადად, არის ამოცანები, რომლებშიც ზოგიერთი პარამეტრის ზუსტი მნიშვნელობა წინასწარ არ არის ცნობილი. ცნობილია მათი მიახლოებითი მნიშვნელობა ან ინტერვალი, რომელშიც ის შეიძლება იცვლებოდეს. ასეთი ამოცანების ამოსახსნელად გამოყენებული მეთოდები სხვადასხვა სახისაა და ის ძირითადად პარამეტრის განუზღვრელობის ბუნებაზეა დამოკიდებული. თუ პარამეტრი ალბათური ხასიათისაა, მაშინ შესაძლებელია გამოყენებული იყოს ინტერაქტიული მეთოდი, სადაც გადაწყვეტილების მიმღებ პირს (ექსპერტს) შეეძლება დააკვირდეს, ჩაერიოს და საჭიროების შემთხვევაში რაიმე შეცვალოს, ან გამოყენებული იყოს სტატისტიკური მეთოდები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პარამეტრის მნიშვნელობა ინტერვალის სახით არის მოცემული, შესაძლებელი ხდება ისეთი მოდელის აგება, რომელიც არადეტერმინირებულ სისტემას დეტერმინირებულად გადააქცევს და ასეთ შემთხვევაში დისკრეტული ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენება არის შესაძლებელი.

ნაშრომში სწორედ ასეთი ამოცანის მოდელი იქნება აგებული მრავალკრიტერიული ამოცანისათვის.

ამოცანის დასმა.

რესურსების გარკვეული სიმრავლის საშუალებით უნდა შესრულდეს დავალებათა მოცემული სისტემა, რომელზეც გარკვეული შეზღუდვებია დადებული. საჭიროა დავალებათა შესრულების თანმიმდევრობის დადგენის ეფექტური ალგორითმის აგება, რომელიც ოპტიმალობის რაიმე ზომის მიღწევის საშუალებას მოგვცემს. ოპტიმალობის ზომად სისტემის შექმნაზე გაწეული ფინანსური დანახარჯების მინიმიზაცია და განრიგის სიგრძე განვიხილოთ. დავალებათა შესრულება შესაძლებელია ერთსაფეხურიანი დეტერმინირებული სისტემის საშუალებით. ერთსაფეხურა სისტემა რამდენიმე მოწყობილობისაგან შედგება, ხოლო სისტემაში მოხვედრილი ყველა დავალება სრულად უნდა იქნას დაკმაყოფილებული. წინასწარ ცნობილია მოწყობილობათა წარმადობა, სისტემაში მოხვედრილი ყველა დავალების დამუშავებისათვის საჭირო დრო და მომსახურების ღირებულება. არ არის ცნობილი დავალებათა სისტემაში მოხვედრის დრო და თავად დავალებათა სისტემაში მოხვედრის დრო ინტერვალის საშუალებით მოიცემა. გარდა ამისა, უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები: წინასწარ მოცემულია პერიოდი, $[0, T]$ ინტერვალი, რომლის განმავლობაშიც სისტემა მთლიანად უნდა იყოს შესრულებული; არ შეიძლება ერთი და იგივე პროცესორზე ერთდროულად ორი ან რამდენიმე დავალება ერთდროულად სრულდებოდეს; დროის ყოველ ინტერვალზე დაკავებულია ყოველი მოწყობილობა, ანუ განიხილება ე.წ. უწყვეტი მოდელი.

ამ ამოცანის მათემატიკური მოდელი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

მოცემული გვაქვს P პროცესორების სიმრავლე $=\{P_1, \dots, P_m\}$, $j=1, \dots, m$, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციონალური შესაძლებლობებით და სწრაფმოქმედებითაც. მოცემულია $X=\{\xi_1, \dots, \xi_n\}$ დავალებათა სისტემა, რომლებიც $[0, T]$ პერიოდში P პროცესორების საშუალებით უნდა შესრულდეს. თითოეული დავალებისათვის ცნობილია $[\tau_{ij}]_{j=1, \dots, m, i=1, \dots, n}$ მატრიცა, რომლის τ_{ij} ელემენტი m გვიჩვენებს ξ_j დავალების P_i პროცესორზე შესრულების ხანგრძლივობას. ცხადია, $0 \leq \tau_{ij} \leq T$, $i=1, \dots, m, j=1, \dots, n$.

ცნობილია $\{\omega_{ij}\}_{i=1, \dots, m, j=1, \dots, n}$ მატრიცა, რომლის ω_{ij} ელემენტი გვიჩვენებს ξ_j დავალების R_i პროცესორზე შესრულების ფასს.

მოცემულია $\xi_j, j=1, \dots, n$ დავალების სისტემაში მოხვედრის სავარაუდო დრო $t_i^0 \in [a_i; b_i]$, სადაც a_i არის i -ური დავალების სისტემაში მოხვედრის სავარაუდო მინიმალური დრო, ხოლო b_i კი i -ური დავალების სისტემაში მოხვედრის სავარაუდო მაქსიმალური დროა.

საჭიროა აიგოს განრიგი ცხრილის სახით, სადაც თითოეულ $\xi_j, j=1, \dots, n$ დავალებას შეუსაბამებს t_i^0 რიცხვს, რომელიც j -ური დავალების დამუშავების დაწყების დროს გვიჩვენებს და P_i პროცესორს, რომელზეც j -ური დავალება უნდა იყოს შესრულებული. აღვნიშნოთ აგებული ასახვა ანუ ცხრილი S -ით. ყველა ასეთი S ასახვებიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, საჭიროა აიგოს ისეთი S^* ასახვა, რომლისთვისაც სრულდება შემდეგი პირობები ერთდროულად

$$\bar{n}(S^*) = \min_S \bar{n}(S) = \min_S \frac{1}{n} \sum_{j=1}^n t_j f_j(S),$$

$$\min_S \rho(S) = \min_S [\max_{i \leq n} \{f_i(S)\}].$$

სადაც $f_j(S)$ ფუნქცია S განრიგის მიხედვით i -ური დავალების შესრულების დაწყების მომენტს გვიჩვენებს.

ამ ორი კრიტერიუმის ერთდროული დაკმაყოფილებისათვის ავაგოთ ფუნქციონალი,

$$\rho = \left| \frac{\rho_1(S) - \rho_1^*}{\rho_1^*} \right|^2 + \left| \frac{\rho_2(S) - \rho_2^*}{\rho_2^*} \right|^2 \rightarrow \min,$$

სადაც ρ_1^* და ρ_2^* შესაბამისი ფუნქციონალების ოპტიმალური მნიშვნელობებია.

დისკრეტული ამოცანების ამოხსნის მეთოდების დამუშავების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვოთ სასურველი ამონახსნი ყველა ვარიანტის გადარჩევის გარეშე. ვინაიდან განრიგთა თეორიის ამოცანები, ზოგადად, NP სირთულისაა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში პოლინომიალური სირთულის ალგორითმის აგება მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია აგებული ალგორითმის ეფექტურობის დადგენა.

აღნიშნული ამოცანისათვის აგებულია P სირთულის ალგორითმი, რომელიც შტოებისა და საზღვრების, აგრეთვე ინტერვალურ მეთოდებს ეფუძნება.

ალგორითმის აღწერა.

თუ შევადგენთ ოპტიმალურ განრიგს $t_i^0 = a_i$ მომენტებისათვის, მაშინ შესაძლოა მოხდეს პროცესორის მოცდენა $t_i^{(k)} - a_i$ დროით, ხოლო თუ შევადგენთ ოპტიმალური განრიგს $t_i^0 = b_i$ მომენტებისათვის, მაშინ შესაძლოა მოხდეს ξ_j -ური დავალების რიგში ჩადგომა $|t_i^{(k)} - b_i|$ დროით.

ალგორითმის აგება დავიწყოთ შემდეგნაირად: უნდა შევადგინოთ ორი ხე, რომლის ფესვიც თავდაპირველი X სიმრავლის ყველა ელემენტი შედის. შემდეგ უნდა მოხდეს განშტოება. $N=\{1,2,\dots,n\}$ სიმრავლე დავყოთ m არათანამკვეთ B_i ბლოკებად. $m, B_i \cap B_j = \emptyset$

და $\bigcup_{i=1}^m B_i = N$. თითოეულ B_i ბლოკში შემავალი ელემენტების სიმრავლე შეესაბამება იმ

დავალებათა ინდექსებს, რომლებიც აგებული განრიგის თანახმად i -ურ პროცესორზე უნდა შესრულდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასაგეგმი პერიოდის დადგომამდე პროცესორები შესაძლოა დაკავებული იყოს ადრე დაწყებული სამუშაოებით, ამიტომ მათი გათავისუფლების დროებიც t_{p_j} უნდა იყოს გათვალისწინებული. შევადგინოთ A^1 მატრიცა

შემდეგნაირად: $a_j^{(1)}$ სვეტში სვეტების რაოდენობა არის, ხოლო სტრიქონების რაოდენობა

ივლება იტერაციის ნომრის მიხედვით. შევადგინოთ $\tilde{t}_{\xi_i}^{(k)}$ ვექტორი: ყოველი ξ_i -სთვის ამოვარჩიოთ $\tilde{t}_{\xi_i}^{(k)} = \min_{j \in Q_i} \overline{t_{p_j}}$, $i=1,2,\dots,n$ და $t_{i_i}^{(k)} = \max(d_i, \min_{j \in Q_i} \overline{t_{p_j}})$. $i=1,2,\dots,n$.

ამოვარჩიოთ დავალება, რომელიც მზადაა შესასრულებლად. ამისათვის X სიმრავლიდან გამოვყოთ ქვესიმრავლე $X_1^{(k)} \subset X$, რისთვისაც შევარჩიოთ ის ξ_i , რომლისთვისაც $\varphi = \min_{i_i \in X_1^k} (t_{i_i}^{(k)} + \delta_i)$ მინიმალურია. X_1^k სიმრავლის ელემენტი იქნება $i_i^{(k)}$ დავალება, რომლისთვისაც სრულდება პირობები: $t_{\xi_i}^{(k)} < \eta$, $j^{*(k)} \in Q_i$ და $\tilde{t}_{i_i}^{(k)} - t_{i_i}^{(k)} \geq 0$. ამოვადლოთ $X \setminus \{i_i^{(k)}\}$ ელემენტი. შევცვალოთ $t_{P_{(j_1^*)}}^{(2)} = t_{\xi_{(1^*)}}^{(1)} + \tau_{i_1}$. $\xi_{(2^*)}$ დავალება $j_{(2^*)}$ პროცესორზე დავნიშნოთ. გამოვთვალოთ $\tilde{n}_1 = \tilde{n}_1 + (t_{i_{(2^*)}}^{(2)} + \delta_{ij} - d_{ij}) * u_{ij}$. ამის შემდეგ ვიწყებთ უკუსვლას და როდესაც ბოლო დონეს მივაღწევთ, ყველა შტოს შეფასება ამოწურულია. მიღებული $\rho_1(S^*)$ სიდიდე არის საძიებელი ოპტიმალური მნიშვნელობა, ხოლო S_1^* საძიებელი განრიგი $t_1^{\tilde{n}_1}$ მომენტებისათვის და \tilde{n}_1 კრიტერიუმისათვის. აგებული ხის საფუძველზე შესაძლოა გამოვითვალოთ ოპტიმალური მნიშვნელობა \tilde{n}_2 კრიტერიუმისათვისაც $\rho_2(S^*)$, ხოლო ამის შემდეგ ალგორითმის მუშაობა იწყება თავიდან და ასაგები ხის ყოველ საფეხურზე გამოითვლება სიდიდე


Заметим, что, в отличие от случая II, доходность уже несимметрична относительно параметров a и b и, например, при $c = 2$ максимальная доходность достигается при соотношении $a:b = 3:7$. Ниже для этих значений параметров, в соответствии с вышеприведённой трапецевидной схемой, приведена таблица распределения вероятностей по состояниям (в процентах):

41,9	17,2		
5,2	12,5	13,7	
0,6	1,4	2,7	4,8

Доходность равна 1,496. При других соотношениях интенсивностей ремонта и замены a и b доходность меньше. Некоторые результаты приведены в нижеследующей таблице ($c = 2$):

a:b	0	1:4	1:2	1:1	2:1	4:1	∞
d_{IV}	1,429	1,488	1,495	1,462	1,391	1,317	1,200

С целью сравнения приведём и значения доходностей микросистем I–III (для той же величины интенсивности восстановления $c = 2$):

$$d_I = 1,200, \quad d_{II} = 1,263 \text{ (a:b = 1:1)}, \quad d_{III} = 1,429.$$

То, что d_I и d_{III} совпадают с крайними значениями в таблице для d_{IV} , неудивительно, т. к. микросистема IV при мгновенной замене превращается в микросистему III, а при мгновенном ремонте – в микросистему I.

При изменении параметра с максимальная доходность микросистемы IV достигается при различных соотношениях a:b и общая тенденция такова, что при увеличении с соотношение a:b следует уменьшать. Все результаты для микросистемы IV получены с помощью созданного нами Excel-файла со входом (с, а) и выходом в виде трапецевидной таблицы вероятностей состояний и соответствующей доходности d_{IV} . Микросистемы же I–III рассчитываются по вышеприведённым простым формулам.

Для того, чтобы исчерпать набор микросистем массового обслуживания, допускающих сравнительно простой расчёт, рассмотрим микросистему

$$V. m = 1, n = 3, 1/c = 1/a + 1/b, \text{ (две фазы восстановления).}$$

Сразу же отметим, что полученные ниже соотношения легко обобщаются на произвольное число резервных элементов, но мы ограничились случаем $n = 3$, чтобы избежать буквенных индексов и многоточий. Кроме того, при единственном рабочем месте для функционирования элемента наличие большего резерва явно невыгодно. Очевидно, что иметь дело с микросистемой типа V имеет смысл, когда рабочее место для элемента стоит очень дорого по сравнению со стоимостью самого элемента или же создание новых рабочих мест физически невозможно.

Итак, наша микросистема может находиться в одном из девяти состояний (узлов), согласно схеме

10	11	12	13	
00	01	02	03	04

Как и выше, первая цифра в коде состояния указывает на число работающих элементов, а вторая – на число элементов в ремонте. Как и в случае IV, вначале мы поработаем со вспомогательными величинами P, которые впоследствии нормируем. Этот приём позволяет нам записать равенство $P_{04} = 1$. Баланс потоков в узле 04 даёт $P_{13} = aP_{04}$. Далее, по узлам

$$\begin{aligned} 13: P_{03} &= [(a + 1)P_{13}]/b & 03: P_{12} &= (a + b)P_{03} - aP_{04}, \\ 12: P_{02} &= [(a + 1)P_{12} - aP_{13}]/b & 02: P_{11} &= (a + b)P_{02} - aP_{03}, \\ 11: P_{01} &= [(a + 1)P_{11} - aP_{12}]/b & 01: P_{10} &= (a + b)P_{01} - aP_{02}, \end{aligned}$$

а для определения девятого неизвестного используем узел 00: $P_{00} = (a/b)P_{01}$. В конце, как обычно, вероятности p получим делением соответствующих P на нормирующий делитель – сумму всех девяти P.

Весьма примечательно, что при $a = b = 1$ последовательность $P_{04}, P_{13}, P_{03}, P_{12}, P_{02}, P_{11}, P_{01}, P_{10}$ состоит из знаменитых чисел Фибоначчи, а P_{00} равно предпоследнему члену этого ряда:

21	8	3	1	
13	13	5	2	1

Переходя к вероятностям, получим (с точностью до одной десятой процента):

31,3	11,9	4,5	1,5	
19,4	19,4	7,5	3,0	1,5

В заключение, автор выражает благодарность профессору Р. Какубава, на научном семинаре которого он познакомился с проблемами теории массового обслуживания.

მასობრივი მომსახურების მიკროსისტემები მწყობრიდან გამოსული ელემენტების რემონტითა და ჩანაცვლებით

ვიქტორ ხუციშვილი

რეზიუმე

განხილულია და ერთმანეთთან შედარებული მასობრივი მომსახურების სისტემები მუშა ელემენტების მცირე რაოდენობით. შემოსავლის მომტანი ფუნქციონირებადი ელემენტების მტყუნების პროცესს უპირისპირდება მათი აღდგენის პროცესი, რომელიც შეიძლება დაიშალოს ორად - რემონტისა და შემდგომი ჩანაცვლების ფაზებად. სულ განხილულია ორი ერთფაზიანი და სამი ორფაზიანი მიკროსისტემა. გამოყვანილია შესაბამისი ფორმულები მიკროსისტემის შესაძლო მდგომარეობების ალბათობებისთვის და მისი შემოსავლიანობისთვის. ყველაზე რთული შემთხვევისთვის აგებულია თვალსაჩინო Excel-ის ცხრილი. შემოსავლიანი ელემენტისთვის ერთადერთი სამუშაო ადგილის შემთხვევაში გამოვლენილია მოულოდნელი კავშირი ალბათობებსა და ფიბონაჩის რიცხვებს შორის.

Queuing microsystems with repair and replacement of failed elements

Victor Khutsishvili

Summary

Queuing systems with a small number of working elements are examined and compared with each other. The random process of failure of the functioning elements that generate income is opposed by the process of their restoration, which can be divided into two phases - the repair phase and the subsequent replacement phase. In total, two single-phase microsystems and three two-phase ones were considered. Corresponding formulas are derived for the probabilities of possible states of the microsystem and for its income. For the most difficult case, a visual Excel table has been built. In the case of a single workplace for an income-generating element, an unexpected association of probabilities with Fibonacci numbers was discovered.

ლიტერატურა – References – Литература

1. Barlow R., Proschan F. Mathematical Theory of Reliability. SIAM, 1996, 258 p.
2. Prangishvili A., Meladze H., Kakubava R. Open queuing system for two parallel maintenance operations as mathematical model for dependability and performance analysis. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, V 10, N 3, 2016, pp. 69-74.
3. Вентцель Е.С. Исследование операций: задачи, принципы, методология. Москва, 1988, 208 стр.

**მომავალ ათწლეულებში საქართველოს ელექტროენერჯით
დაკმაყოფილების ზოგიერთი საკითხის შესახებ**

ხათუნა ლომიძე, მანანა ჯანიკაშვილი, ირმა არჩვაძე

Email: lkhatuna@mail.ru

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია ელექტროენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების მკვეთრი ზრდა ძირითადად ადგილობრივი რესურსების ბაზაზე.

საქართველოს ელექტროსადგურების სტრუქტურის ადრე დამუშავებულ მათემატიკურ მოდელში შეტანილია გარკვეული დაზუსტებები მსოფლიოში ელექტროენერჯეტიკის განვითარების ტენდენციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით. ამოხსნილია ოპტიმიზაციის ამოცანები კაპიტალური დანახარჯების მოსალოდნელი დინამიკის გათვალისწინებით. კერძოდ, განხილულია სამი სცენარი: ინერციული, სტაგნაციური და ინოვაციური. მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ პირველ ეტაპზე უმჯობესია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ტრადიციულ ენერგორესურსებზე, ხოლო არცთუ შორეულ მომავალში - მზისა და ქარის ელექტროსადგურებზე.

საკვანძო სიტყვები:

ენერჯეტიკა, სიმძლავრე, ენერჯია, ელექტროსადგური

ავტორთა მიერ ადრე გამოქვეყნებულ სამუშაოებში დასაბუთებული იყო, რომ ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია მკვეთრად გაიზარდოს ელექტროენერჯის წლიური გამომუშავებისა და მოხმარების დონე, სულ მცირე 45 მლრდ კვტ.სთ წელიწადში [1-3]. ამავე სამუშაოებში შემოთავაზებული მათემატიკური მოდელის საფუძველზე ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის შედეგად დადგენილი იყო, რომ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია ადგილობრივი რესურსების ათვისებით. ნაჩვენები იყო, აგრეთვე, რომ ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს საქართველოს ჰიდროენერგორესურსების ათვისებაზე როგორც მცირე, ისე დიდი ჰიდროსადგურების აშენების გზით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში შეინიშნება ე.წ. არატრადიციული რესურსების ელექტროენერჯეტიკაში გამოყენების ზრდის მყარი ტენდენდენცია. ამას ძირითადად განაპირობებს ტექნოლოგიური მიღწევები, რომლებიც უზრუნველყოფენ ელექტროსადგურების ასაშენებლად საჭირო კაპიტალური დაბანდებების მკვეთრ შემცირებას. ასე მაგალითად, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, მოსალოდნელია, რომ ქარის ელექტროსადგურის ასაშენებლად საჭირო ხვედრითი კაპიტალური დაბანდება 1400 დოლ/კვტ-დან 2010 წელს შემცირდება 950 დოლ/კვტ-მდე 2030 წლისათვის და 900 დოლ/კვტ-მდე 2050 წლისათვის. კიდევ უფრო მეტი შემცირებაა მოსალოდნელი კაპიტალური დაბანდებებისა მზის ელექტროსადგურების (ფოტოვოლტაიკი) შემთხვევაში - 4000 დოლ/კვტ-დან 2010 წელს, 750 დოლ/კვტ-მდე 2050 წლისთვის [4]. ცხადია, კაპიტალური დაბანდებების ასეთი ტენდენცია ხელს შეუწყობს ქარისა და მზის ელექტროსადგურების ინტენსიურ მშენებლობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ცხრილი 1-ის თანახმად სხვა სახის არატრადიციული ენერგორესურსებზე (ბიომასა, გეოთერმული ენერჯია) დაფუძნებული

ელექტროსადგურების ასაშენებლად საჭირო კაპიტალდაბანდებებში მნიშვნელოვანი შემცირება არ შეინიშნება.

ცხრილი 1

კაპიტალური დანახარჯების დინამიკა ენერგეტიკაში, დოლ/კვტ

ფაქტორი	2010წ	სცენარები					
		ინერციული		სტაგნაციური		ინოვაციური	
		2030 წ	2050 წ	2030 წ	2050 წ	2030 წ	2050 წ
თბური ენერგეტიკა							
თესი ბუნებრივ აირზე	690	650	600	700	650	610	550
თესი ქვანახშირზე	1320	1250	1200	1300	1300	1160	1100
თესი მურანახშირზე	1570	1450	1350	1600	1600	1350	1290
ატომური ენერგეტიკა							
თბური რეაქტორები	2000	1800	1800	2400	2400	1600	1400
ჩქარი რეაქტორები	3000	2800	2800	3200	3500	2200	1600
განახლებადი ენერგეტიკა							
მიწისზედა ქარის ელ. სადგურები	1400	1200	1100	1100	1100	950	900
ზღვაზე ქარის ელ. სადგურები	2650	18200	1600	1800	1600	1460	1300
მზის ელ. სადგურები ფოტოვოლტაიკი	4000	2620	2000	2200	1600	1000	750
მზის ელ. სადგური კონცენტრატორებით	7000	6000	6000	5500	5000	4200	4200
კონდენსაციური ელ. სადგურები ბიომასაზე (კესი)	2800	2700	2600	2700	2600	2450	2350
თეცი ბიომასაზე	5100	4500	4000	4500	3500	3750	2850
დიდი ჰიდროენერგეტიკა	2700	3100	3300	3100	3300	3100	3300
მცირე ჰიდროენერგეტიკა	2500	2200	2000	2200	2000	2200	2000
გეოთერმული კესი	8000	7250	5200	7250	5200	7250	5200
გეოთერმული თეცი	8500	7500	5500	7500	5500	7500	5500

ამასთან ერთად, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე გასაწევი ხვედრითი კაპიტალდაბანდებები 2010 წლის მონაცემებთან შედარებით იზრდება დიდი ჰიდროელექტროსადგურებისათვის, ხოლო მცირე ჰიდროელექტროსადგურებისათვის უმნიშვნელოდ მცირდება.

ყოველივე ეს, ცხადია, აუცილებელს ხდის არსებულ მათემატიკურ მოდელში და, სათანადო ოპტიმიზაციის ამოცანების ჩამოყალიბებაში შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ [1] შემოთავაზებულ მოდელში შეტანილია კორექტივები. მოდელში არ შევიდა ატომური ელექტროსადგურები (უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე), მზის ელექტროსადგურები კონცენტრატორებით და გეოთერმული ელექტროსადგურები დიდი კაპიტალური დანახარჯების გამო.

ხსენებულ მოდელში მიზნის ფუნქციის სახე ასეთია:

$$L = \sum_{i=1}^n (E a_i + C_i) P_i \rightarrow \min$$

სადაც, P_i არის i -ური ტიპის სადგურების ჯამური სიმძლავრე, კვტ; a_i არის i -ური ტიპის სადგურის ერთეული სიმძლავრის ასაშენებლად საჭირო კაპიტალური დაბანდებები, დოლ/კვტ; C_i არის i -ური ტიპის სადგურის ერთეულ სიმძლავრეზე გაწეული წლიური საექსპლუატაციო დანახარჯები, დოლ/კვტ.წ; E - ნორმატიული კოეფიციენტი, $E \sim 0.12 \div 0.15$. C_i იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$\text{ჰესების, მზისა და ქარის სადგურებისათვის: } C_i = 0.03 a_i$$

$$\text{თესებისათვის: } C_i = 0.065 a_i + b_i \bar{c}_i t_i$$

სადაც b_i არის i -ური ტიპის სადგურში 1 კვტ.სთ მისაღებად საჭირო სათბობის რაოდენობა,

კვტ.სთ; \bar{c}_i არის i -ური ტიპის სადგურში 1 კვ სათბობის ღირებულება, დოლ/კვ;

ძირითადი, საორიენტაციო შეზღუდვები კი ასეთია:

1. $\sum_{\substack{k=1, \\ i \neq 6}}^n t_i P_i \geq W_{0\beta} - \overline{W_{0\beta}}$
2. $t_6 P_6 \geq W_{0\beta} - \overline{W_{0\beta}}$
3. $t_1 P_1 \leq 2 \cdot 10^9$; დერეგულირებადი ჰესი
4. $t_2 P_2 \leq 2 \cdot 10^9$; დერეგულირებადი ჰესი
5. $t_3 P_3 \leq 1,5 \cdot 10^9$; დერეგულირებადი ჰესი
6. $t_4 P_4 \leq 4 \cdot 10^9$; ნაწილობრივ დარეგულირებადი ჰესი
7. $t_5 P_5 \leq 10 \cdot 10^9$ მარეგულირებადი ჰესი
8. $t_7 P_7 \leq 1 \cdot 10^9$; ქვანახშირზე მომუშავე თესი
9. $t_8 P_8 \leq 0,5 \cdot 10^9$; მურანახშირზე მომუშავე თესი
10. $t_9 P_9 \leq 10 \cdot 10^9$ მზე ელექტროსადგური (ფოტოვოლტაიკი)
11. $t_{10} P_{10} \leq 4 \cdot 10^9$; ბუნებრივ აირზე მომუშავე თესი
12. $t_{11} P_{11} \leq 4 \cdot 10^9$. ქარის ელექტროსადგური

სადაც $W_{0\beta}, \overline{W_{0\beta}}$ არის მოთხოვნილი ბაზისური და პიკური ენერჯია, ხოლო $\overline{W_{0\beta}}, \overline{W_{0\beta}}$ არის არსებული ბაზისური და პიკური სადგურების მიერ გამომუშავებული ჯამური ენერჯია.

ზემოთ მოყვანილი მიზნის ფუნქციისა და შეზღუდვების გათვალისწინებით ჩვენ მიერ ამოხსნილ იქნა ოპტიმიზაციის ამოცანები კაპიტალური დანახარჯების დინამიკის ინერციული, სტაგნაციური და ინოვაციური სცენარებისათვის [4]. აღვნიშნავთ, რომ დერეგულირებადი და ნაწილობრივ დერეგულირებადი ჰესებისათვის კაპიტალური დაბანდებები აღებულია საქართველოს ყოფილი ენერჯეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული „ინტერესთა გამოხატვის“ მონაცემების გათვალისწინებით.

ცხრილში-2 მოყვანილია განსახილველი სადგურების ტიპები და სხვა საჭირო მონაცემები სამივე სცენარისთვის.

ცხრილი 2

ინერციული სცენარი							
სადგურის ტიპი	კაპ.დაბ ანდება,	საექსპ. ხარჯი	მუშაობის საათები	სათბობის ღირებულება,	სათბობის რაოდენობა 1კვტ.სთ-ს მისაღებად	ხარჯი	
	დოლ/ კვტ	დოლ/ კვტ	სთ	დოლ/კვ (დოლ/მ ³)	კვ/კვტ.სთ (მ ³ /კვტ.სთ)	დოლ/ კვტ	
	a	C	t	\bar{c}_i	b	L	
1 დერეგულირებული ჰესი	2200	66	5000			330	
2 დერეგულირებული ჰესი	2300	69	5000			345	
3 დერეგულირებული ჰესი	2400	72	5000			360	
4 ნაწილობრივ დერეგულირებული ჰესი	2500	75	5000			375	
5 მარეგულირებელი ჰესი (ბაზ)	3100	93	6000			465	
6 მარეგულირებელი ჰესი (პიკ)	3100	93	3500			465	
7 ქვანახშირზე მომუშავე თესი	1250	225.25	6000	0.03	0.8	375	
8 მურანახშირზე მომუშავე თესი	1450	208.25	6000	0.02	0.95	382	
9 მზის ელექტროსადგური (ფოტოვოლტაიკი)	2620	78.6	1900			393	
10 ბუნებრივ აირზე მომუშავე თესი	650	193.45	6000	0.14	0.18	271	
11 ქარის ელექტროსადგური	1200	36	5000			180	

სტაგნაციური სცენარი							
სადგურის ტიპი	კაპ.დაბ ანდება,	საექსპ. ხარჯი	მუშაობის საათები	სათბობის ღირებულება	სათბობის რაოდენობა 1კვტ.სთ-ს მისაღებად	ხარჯი	
	დოლ/ კვტ	დოლ/ კვტ	სთ	დოლ/კვ (დოლ/მ ³)	კვ/კვტ.სთ (მ ³ /კვტ.სთ)	დოლ/ კვტ	
	a	C	t	\bar{c}_i	b	L	
1 დერეგულირებული ჰესი	2200	66	5000			330	
2 დერეგულირებული ჰესი	2300	69	5000			345	


3	დერეგულირებული ჰესი	2400	72	5000			360
4	ნაწილობრივ დერეგულირებული ჰესი	2500	75	5000			375
5	მარეგულირებელი ჰესი (ბაზ)	3100	93	6000			465
6	მარეგულირებელი ჰესი (პიკ)	3100	93	3500			465
7	ქვანახშირზე მომუშავე თესი	1300	228.5	6000	0.03	0.8	385
8	მურანახშირზე მომუშავე თესი	1600	218	6000	0.02	0.95	410
9	მზის ელექტროსადგური (ფოტოვოლტაიკი)	2200	66	1900			330
10	ბუნებრივ აირზე მომუშავე თესი	700	196.7	6000	0.14	0.18	281
11	ქარის ელექტროსადგური	1100	33	5000			165

ინოვაციური სცენარი							
	სადგურის ტიპი	კაპ.დაბ ანდება,	საექსპ. ხარჯი	მუშაობის საათები	სათბობის ღირებულება	სათბობის რაოდენობა 1კვტ.სთ-ს მისაღებად	ხარჯი
		დოლ/ კვტ	დოლ/ კვტ	სთ	დოლ/კვ (დოლ/მ ³)	კვ/კვტ.სთ (მ ³ /კვტ.სთ)	დოლ/ კვტ
		a	C	t	\bar{c}_i	b	L
1	დერეგულირებული ჰესი	2200	66	5000			330
2	დერეგულირებული ჰესი	2300	69	5000			345
3	დერეგულირებული ჰესი	2400	72	5000			360
4	ნაწილობრივ დერეგულირებული ჰესი	2500	75	5000			375
5	მარეგულირებელი ჰესი (ბაზ)	3100	93	6000			465
6	მარეგულირებელი ჰესი (პიკ)	3100	93	3500			465
7	ქვანახშირზე მომუშავე თესი	1160	219.4	6000	0.03	0.8	359

8	მურანახშირზე მომუშავე თესი	1350	201.75	6000	0.02	0.95	364
9	მზის ელექტროსადგური (ფოტოვოლტაიკი)	1000	30	1900			150
10	ბუნებრივ აირზე მომუშავე თესი	610	190.85	6000	0.14	0.18	264
11	ქარის ელექტროსადგური	950	28.5	5000			143

ცხადია, რომ წარმოდგენილი მონაცემები მიახლოებითია, რაც, ვფიქრობთ, შეფასებითი ანალიზისათვის საკმარისად დასაშვებია.

ამოხსნილი ამოცანის შედეგების ნაწილი 2030 წლისათვის წარმოდგენილია ნახაზზე-1.



ნახ.1 საქართველოში ასაშენებელი ელექტროსადგურების სავარაუდო სტრუქტურა (სიმძლავრეები)

ნახ.1-ზე წარმოდგენილი სტრუქტურის პირობებში საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის წლიური გამომუშავება შეადგენს 45 მლრდ. კვტ.სთ პრაქტიკულად ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით. ბაქო-თბილისი-ერზერუმის აირსადენიდან მიღებული სათბობი პრაქტიკულად ადგილობრივად შეიძლება ჩაითვალოს უმაღლეს დონეზე დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულების მდგრადობიდან გამომდინარე [5]. ყოველივე ეს ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია.

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ინერციული და სტაგნაციური სცენარების შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება ტრადიციულ ენერგორესურსებზე მომუშავე სადგურებზე და, აგრეთვე, მცირე ჰესებსა და ქარებსზე, ხოლო ინოვაციური სცენარით განვითარების შემთხვევაში ეფექტური ხდება მზის ელექტროსადგურები (ფოტოვოლტაიკი).

ვინაიდან მომავალ ათწლეულებში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ძვრები ტრადიციული ელექტროსადგურების განხრით ნაკლებადაა მოსალოდნელი, ხოლო მზისა და ქარის ენერგეტიკაში ეს ძვრები მნიშვნელოვანი იქნება, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: პირველ ეტაპზე უმჯობესია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ტრადიციული ენერგორესურსების ათვისებაზე, ხოლო არცთუ შორეულ მომავალში მზისა და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობაზე.

On some issues of providing Georgia with electric power in the coming decades

Khatuna Lomidze, Manana Janikashvili, Irma Archvadze

Summary

In the paper it is noted that for the normal development of the country it is necessary to inflate the power generation and consumption mainly based on local resources.

Certain specifications are introduced in the previously developed mathematical model of the power plants structure of Georgia taking into account the development trends of the world electric power industry and technological achievements. The optimization problems are solved taking into account the expected dynamics of capital costs. In particular, three scenarios: inertial, stagnant and innovative are considered. It is concluded that at the first stage the main emphasis should be made on traditional, and in the near future on solar and wind energy resources.

О некоторых вопросах удовлетворения потребности Грузии электроэнергией в ближайшие десятилетия

Хатуна Ломидзе, Манана Джаникашвили, Ирма Арчвадзе

Резюме

В статье отмечено, что для нормального развития страны необходимым является резкое увеличение выработки и потребления электроэнергии в основном на базе местных ресурсов.

В раннее разработанную математическую модель структуры электростанций Грузии внесены определенные уточнения с учетом тенденций развития мировой электроэнергетики и технологических достижений. Решены оптимизационные задачи с учетом ожидаемой динамики капитальных затрат. В частности, рассмотрены три сценария: инерционный, стагнационный и инновационный. Сделано заключение о том, что на первом этапе предпочтительно сделать акцент на традиционных, а в недалеком будущем – на солнечных и ветряных энергоресурсах.

ლიტერატურა – References – Литература

1. მაგრაქველიძე თ., ჭიჭინაძე ვ., ლომიძე ხ., ჯანიკაშვილი მ., არჩვაძე ი. საქართველოს ენერჯეტიკული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებისა და ენერჯეტიკული უსაფრთხოების პრობლემების შესახებ. სსიპ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი 2010. გვ.131-136.
2. მაგრაქველიძე თ., ლომიძე ხ., მიქაშაიძე ა., ჯანიკაშვილი მ., არჩვაძე ი. საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხის შესახებ. სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი, 2017, გვ. 53-61.
3. მაგრაქველიძე თ., ლომიძე ხ., ჯანიკაშვილი მ., არჩვაძე ი. საქართველოს ელექტროენერჯით უზრუნველყოფასა და სამომხმარებლო ტარიფებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ. სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი, 2018, გვ. 54-59.
4. Мировая Энергетика – 2050. М. Энергия, 2011г, 360с.
5. ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის საშუალებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია. თბილისი 2001წ.

**თბოგამცემი ზედაპირის ხორკლიანობის შვერილების სიმაღლის გავლენა
თბოგაცემის ინტენსიფიკაციაზე ვერტიკალურ მილზე წყლის აფსკის
ჩამოდინების დროს**

*თენგიზ მაგრაქველიძე, გიორგი გიგინეიშვილი, ავქსენტი მიქაშავიძე, ტარიელ
კობერიძე, ხათუნა ლომიძე*

qvelit@rambler.ru

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია პრობლემის აქტუალურობა და ექსპერიმენტულად მისი შემდგომი გამოკვლევის საჭიროება. მოცემულია ექსპერიმენტული დანადგარის მოკლე აღწერა და ცდების ჩატარების მეთოდიკა. ცდები ჩატარდა ვერტიკალურად განთავსებული გლუვი და ხორკლიანი მილების გარე ზედაპირზე წყლის აფსკის ჩამოდინების პირობებში. თბოგამცემი მილის გარე დიამეტრი $d=10$ მმ, ხოლო სიგრძე $l=200$ მმ. თბოგამცემ ზედაპირზე ხორკლიანობა იქმნებოდა მილზე სპილენძის მავთულის სპირალურად დახვევით. აღნიშნული მავთულის დიამეტრი (ხორკლიანობის შვერილების სიმაღლე $-h$) ექსპერიმენტებში იყო 0,3 მმ, 0,5 მმ და 1მმ. ყველა ექსპერიმენტში შვერილებს შორის ბიჯის ფარდობა სიმაღლესთან $- s/h=10$. ექსპერიმენტები ტარდებოდა ქსელის წყალზე. პრანდტლის რიცხვი $- Pr=10$, ხოლო რეინოლდსის რიცხვი (Re) იცვლებოდა 250-დან 10 000-მდე.

დადგენილია, რომ ჩამოდინების ლამინარულ რეჟიმში ზედაპირის ხორკლიანობა არ ახდენს გავლენას თბოგაცემაზე. გარდამავალ რეჟიმში ხორკლიანობის გავლენა მნიშვნელოვანია. ამასთან შვერილების სიმაღლის ზრდით იზრდება თბოგაცემის ინტენსიფიკაციის ხარისხი. ასევე მნიშვნელოვანია ხორკლიანობის ეფექტი ტურბულენტურ რეჟიმში. ამასთან, შვერილების სიმაღლე თბოგაცემის ინტენსიფიკაციაზე პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას.

საკვანძო სიტყვები:

ჩამოდინარე აფსკი, თბოგაცემის ინტენსიფიკაცია, ხორკლიანობა

როგორც ცნობილია, ზედაპირზე აფსკის ჩამოდინების პირობებში თბოგაცემის პროცესს ადგილი აქვს ენერგეტიკულ, ქიმიურ, კვების მრეწველობის და სხვა დანადგარებში, რომლებიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნიკაში. ვინაიდან ასეთი დანადგარების ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს თბოგაცემის ინტენსიურობა, ამ პროცესის ინტენსიფიკაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც არაერთი გამოკვლევით დადასტურდა, თბოგაცემის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ხორკლიანობის შექმნა თბოგამცემ ზედაპირზე. აღნიშნული მეთოდით თბოგაცემის ინტენსიფიკაცია ძალზე კარგადაა შესწავლილი არხებსა და მილებში სითხის ტურბულენტური დინების პირობებში [1-4].

რაც შეეხება ხელოვნური ხორკლიანობის მეთოდით თბოგაცემის ინტენსიფიკაციას ზედაპირზე აფსკის ჩამოდინების პირობებში, მიუხედავად პრობლემისადმი მიძღვნილი არაერთი, მათ შორის ავტორთა, გამოკვლევისა [5-10], საკითხი ვერ ჩაითვლება სრულყოფილად შესწავლილად. ამიტომ პრობლემის შემდგომი შესწავლა აუცილებელია.

კერძოდ, დიდ ინტერესს იმსახურებს ხორკლიანობის შვერილების სიმაღლის გავლენა თბოგაცემის ინტენსიფიკაციაზე. ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ მიერ ჩატარდა ექსპერიმენტები საცდელ დანადგარზე, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი [10] გამოკვლევაში.


ცდები ჩატარდა ვერტიკალურად განთავსებული გლუვი და ხორკლიანი მილების გარე ზედაპირებზე წყლის აფსკის ჩამოდინების პირობებში. თბოგამცემი მილის გარე დიამეტრი – $d=10\text{მმ}$, ხოლო სიგრძე – $l=200\text{მმ}$. თბოგამცემ ზედაპირზე ხორკლიანობა იქმნებოდა მილზე სპილენძის მავთულის სპირალურად დახვევით. აღნიშნული მავთულის დიამეტრი (ხორკლიანობის შვერილების სიმაღლე – h) ექსპერიმენტებში იყო $0,3\text{ მმ}$, $0,5\text{ მმ}$ და 1 მმ . ყველა ექსპერიმენტში შვერილებს შორის ბიჯის ფარდობა სიმაღლესთან – $s/h=10$. ექსპერიმენტები ტარდებოდა ქსელის წყალზე. პრანდტლის რიცხვი – $Pr=10$, ხოლო რეინოლდსის რიცხვი (Re) იცვლებოდა 250 -დან $10\ 000$ -მდე.

წყლის ხარჯი იზომებოდა როტამეტრით. ტემპერატურები ექსპერიმენტულ უბანში შესვლასა და გამოსვლაზე იზომებოდა ქრომელ-ალუმელის თერმოწყვილებით. ასეთივე თერმოწყვილებით იზომებოდა თბოგამცემი მილის კედლის ტემპერატურა. თბოგამცემი მილი ხურდებოდა მასში დაბალი ძაბვის ელექტროდენის გატარებით, რისთვისაც გამოყენებული იყო ძაბვის დამაბლებელი ტრანსფორმატორი OCY-20 და მარეგულირებელი ტრანსფორმატორი PHO-250. დენის ძალა და ძაბვის ვარდნა თბოგამცემ მილზე, ისევე როგორც თერმოწყვილების ელექტრომომძრავებელი ძალა, იზომებოდა თანამედროვე ციფრული ხელსაწყოებით. გაზომილი სიდიდეების მიხედვით განისაზღვრებოდა თბოგამცემ მილში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა, შესაბამისად თბური ნაკადი, თბოგაცემის კოეფიციენტი და რეინოლდსისა და პრანდტლის რიცხვები. სითხის თბოფიზიკური პარამეტრები აიღებოდა ცხრილებიდან [11] სითხის საშუალო ტემპერატურის მიხედვით. ექსპერიმენტული მონაცემები მუშავდებოდა კომპიუტერის საშუალებით **TurboPascal** ენაზე შედგენილი პროგრამით.

პირველ ნახაზზე წარმოდგენილია ექსპერიმენტული მონაცემები ლოგარითმულ კოორდინატებში (Nu , Re). ჩვენს შემთხვევაში:

$$Nu = \frac{\alpha}{\lambda} \left(\frac{v^2}{g} \right)^{\frac{1}{3}}, \quad Re = \frac{4 G}{v}$$

სადაც, α არის თბოგაცემის კოეფიციენტი, ვტ/მ²°C; λ -სითხის თბოგამტარობის კოეფიციენტი, ვტ/მ °C; v - სითხის სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტი, მ²/წმ. g - სიმძიმის ძალის აჩქარება, მ/წმ²; G -თბოგამცემი ზედაპირის ე.წ. მორწყვის კოეფიციენტი, მ³/წმ.



ნახ.1. თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება რეინოლდსის რიცხვზე

გრაფიკზე ექსპერიმენტული მონაცემები გასაშუალებულია წყვეტილი ხაზებით. მთლიანი ხაზი I შეესაბამება ჩჟუნის და სებანის ფორმულას ლამინარულ-ტალღურ რეჟიმისათვის, რომელიც აღებულია გამოკვლევებიდან [12], ხოლო, ხაზი II შეესაბამება დ. ლაბუნცოვის ფორმულას აფსკის ტალღურიდან ტურბულენტურ რეჟიმში გარდამავალი ზონისათვის [13].

როგორც ნახ.1-დან ჩანს, გლუვი ზედაპირებისათვის თბოგაცემის ინტენსიურობის დამოკიდებულება რეინოლდსის რიცხვზე კარგ თანხვედრამია ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან. რაც შეეხება ხორკლიან ზედაპირებს, ჩამოდინების ლამინარულ რეჟიმში, ზედაპირის ხორკლიანობა არავითარ გავლენას არ ახდენს თბოგაცემის ინტენსიურობაზე, მაგრამ აშკარად შეინიშნება ლამინარული აფსკის ტურბულიზაცია რეინოლდსის გაცილებით უფრო ნაკლები მნიშვნელობის დროს, ვიდრე ამას ადგილი აქვს გლუვი ზედაპირების შემთხვევაში. ხსენებული ტურბულიზაცია ხორკლიანობის შვერილების დიდი სიმაღლის შემთხვევაში ხდება უფრო მცირე რეინოლდსების დროს, ვიდრე შვერილების მცირე სიმაღლის შემთხვევაში. გარდა ამისა, ლამინარულიდან ტურბულენტურში გარდამავალი რეჟიმის დროს ხელოვნური ხორკლიანობა განაპირობებს თბოგაცემის ინტენსიურობის მნიშვნელოვან ზრდას. ამასთან, ინტენსივიკაციის ხარისხი იზრდება შვერილების სიმაღლის ზრდით. ასევე მნიშვნელოვანია ხორკლიანობის ეფექტი თბოგაცემაზე ტურბულენტურ რეჟიმში. ამ შემთხვევაში აღნიშნული ეფექტი პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული შვერილების სიმაღლეზე.

მიღებული შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს მაღალეფექტური თბური დანადგარების დაპროექტებასა და დამზადებას.

The effect of the height of the roughness elements on the intensification of heat transfer at water film flow on a vertical pipe

Tengiz Magrakvelidze, Giorgi Gigineishvili, Avksenti Mikashavidze, Tariel Koberidze, Khatuna Lomidze

Summary

The urgency of the problem and the need for its further research are shown. A brief description of the experimental setup and the experimental technique are given. The experiments were carried out under the conditions of runoff of a water film on the outer surface of vertically arranged smooth and rough pipes. The diameter of the heat transfer pipe $d = 10\text{mm}$, and the length $l = 200\text{mm}$. The roughness was created by spiral winding on the heat transfer pipe. The height of the roughness elements h was 0.3 mm , 0.5 mm and 1 mm . The step ratio between the roughness elements to height $s/h = 10$. The experiments were carried out on water with the Prandtl number - $Pr = 10$. The Reynolds number Re was varied from 250 to $10,000$.

It was determined that in the laminar regime of the film draining the roughness of the heat-transfer surface has practically no effect on the heat transfer. In the transition regime the effect is significant. At the same time, the effect grows with the increasing height of the roughness elements. In the turbulent regime the effect is significant too. At that time the degree of intensification does not depend on the height of the roughness elements.

Влияние высоты элементов шероховатости на интенсификацию теплоотдачи при стекании водяной пленки по вертикальной трубе

Тенгиз Маграквелидзе, Гиორგი Гигინეишвили, Авксентий Микашавидзе, Тариел Коберидзе, Хатуна Лომидзе

Резюме

Показана актуальность проблемы и необходимость ее дальнейшего исследования. Дано краткое описание опытной установки и методика проведения экспериментов. Опыты проводились в условиях стекания водяной пленки на внешней поверхности вертикально расположенных гладкой и шероховатых труб. Диаметр теплоотдающей трубы $d=10\text{мм}$, а длина $l=200\text{мм}$. Шероховатость создавалось путем спиральной намотки на теплоотдающую трубу. Высота элементов шероховатости h была 0.3мм , 0.5мм и 1мм . Отношение шага между элементами шероховатости – $s/h=10$. Эксперименты проводились на воде при числе Прандтля – $Pr=10$. Число Рейнольдса Re менялось от 250 до 10000.

Установлено, что при ламинарном режиме стекания пленки шероховатость теплоотдающей поверхности практически не оказывает влияния на теплоотдачу. В переходном от ламинарного в турбулентном режиме влияние является существенным. При этом, эффект растет с увеличением высоты элементов шероховатости. В турбулентном режиме степень интенсификации не зависит от высоты элементов шероховатости.

ლიტერატურა – References – Литература

1. Gomelauri V. – Influence of two – dimensional artificial roughness on convective heat transfer. Int. J. of Heat and Mass Transfer, v.7, №6, 1964, pp.653-663.
2. Гомелаури В., Канделаки Р., Кипшидзе М. Интенсификация конвективного теплообмена под воздействием искусственной шероховатости. В кн. Вопросы конвективного теплообмена и чистаты водяного пара. Изд-во АН ГССР, 1970, с.98-131.
3. Гомелаури В., Маграквелидзе Т., Микашавидзе А., Джамарджашвили В., Чучулашвили Т. Экспериментальное исследование интенсификации теплоотдачи гелия методом двух размерной шероховатости. Сообщения АН ГССР, 1974, том 79, №1, с.137-140.
4. Калинин Е., Дрейцер Г. Ярхо С. - Интенсификация теплообмена в каналах. М.: Машиностроение. 1972, 219с.
5. Николаев Н., Войнов Н. Теплоотдача в пленке жидкости, стекающей по стенке канала с крупномасштабной шероховатостью при больших числах Рейнольдса. Известия Российской академии наук Энергетика. 2005. с.11-15.
6. Б.И.Нигматулин, М.З.Горюнова, Ю.В.Васильев. К обобщению опытных данных по теплоотдаче при течении жидких пленок вдоль твердых поверхностей. ТВТ, 1981, том 19, выпуск 5, 991-1001
7. მაგრაქველიძე თ., მიქაშავიძე ა., ლომიძე ხ., ბანცაძე ნ. თბოგაცემის ინტენსიფიკაცია ვერტიკალურ ზედაპირზე წყლის აფსკის ჩამოდინების დროს. სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი, 2017. გვ. 47-51.

8. მაგრაქველიძე თ., გიგინეიშვილი გ., მიქაშავიძე ა., კობერიძე ტ., ლომიძე ხ. თბოგაცემა გლუვ და ხორკლიან ზედაპირებზე წყლის აფსკის ჩამოდინების დროს. ენერგია. თბილისი 2019. გვ.35-39
9. ANDERS ÅKESJÖ Thesis for the degree of doctor of philosophy. Hydrodynamics and Heat Transfer in Vertical Falling Films with Smooth and Modified Heat-Transfer Surfaces – An Experimental and Numerical Investigation. Gothenburg, Sweden 2018.
10. მაგრაქველიძე თ., მიქაშავიძე ა., ბანცაძე ნ., ლომიძე ხ., ლეკვეიშვილი ნ. ხელოვნური ხაოიანობის გავლენა ვერტიკალურ ზედაპირზე ჩამომდინარე აფსკის თბოგაცემაზე. სტუ არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი, 2016. გვ.39-44
11. Чиркин В. Теплофизические свойства материалов ядерной техники. Атомиздат. Москва, 1968. 483 ст.
12. Володин О. Теплообмен и кризисные явления при пленочном течении бинарной смеси хладонов на гладких и структурированных поверхностях. Диссертация на соискание ученой степени кандидата физико-математических наук. Новосибирск 2014.
13. Лабунцов Д. А. Теплоотдача при пленочной конденсации чистых паров по вертикальных поверхностях и горизонтальных трубах, Теплоэнергетика. 1957. №2, с.49-51.

მუსიკალური ინსტრუმენტების ავტომატური აწყობა

თამაზ ტროყაშვილი, გურამ ურუშაძე, ნოდარ შენგელია, ნინო დოლონაძე

Email: tmt-10@mail.ru

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მუსიკალური ინსტრუმენტების ავტომატურად აწყობის სქემა. რხევები იზომება მიკროფონის გამოყენებით. გამოყენებულია ორი აქტიური ზოლოვანი ფილტრი. პირველი აწყობილია მუსიკალური რხევის შესაბამის რეზონანსულ სიხშირეზე. მეორე არის გამზომი ფილტრი. აწყობისათვის გამოყენებულია ძრავი რედუქტორით. ძრავის მართვის სქემაში შემოტანილია უგრძობლობის ზონა. აწყობის სიზუსტე $0,1 \div 1$ ჰერცი.

საკვანძო სიტყვები:


მუსიკალური ინსტრუმენტები, აწყობა, მოწყობილობა, ინდიკატორი.


სტატიაში [1] განხილული იყო მუსიკალური ინსტრუმენტების ასაწყობი მოწყობილობა, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი მუსიკალური ინსტრუმენტის: პიანინო, ვიოლინო, ექსსიმინი და შვიდსიმინი გიტარების და სხვა ინსტრუმენტების აწყობა.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია ავტომატური აწყობის სტრუქტურული სქემა. მუსიკალური ინსტრუმენტიდან მიღებული რხევა M მიკროფონისა და გამლიერების შემდეგ მიეწოდება Φ_1 ფილტრს. Φ_1 ფილტრი წარმოადგენს აქტიურ ზოლოვან ფილტრს, რომელიც აწყობილია ასაწყობი სიმის შესაბამის რეზონანსულ სიხშირეზე.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია Φ_1 ფილტრის ელექტრული სქემა, რომელიც გამოიყენება ფორტეპიანოს აწყობისათვის.

Φ_1 ფილტრის სიხშირული დიაპაზონი არის 130,8 Gy-261,6 Gy. ეს დიაპაზონი არის პიანინოს ერთი ოქტავის დიაპაზონი: $\Delta\omega$ - დან გადამრთველის საშუალებით სიმების აწყობა ხორციელდება შესაბამის რეზონანსულ სიხშირეზე. მაგალითად: ნოტა $\Delta\omega$ - 261,6 რეზონანსული სიხშირე ხორციელდება R_3 -წინააღმდეგობის შერჩევით.





ნახ. 2

ნახ. 2-ზე მოყვანილი ფილტრის პარამეტრები იანგარიშება ცნობილი ფორმულებით. საწყის ეტაპზე შეირჩევა კონტურის ვარგისიანობა Q . მოცემული სქემისათვის Q ნაკლები უნდა იყოს 10-ზე. ეს შეზღუდვა განაპირობებს ფილტრის მდგრად მუშაობას და გამორიცხავს ავტორხევით პროცესს, რომელიც შესაძლებელია აღიძრას ამ ფილტრში.

შევარჩიოთ: $Q=8$, $C_1=C_2=0.15$ მკფ. R_2 წინააღობა იანგარიშება ფორმულით

$$R_2 = \frac{Q}{\Pi f_0 C}, \quad R_1 = \frac{-A_1 R_2}{2}, \quad R_3 = \frac{-A_1 R_2}{2Q^2 + A}$$

f_0 რეზონანსული სიხშირეა, A_1 - ფილტრის გაძლიერების კოეფიციენტი, $A_1=-1$. [2]

მოცემული ფილტრისათვის $R_2, R_1, C=C_1=C_2$ მუდმივი სიდიდეებია, ამიტომ ფილტრის გადაწყობა სხვა რეზონანსულ სიხშირეებზე, შესაძლებელია R_3 წინააღობის ცვლილებით. რადგან R_2 მუდმივი სიდიდეა, ამიტომ სიხშირის ცვლილება 261,6 ჰერციდან 130,8 ჰერცამდე, ანუ სიხშირის ორჯერ შემცირება გამოიწვევს Q -ს ცვლილებას 8-დან 4-მდე. ამავე დროს ფილტრის გატარების ზოლი რჩება უცვლელი. Φ_1 ფილტრის პარამეტრების შერჩევას განსაკუთრებული როლი ენიჭება. სხვადასხვა ინსტრუმენტების აწყობამ გვიჩვენა რომ Φ_1 ფილტრს შეუძლია გამოყოს სიხშირეები, რომლებიც არსებობენ მუსიკალურ ინსტრუმენტებში 130,8 ჰერცის ქვედა დიაპაზონში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ Φ_1 ფილტრს შეუძლია შეასუსტოს ძირითადი სიგნალი და გამოყოს ჰარმონიკები. Φ_1 ფილტრის ასეთი მახასიათებელი საშუალებას გვაძლევს ავაწყოთ ის სიმები, რომელთა სიხშირეები ნაკლებია 130,8 ჰერცზე: ქვედა ოქტავა: 65,4-130,8 ჰერცი, ოქტავა 32,7-65,4 ჰერცი.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია კომპარატორი K_1 უზრუნველყოფს სიხშირის გაზომვას Φ_1 ფილტრიდან გამოსული მილევადი რხევის ამპლიტუდისაგან დამოუკიდებლად. Φ ფილტრი წარმოადგენს გამზომ ფილტრს. მისი პარამეტრების ანგარიში არის ისეთივე, როგორცაა Φ_1

ფილტრი. განსხვავებაა მხოლოდ რეზონანსულ სიხშირეში. როდესაც Φ_1 აწყობილია რეზონანსულ სიხშირეზე 261,6 ჰერცი, Φ ფილტრი ეწყობა 12-15 ჰერცით მეტ სიხშირეზე.

f_0 - არის ასაწყობი სიმის - შესაბამისი ძაბვა რეზონანსულ სიხშირეზე. როდესაც სიმი აწყობილია, მაშინ $\Delta f = f_0 - f = 0$. Δf -ის გაჩენის შემთხვევაში მოძრაობას იწყებს რევერსიული ძრავი. რედუქტორი - გადაცემის ფუნქციით K/p . K კოეფიციენტი განსაზღვრავს რედუქტორის ბრუნთა რიცხვს, რომელიც უნდა იყოს დაბალი სიხშირის და საკმაო სიმძლავრის იმ გაგებით, რომ თავისუფლად დაძლიოს სიმის დამჭერის უძრაობის მომენტი. ფორტეპიანოს შემთხვევაში მას "ვირბელი" ეწოდება. კომპარატორი K_2 -ით იმართება რევერსიული ძრავი, მასში შემოტანილია უგრძობლობის ზონა, რომელიც განსაზღვრავს სიმის აწყობის სიზუსტეს. ეს ზონა შესაძლებელია იცვლებოდეს დიაპაზონში $0,1 \div 1$ ჰერცის შესაბამისად.

Automatic assembly of musical instruments

Tamaz Trokashvili, Guram Urushadze, Nodar Shengelia, Nino Dogonadze

Summary

An automatic tuning scheme for musical instruments is considered. A microphone is used. The circuit contains active bandpass filters. The first filter is tuned to the resonant frequency of the string. The second filter is used as a measuring one. A motor with a gearbox is used for tuning. A deadband has been introduced in the engine control circuit. The accuracy of the settings is $0.1 \div 1$ Hertz.

Автоматическая сборка музыкальных инструментов

Тамаз Трокашвили, Гурам Урушадзе, Нодар Шенгелия, Нино Догонадзе

Резюме

Рассматривается автоматическая схема настройки музыкальных инструментов. Используется микрофон. Схема содержит активные полосовые фильтры. Первый фильтр настроен на резонансную частоту струны. Второй фильтр используется как измерительный. Для настройки используется двигатель с редуктором. В схеме управления двигателем введена зона нечувствительности. Точность настройки $0,1 \div 1$ Герц.

ლიტერატურა – References – Литература

1. ტროყაშვილი თ. - "ელექტრომექანიკური ობიექტების მართვის საკითხები მათი ხმაურის გამოყენებით". I საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“ 7-11.10.2019 წ.
2. Титце У., Щенк К. – Полупроводниковая схемотехника. МИР, 1983.
3. ტროყაშვილი თ. - აქტიური ზოლოვანი ფილტრები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია <<მართვისა და ენერგეტიკის პრობლემები>> №8, გვ.215, თბილისი 2004 წ. გამომცემლობა „ინტელექტი.“

მრავალსახსრული სამრეწველო რობოტი ადაპტური მართვის სისტემით

დავით ფურცხვანიძე, ოთარ ლაბაძე, ვერიკო ბახტაძე,
ქეთევან კვირიკაშვილი, მერი გეგეჭკორი

dpurcxvani@gmail.com

რეზიუმე

განიხილება მეორე თაობის სხვადასხვა ტიპის სენსორებით აღჭურვილი რობოტები. მოყვანილია რობოტების „გამგრძობიერების“ საშუალებები. განიხილება გეომეტრიული და ფიზიკური თვისებების სენსორები. აღწერილია სატელევიზიო კამერით აღჭურვილი ვიზუალური მართვის სისტემა სამრეწველო რობოტის სამართავად. მოყვანილია ადაპტური ვიზუალური მართვის პროცესის ეტაპები. განხილულია ოპტიკური ინფორმაციის წინასწარი დამუშავების სახეები: სტრუქტურირებული განათება, დიფუზური განათება, ობიექტის უკნიდან განათება, მიმართული განათება, მოდულირებული განათება. გაშუქებულია ჩვენ მიერ დაგეგმარებული, მრავალსახსრული საწარმოო რობოტის მართვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვიზუალური მართვის სპეციალური მოწყობილობები თითოეული სახსრის კოორდინატების დასადგენად მუშაობის ნებისმიერ მომენტში.

საკვანძო სიტყვები:

ადაპტური მართვა, სამრეწველო რობოტი, ვიზუალური მართვის სისტემა, სენსორები.

წარმოების კომპლექსური ავტომატიზაციის ამოცანების გადაწყვეტისას დიდი ყურადღება ექცევა რობოტ-ტექნიკას, როგორც ეფექტურ და საკმაოდ უნივერსალურ საშუალებას ყველაზე შრომატევად, მაგნე ან ადამიანის ჯამრთელობისათვის სახიფათო ხელით შრომის შესაცვლელად, რომელიც ამასთანავე მნიშვნელოვნად ამალღებს შრომის ნაყოფიერებას, წარმოების რიტმულობასა და მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქციის ხარისხს.

მეცნიერებისა და წარმოების მიერ შეიქმნა ყველაზე მრავალფეროვანი რობოტ-ტექნიკური სისტემები - უმარტივესი ავტომატური მანიპულატორებიდან დაწყებული, ყველაზე რთულ კიბერნეტიკულ მანქანებამდე.

რობოტები, მათი მართვის სისტემების სირთულის მიხედვით, იყოფა სამ თაობად: პირველი თაობა - რობოტები პროგრამული მართვით. ამ შემთხვევაში, პროგრამული მართვა გულისხმობს ოპერაციების მყარ კოდირებულ თანმიმდევრობას. ასეთ რობოტებს შეუძლიათ ფუნქციონირება მხოლოდ კარგად ორგანიზებულ გარემოში.

მეორე თაობა - ტექნიკური გრძობებით აღჭურვილი რობოტები, ან მგრძობიარე რობოტები. სენსორული ორგანოების როლს ასრულებს მრავალფეროვანი სენსორი - ტაქტილური, ძალური, ვიზუალური, ადგილმდებარეობის და ა.შ. ასეთ რობოტებს შეუძლიათ მუშაობდნენ როგორც წინასწარ განსაზღვრული პროგრამის შესაბამისად, ისე ინფორმაციის სენსორებისგან მიღებული მაკორექტირებელი ბრძანებების შესაბამისად. სენსორული რობოტების მთავარი მახასიათებელია ფუნქციონირების პროცესში ადაპტაციისა და სწავლის უნარი და, შესაბამისად, არასაკმარისად ორგანიზებულ, ნაწილობრივ ცვალებად გარემოში მუშაობის უნარი.


მესამე თაობა - რობოტები ტექნიკური ან ხელოვნური ინტელექტით. ასეთი რობოტები „მგრძობიარე“ ადაპტირებული რობოტების შემდგომი განვითარებაა. მათ შეიძლება გარშემო არსებული სამყაროს ანალიზისა და მათი ქცევის დაგეგმვის საშუალებები, რაც მათ უნარს აძლევს შეასრულონ მუშაობა გარე გარემოში მნიშვნელოვანი გაურკვევლობისა და შემთხვევითი ორგანიზების პირობებში.

რობოტების აღჭურვა ტექნიკური შეგრძნებებით ბუნებრივი და ამავე დროს ეფექტური საშუალებაა ორი ძირითადი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად - მანიპულირების მუშაობის სიზუსტის გაუმჯობესება და რობოტის ავტონომიური ფუნქციონირების უზრუნველყოფა მრავალფეროვან ცვლად პირობებში [1]. ამ ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად, აუცილებელია რობოტს მივცეთ ორი ტიპის მგრძნობელობა: პირველ რიგში, რობოტმა უნდა იგრძნოს საკუთარი თავი, ანუ სენსორების გამოყენება მოახდინოს ყველა მოძრაობის შედეგის ჩასაწერად და შეაფასოს ამ მოძრაობების სისწორე; მეორეც - რობოტმა უნდა იგრძნოს გარემო, ანუ მისი კორექტირება და მისი მოძრაობები უკავშირდება მის გარეთ მდებარე ობიექტებსა და მათ მოძრაობებს. რობოტი გრძნობს საკუთარ თავს სენსორების გამოყენებით უკუკავშირის გადამწოდების სახით, რომლებიც ზომავენ რობოტის კვანძების პოზიციებს, მოძრაობის სიჩქარეს თავისუფლების თითოეული თავისუფლების ხარისხისათვის მანიპულატორთა კვანძების აჩქარების ან დამუხრუჭების სიდიდეებს.

გეომეტრიული თვისებების სენსორები ასრულებენ მთელ რიგ ფუნქციებს:

1. ვზლუდავთ რობოტის კვანძების გადაადგილებას რობოტის შეხებით ან საგნებთან კონტაქტის შედეგად გარე გარემოში. ამაში შედის ე.წ. ტაქტილური გადამწოდები კიდური გამომრთველების ან პიეზოელემენტების სახით.
2. ვადგენთ მიმდებარე ობიექტებამდე მანძილს ან ობიექტების ზომასა და ორიენტაციას ადგილმდებარეობის გაზომვებით. ასეთ სენსორებს მიეკუთვნებიან ოპტიკური, ულტრაბგერითი და რადიოტექნიკური მანძილზომები, ასევე საკაბელო ტელევიზიის სისტემები.

ფიზიკური თვისებების სენსორები ასრულებენ ფუნქციებს: ძალებისა და მომენტების გაზომვის; თხევადი, მყარი და აირისებრი ნივთიერებების სიმკვრივისა და წნევის გაზომვების; ტემპერატურის გაზომვების; ფერის და სუნის დადგენის.



ნახ.1


ნახ. 1-ზე წარმოდგენილია ადაპტირებული რობოტის ზოგადი სახე სატელევიზიო ვიზუალური გამგრძნობიერებით. რობოტის მიზანია ნებისმიერად ორიენტირებული დეტალის გადატანა მოძრავი კონვეიერის სარტყლიდან; სატელევიზიო კამერის გამოყენებით მისი პოზიციის, ორიენტაციისა და სიჩქარის დადგენითა და მიღებული მონაცემების მიხედვით კომპიუტერის გამოყენებით ადაპტაციის მართვის სიგნალების მიწოდება

რობოტის ამძრავ მექანიზმებზე. ამ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სურათის აღქმა კამერით, აღქმის შედეგად მიღებული სცენის დაშლა ინფორმაციულ არეებად, დეტალის გამოსახულების აღწერა, დეტალის გამოცნობა და მიღებული გამოსახულების ინტერპრეტაცია რობოტზე საჭირო დეტალის ჩასაჭერად მართვის ბრძანებების ფორმირებისათვის. ამრიგად, ადაპტური ვიზუალური მართვის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს (ნახ.2): ობიექტის ან სცენის გამოსახულების აღქმა; გამოსახულების წარმოდგენა; სახის გამოცნობა; სცენის ინტერპრეტაცია; ადაპტური მართვის კანონის სინთეზი.

ოპტიკური ინფორმაციის წინასწარი დამუშავება [2]. წინასწარი დამუშავების ძირითად მეთოდად ვიყენებთ სცენის სტრუქტურირებულ განათებას.


მრავალსახსრული რობოტის ცალკეული კვანძების (თითოეული სახსრის) ადგილმდებარეობის დასადგენად ვახდენთ სახსრების მონიშვნას სხვადასხვა ფერის საღებავით. მათი გამორჩევა ხდება შუქფილტრებით ოპტიკური ინფორმაციის წინასწარი დამუშავების დროს.

სტრუქტურირებული განათება შესაძლებელს ხდის მინიმუმამდე დაიყვანოს გამოსახულების სირთულე, მაგრამ, ამავე დროს, მაქსიმალურად გაზარდოს სურათიდან მიღებული ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც კომპიუტერს გადაეცემა შემდგომი დამუშავებისთვის.




ნახ. 2

სტრუქტურირებული განათების მეთოდების შერჩევა ხორციელდება განათებული ობიექტების სპეციფიკიდან გამომდინარე.




ნახ. 3

საკმარისად რეგულარულად გაგლუვებული ობიექტებისთვის გამოიყენება დიფუზური განათება (ნახ. 3), ე.ი. განათება დიფუზური შუქით, მაგრამ სხვადასხვა მხრიდან - მარჯვნიდან, მარცხნიდან, წინიდან, ზემოდან. ჩრდილების ხაზების ერთობლივი დამუშავება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ საჭირო ინფორმაცია სურათზე ობიექტის შესახებ. კონტურული ან სილუეტური ობიექტებისთვის, ეფექტურია უკნიდან განათება. (ნახ. 4).




ნახ.4

არასწორი ზედაპირებისთვის სასარგებლო მეთოდია მიმართული განათება (ნახ. 5), რომელიც აძლიერებს და ხაზს უსვამს უსწორმასწორობის ბუნებას.



ნახ. 5

რთული ფორმის ობიექტების შემთხვევაში ვიყენებთ მოდულირებულ განათებას (ნახ. 6) სინათლის ლაქების, ზოლების, ბადეების და ა.შ. პროექციით ობიექტზე.



ნახ. 6

სტრუქტურირებული განათების გამოყენებით ოპტიკური ინფორმაციის წინასწარი დამუშავება ემყარება ობიექტის ამრეკლავი თვისებების კონტროლირებად ცვლილებებს, რათა გაძლიერდეს მისი აღქმა სენსორული სისტემის საშუალებით.

სახის წარმოდგენა არის ვიზუალური ინფორმაციის დამუშავების შემდეგი ეტაპი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გამოსახულების გადატანა ციფრული დამუშავებისთვის შესაფერის ფორმაში, შემდეგ კი მოვახდინოთ მისი კოდირება შემდგომი ამოცნობისთვის.

სურათის წარმოდგენა, თავის მხრივ, იყოფა ორ ეტაპად: პირველზე ვამუშავებთ გამოსახულების აღქმის შედეგად მიღებულ ანალოგურ სიგნალს; მეორე ეტაპზე ხორციელდება ციფრულ ფორმაში გადაყვანილი სიგნალების ანალიზი.

სურათის წინასწარი დამუშავება ხორციელდება ანალოგური ფორმით. წინასწარი დამუშავების საფუძველია სეგმენტაცია – გამოსახულების ინფორმაციულ კომპონენტებად გარდაქმნის პროცესი. სეგმენტაცია, ერთი მხრივ, ამჟღავნებს ვიზუალური სისტემის ხედვას და, მეორეს მხრივ, შესაძლებელს ხდის გარდაიქმნას ციფრულ ფორმაში არა სახის მთელი ნიუანსები, არამედ მისი წერტილების მხოლოდ ნაწილი.

ჩვეულებრივ, სეგმენტაციის ყველაზე გავრცელებული მეთოდები დაიყვანება ორი პრინციპის გამოყენებამდე: უწყვეტობის ხარვეზების დაფიქსირება და გამოსახულების მიმდებარე წერტილების მსგავსების დადგენა.

პირველი პრინციპი ხორციელდება კონტურის და საზღვრის დადგენის მეთოდებში. ამ შემთხვევაში, გამოსახულება დისკრეტულად სკანირდება სპეციალურად ჩამოყალიბებული ნიღბით. გამოსახულების წყვეტათა მიხედვით, ნიღბის ქვეშ გამოითვლება გრადიენტის მნიშვნელობები. ნიღბის ქვეშ არსებული გამოსახულების დისკრეტულობიდან გამომდინარე, გრადიენტის მნიშვნელობებია გამოთვლილი, რის შედეგადაც ინახება მხოლოდ კონტურის მრუდები ინტენსივობის და გრადიენტული მნიშვნელობების მკვეთრი ცვლილებების ადგილებში. კონტურული სურათების შემდგომი დამუშავება გამარტივებულია კომპიუტერში შესული ინფორმაციის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირების გამო.

მეორე პრინციპი – მსგავსების დადგენა – ხორციელდება ზღურბლური ლოგიკის მეთოდებში [3].

დავუშვათ x, y იყოს გამოსახულების წერტილების კოორდინატები ინტენსივობით $C_i(x, y)$, სადაც i - წერტილების საერთო რაოდენობაა.

ზღურბლური სურათი ფორმირდება სეგმენტირებული $S_i(x, y)$ ფუნქციისა და ინტენსივობის ზღურბლური მნიშვნელობების A_k -ს გამოყენებით

$$S_i(x, y) = k, \text{ თუ } A_k \leq C_i(x, y) < A_{k+1}$$

სადაც k არის სიკაშკაშის ზღურბლების რაოდენობა.


სიკაშკაშის ერთადერთი ზღურბლის შემთხვევაში გვაქვს ბინარული სეგმენტაცია

$$S(x, y) = \begin{cases} 0, & \text{თუ } C_i(x, y) < a; \\ 1, & \text{თუ } C_i(x, y) \geq a; \end{cases}$$

თუ ზღურბლის a - მნიშვნელობა მხოლოდ ინტენსივობის A - ს ფუნქციაა, მაშინ იგი იქნება გლობალური ზღურბლი და გამოიყენება იმ სურათების სეგმენტაციისთვის, რომლებიც კარგად არის განცალკევებული ფონიდან. გლობალური ზღურბლი შეიძლება იყოს მონოქრომატული ინტენსივობა (მაგალითად, ობიექტების სილუეტური გამოსახულებები, რომლებიც მიღებულია უკნიდან დაშუქებით). განსხვავებული ობიექტის ფერი ასევე გლობალური ზღურბლური მახასიათებელია.

დამუშავების შემდგომი ეტაპები - ნიმუშის ამოცნობა, სცენის ინტერპრეტაცია და ადაპტური მართვის სინთეზი - ხორციელდება ციფრული ფორმით, გამომთვლელი მოწყობილობების ან კომპიუტერების გამოყენებით. ამ ეტაპებზე სისტემა მიაჩნებს ობიექტებს სხვადასხვა კლასებს, აიგება გარე სცენის მოდელი, შედეგად მიღებული გამოსახულების კოორდინატები გარდაიქმნება ბრძანებებად რობოტის საწყისი პროგრამული ტრაექტორიის შესწორების მიზნით.

ავტომატური მართვის თეორიის ინტენსიური განვითარება მჭიდრო კავშირშია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგების სწრაფ განვითარებასთან, რომელშიც გამოიყენება მისი მეთოდები და პრინციპები, კომპიუტერული შესაძლებლობების მზარდი გავრცელებითა და გაფართოებით, ამ უკანასკნელის შედეგით მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ყველა სფეროში.



ნახ. 7

მრავალსახსრული სამრეწველო რობოტის ადაპტური მართვისათვის ჩვენ მიერ დაგეგმარებული იქნა ვიზუალური მართვის სპეციალური მოწყობილობა თითოეული სახსრის კოორდინატების დასადგენად მუშაობის ნებისმიერ მომენტში. ამ მიზნით თითოეული სახსარი იღებება ერთი განსაზღვრული ფერით. ჩვენს შემთხვევაში ხუთსახსრიანი რობოტისთვის გამოვიყენეთ: შავი, წითელი, მწვანე და ყვითელი ფერები (ნახ. 7). შუქფილტრების მეშვეობით ხდება მათი ამოცნობა და თითოეული სახსრის მდებარეობა დგინდება შესაბამისი ფერის მიხედვით. ცალკეული სახსრების მდებარეობის ცოდნა ამარტივებს მართვის პროცესს. კერძოდ, საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად განვსაზღვროთ ჯერ პირველი, შემდეგ მეორე და ა. შ. სახსრების მდებარეობები. შესაბამისად ჯერ მოვახდენთ პირველი სახსრის მდებარეობის კორექტირებას, შემდეგ მეორე სახსრისა და

ა.შ. ამდენად, მთელი მრავალსახსრული რობოტის მართვა დაიყვანება ცალ-ცალკე თითოეული სახსრის მართვაზე.

A multi-hinge industrial robot with an adaptive control system

D.Purtskhvanidze, O.Labadze, V.Bakhtadze, K.Kvirikashvili, M.Gegechkori

Summary

The second-generation robots equipped with different type of sensors are discussed. The methods of robots' "sensing" are presented. The sensors with geometric and physical properties are discussed. The visual control system equipped with a television camera for controlling an industrial robot is described. The stages of the adaptive visual control process are given. The types of preliminary optical information processing such as structured stage lighting, diffusion lighting, backlighting, directional lighting, modulated lighting are discussed. The control mode, which we have developed especially to control a multi-hinge industrial robot allowing to fix each hinge at any time of the robot's activity, is described in the given work.

Многошарнирный промышленный робот с адаптивной системой управления

Д. Пурцхванидзе, О. Лабадзе, В.Бахтадзе, К. Квирикашвили, М.Гегечкори

Резюме

Обсуждаются роботы второго поколения, оснащенные сенсорами разных типов. Описаны способы «очувствления» роботов. Обсуждаются датчики с геометрическими и физическими свойствами. Описывается система визуального контроля, оснащенная телевизионной камерой для управления промышленным роботом. Приведены этапы процесса адаптивного визуального управления. Обсуждены типы предварительной оптической обработки информации: структурированное освещение сцены, диффузионное освещение, задняя подсветка, направленное освещение, модулированное освещение.

В работе описан разработанный нами способ управления, предназначенный специально для управления многошарнирным промышленным роботом, позволяющим определять местоположение каждого шарнира в любой момент времени работы робота.

ლიტერატურა – References – Литература

1. Юревич Е.И. Основы робототехники: учеб. пособие 2-е изд. - СПб.: 2005.
2. Демин А. В. Адаптивное управление модульным хоботовидным манипулятором // Молодой ученый. —2016. —№3. — ст. 47–52.
3. Astrom K. J. and Wittenmark B., Adaptive Control, Addison-Wesley, 1989, 2d ed. 1994.

ახალი ტიპის მრავალსახსრიანი რობოტი

დავით ფურცხვანიძე, ოთარ ლაბაძე, პანაიოტ სტავრიანიძი, ვერიკო ბახტაძე,
გიორგი კიკნაძე
dpurcxvani@gmail.com

რეზიუმე


ნაშრომში განიხილება ახალი ტიპის მრავალსახსრიანი საწარმოო რობოტი და მისი უპირატესობა პროტოტიპებთან შედარებით. აღწერილია მრავალსახსრიანი რობოტისათვის დამუშავებული სახსარი. ყოველი სახსარი შედგება ძირითადი პლატფორმისაგან, რომელზედაც დამაგრებულია სახსრის წინა რგოლის მიმართ ღეროს გადამხრელი სერვომრავა და ძირითად პლატფორმასთან გორგოლაჟ-საკისრით დაკავშირებული მცირე პლატფორმისაგან, რომელზედაც ხისტადაა მიბმული ძირითადი პლატფორმის ირგვლივ მბრუნებელი სერვომრავა;

ახალი ტიპის რობოტი გამოიცხავს გვარლების დეფორმაციასთან დაკავშირებულ ცდომილებებს. გამარტივებულია ტრაექტორიის დაგეგმვის ამოცანაც. საკმარისია სახსრის მეზობელ სახსართან ურთიერთგანლაგების გამოთვლა და კოორდინატთა ნაზრდების შეკრება.

საკვანძო სიტყვები:


საწარმოო რობოტი, მრავალსახსრიანი რობოტი, რობოტის სახსრის კონსტრუქცია, სერვომრავები.

ჩვენ მიერ ადრე დამუშავებული იყო ორი ტიპის მრავალსახსრიანი საწარმოო რობოტი [1, 2].



ნახ. 1


ამ რობოტების შემდეგ დავამუშავეთ ორი გვარლით სამართი მრავალსახსრიანი რობოტი (ნახ. 1). ორი გვარლით სამართი რობოტის სახსარი მანქანათმშენებლობაში კარგად ცნობილი კარდანული სახსარის მსგავსია (ნახ. 2). მანქანათმშენებლობაში გავრცელებული



ნახ. 2

კარდანული გადაცემიდან იგი განსხვავდება დაჭიმვაზე მომუშავე ორი ზამბართით. ეს ზამბარები ახდენენ სახსრის წინა რგოლის უკან დაბრუნებას ზამბარის მოპირდაპირე გვარლის მოდუნებისას.

წინამდებარე სტატიაში შემოთავაზებული ახალი ტიპის მრავალსახსრიანი რობოტი, მანამდე აღწერილი რობოტებისგან განსხვავდება იმით, რომ მის კონსტრუქციაში საერთოდ არაა გამოყენებული გვარლები. ამ რობოტის კინემატიკური სქემა მოყვანილია ნახ. 3-ზე.




ნახ. 3

ყოველ სახსარში ხდება შემობრუნება სახსრის წინა რგოლის მიმართ α კუთხით და გადახრა წინა რგოლის ღეროს მიმართ β კუთხით. „უგვარლო“ რობოტის ერთი სახსრის კონსტრუქციის გამარტივებული სქემა წარმოდგენილია ნახ. 4-ზე. აქ 5 არის


სახსრის წინხედი ჭრილში, ხოლო 6 – სახსრის ზედხედი. ნახაზ 4-ზე: 1 – სახსრის წინა რგოლის მიმართ ღეროს გადამხრელი სერვომოტორი; 2 – სახსრის წინა რგოლის ირგვლივ ღეროს მობრუნებელი სერვომოტორი; 3 – სახსრის მის წინა სახსართან დამაკავშირებელი ღერო; 4 – სახსრის მის უკანა სახსართან დამაკავშირებელი ღერო; 5 – ძირითადი პლატფორმა; 6 – გადამხრელ

სერვომოტორთან დაკავშირებული ღეროს სამაგრი რგოლი; 7 – გორგოლაჭ-საკისარი; 8 – კბილანური გადაცემის კონუსური თავაკი; 9 – მცირე პლატფორმა. 2 – სერვომოტორი ახდენს შემობრუნებას წინა რგოლის მიმართ α კუთხით, ხოლო 1 – სერვომანქანა ახდენს გადახრას წინა რგოლის მიმართ β კუთხით.



ნახ. 4

ვიციტ რა სახსრების დამაკავშირებელი ღეროს L სიგრძე, ადვილად ვიპოვით ერთი სახსრის მდებარეობის განმსაზღვრელ კოორდინატებს წინა სახსრის მიმართ. ნახ. 5-ზე წარმოდგენილია წინა სახსართან უძრავად დაკავშირებული საკოორდინატო სისტემა XOYZ. ნახაზზე O წერტილი წინა სახსრის მდებარეობაა, A წერტილი კი მომდევნო სახსრისა. როგორც ნახაზიდან ჩანს, A წერტილის კოორდინატებია:



$$x_i = [L \cdot \cos(90^\circ - \beta_i)] \cdot \sin \alpha_i = L \cdot \sin \beta_i \cdot \sin \alpha_i;$$

$$y_i = L \cdot \cos \beta_i;$$

$$z_i = [L \cdot \cos(90^\circ - \beta_i)] \cdot \cos(90^\circ - \alpha_i) = L \cdot \sin \beta_i \cdot \sin \alpha_i.$$

აქ i სახსრის ნომერია ($i = 1, 2 \dots n$), სადაც n მრავალსახსრული რობოტის სახსრების საერთო რიცხვია.

რობოტის ბოლოში განთავსებული ჩამჭერის კოორდინატების განსასაზღვრად უნდა მოვახდინოთ თითოეული სახსრის წინამდებარე სახსრის მიმართ არსებულ კოორდინატა შეკრება. ჩამჭერის მდებარეობის კოორდინატები რობოტის სადგარის მიმართ გამოითვლება ფორმულებით:


$$x = \sum_i^n x_i ; \quad y = \sum_i^n y_i ; \quad z = \sum_i^n z_i$$

„უგვარლო რობოტის“ აგება შესაძლებელი გახდა თანამედროვე მინიატურული მძლავრი სერვომრავების მაღალი ტექნიკური მახასიათებლების რობოტ-ტექნიკაში შემოტანის შემდეგ, რამაც შესაძლებელი გახდა მანიპულატორის საიმედოობისა და სიზუსტის გაზრდა [3], [4], [5]. მანიპულატორის მართვა, რომელიც შეიცავს სახსრების მცირე რაოდენობასაც კი, რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა მოცემულია ამ სტატიაში. ამისათვის, მანიპულატორში შედის მმართველი მოწყობილობა აგებული მიკროკონტროლერზე, რომელიც, მანიპულატორის რგოლების ორიენტაციის კუთხეებს შორის მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, ითვლის ჩამჭერის კოორდინატებს. მმართველი მოწყობილობის მოქმედების აღსაწერად საკმარისია განვიხილოთ მანიპულატორი, რომელიც შეიცავს ორ სახსარს და სქემატურად ნახ. 6-ზეა წარმოდგენილი.

რგოლი შედგება ქვედა და ზედა ელემენტებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია სფერული სახსართ [2]. რგოლის ღერძული ხაზი მიმართულია დეკარტეს კოორდინატა სისტემის OY ღერძის გასწვრივ, ხოლო ასოებით $A_1, B_1, C_1, \dots, C_2$ აღნიშნულია პლატფორმების სანიშნი წერტილები. განვიხილოთ რგოლის მუშაობა. როდესაც ორიენტაცია იცვლება, რგოლის ფუძე რჩება სტაციონარული ლოკალურ კოორდინატა სისტემის მიმართ და A_0, B_0, C_0 წერტილების კოორდინატები არ იცვლება, ხოლო სახსარი და ღერძული ხაზი ცვლიან თავიანთ მდებარეობას ზედა ელემენტთან და პლატფორმების სანიშნ A_1, B_1, C_1 წერტილებთან ერთად.

თითოეული რგოლის ნებისმიერი ორიენტაცია შეიძლება განხორციელდეს რგოლის შემობრუნებით OX და OZ ღერძების მიმართ α და β კუთხეებით. მოდით განვიხილოთ ზედა სანიშნი წერტილების ახალი კოორდინატები. α და β ორიენტაციის კუთხეების დაყენების შემდეგ ასოებით $A_{2ახ.}, B_{2ახ.}, C_{2ახ.}$

კოორდინატა გარდაქმნები მანიპულატორის რგოლების შემობრუნებისას დროის რეალურ მასშტაბში გაანგარიშებისას მოითხოვს დიდ გამოთვლით რესურსებს და, შესაბამისად, მმართველი მოწყობილობის გამარტივებისთვის გადაწყდა რეალურ დროში მხოლოდ თითოეული რგოლის ცენტრალური ღერძული წერტილის კოორდინატების გამოთვლა, ხოლო ორიენტაციის კუთხური პარამეტრების შეტანა განხორციელდეს გამოთვლების გარეშე მეხსიერებიდან მონაცემთა ამოკითხვით.



ნახ. 6

ორიენტაციის კუთხის შეცვლისას თითოეული რგოლის ცენტრალური ღერძული წერტილის კოორდინატების გამოსათვლელად მიღებული იქნა ფორმულები, რომლებიც მოყვანილია ნაშრომში [6]. ამ ფორმულების თანახმად, მანიპულატორის პირველი რგოლის R_1 -ის ღერძული წერტილის კოორდინატები ფიქსირებულ კოორდინატულ სისტემაში α და β კუთხეების გარდაქმნისას მიიღებენ შემდეგ მნიშვნელობებს:

$$x = R_1 \cdot \sin \beta, \quad y = R_1 \cdot \cos \beta \cdot \cos \alpha, \quad z = R_1 \cdot \cos \beta \cdot \sin \alpha.$$

მანიპულატორის მეორე რგოლის კოორდინატები უნდა გამოითვალოს მის ლოკალურ კოორდინატთა სისტემაში, რომლის ცენტრი ემთხვევა პირველი რგოლის ღერძულ წერტილს R_1 , ხოლო ღერძი OY პირველი რგოლის მობრუნებული ღერძის OR_1 -ის გასწვრივაა მიმართული. ამრიგად, მეორე რგოლის გვარლების სიგრძეების გაანგარიშებისას, ორიენტაციის კუთხეები აითვლება პირველი რგოლის ორიენტაციასთან შეფარდებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ „ხორთუმის“ ტიპის მანიპულატორებში წინა რგოლის ორიენტაციის ცვლილება იწვევს ყველა მომდევნო რგოლის ორიენტაციის შეცვლას.

მანიპულატორის მართვის მოწყობილობის დაგეგმარებისას მითითებული პრინციპები უნდა ითვალისწინებდეს დაშვებებს, რომლებიც გაკეთდა გამოთვლებში. კერძოდ, ითვლებოდა, რომ მიმდებარე კავშირების პლატფორმების სანიშნი წერტილების საწყისი და საბოლოო კოორდინატები ემთხვევა. ეს უნდა იქნას გათვალისწინებული მანიპულატორის კონსტრუქციის შემუშავებისას, აღწერილი მართვის მოწყობილობის სიზუსტის გასაზრდელად.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ახალი ტიპის მრავალსახსრული რობოტის თითოეული სახსრის სამართავად გვჭირდება მხოლოდ ორი მმართველი ზემოქმედება: α კუთხე და β კუთხე. მთელი რობოტის სამართავად კი $2n$ მმართველი ზემოქმედება ნაცვლად $3n$ რაოდენობის მმართველი ზემოქმედებისა [1, 2] ნაშრომებში წარმოდგენილი მრავალსახსრიანი რობოტების ვარიანტების შემთხვევაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ რობოტის მართვაში არ მონაწილეობს სამართი გვარლები. ამით იზრდება ჩამჭერის მდებარეობის განსაზღვრის სიზუსტე, რაც დაკავშირებულია გვარლების დეფორმაციის გამორიცხვასთან.

A new type of a multi-hinge robot

David Purtskhvanidze, Otar Labadze, Panayot Stavarianidi, Veriko Bakhtadze

Summary

A new type of a multi-hinge production robot and its advantages over the prototypes are discussed in the article. The description of the hinge developed by us for a multi-hinge robot is given. Each hinge consists of the base platform with a fixed on it servo motor for tilting the rod relative to the hinge located in front of it and connected by a roller bearing with the base platform of a small platform on which a second servo motor is rigidly fixed for rotating around the base platform. The robot of a new type eliminates errors associated with the cables deformation. The trajectory planning task has been also simplified; now it is enough to calculate a relative position of the hinge with the adjacent hinge and add the increment of coordinates.

Новый вид мультишарнирного робота

Давид Пурцхванидзе, Отар Лабадзе, Панаот Ставарианиди, Верико Бахтадзе

Резюме

В статье рассматривается новый тип мультишарнирного производственного робота и его преимущества перед прототипами. Дано описание шарнира, разработанного нами, для мультишарнирного робота. Каждый шарнир состоит из основной платформы с закрепленным на ней серводвигателем для наклона стержня относительно шарнира, расположенного перед ним и соединенного роликовым подшипником с основной платформой небольшой платформы, на которой жестко закреплен второй серводвигатель для вращения вокруг основной платформы.

Робот нового типа устраняет ошибки, связанные с деформацией тросов. Задача планирования траектории также упрощена: достаточно рассчитать относительное размещение шарнира с соседним шарниром и сложить приращение координат.

ლიტერატურა – References – Литература

1. Д. А. Пурцхванидзе Г. Д. Челидзе МАНИПУЛЯТОР Авторское свидетельство 1077780 опубликовано 07.03.84 Бюлет. № 9.
2. დ. ფურცხვანიძე, ა. ფურცხვანიძე. ახალი ტიპის საწარმოო რობოტი მრავალი სახსრით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №22, თბილისი, 2018 წ. გვ.88-91.
3. Н. Кавлашвили, О. Лабაძე, П. Ставариანიძე, Д. Пурцхванидзе, М. Церцვაძე, Г. Кიკნაძე. Модернизированный робототехнический манипулятор. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული N22. 2018.
4. Авцынов И. А., Битюков В. К. Основы роботизации, гибких производственных систем, организационно- технологического управления и транспортно-складских систем. — Воронеж: Воронежская гос. технол. Академия. 2009. — 94 с. — ISBN 5-89448-196-1.
5. Князьков М. М., Семёнов Е. А., Рачков М. Ю. Многозвенный робот для движения внутри труб разных диаметров // Машиностроение и инженерное образование. 2009. № 1. С. 31—36.
6. О. ლაბაძე, П. Ставариანიძე, Д. Пурцхванидзе, М. Церцვაძე, М. Ставариანიძე. Робототехнический манипулятор. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №22, თბილისი, დოვ N21. 2017.

ინტერპოლირების ამოცანის გადაწყვეტა Matlab-ის საშუალებით

დუდუხანა ცინცაძე, ქეთევან ომიადე

Email : dudutsin@gmail.com, Komiadze@mail.ru

რეზიუმე

ტექნიკურ სისტემებში ხშირად გვხვდება ექსპერიმენტის დროს ჩატარებული გაზომვების შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება სხვადასხვა მათემატიკური მოდელების ასაგებად. ერთერთი ასეთი ამოცანაა აეროდინამიკური მახასიათებლების კოეფიციენტების შემოღება, რომლებიც ჩვეულებრივ განისაზღვრებიან ექსპერიმენტების საშუალებით აეროდინამიკურ მილში. მახასიათებლებს ფუნქციონალური დამოკიდებულების სახე აქვთ, წარმოდგენილი არიან გრაფიკების სახით და განსაზღვრულია გარკვეულ სეგმენტზე. ინტერპოლირების მიზანია „აღვადგინოთ“ საწყის ფუნქციასთან მიახლოებული ფუნქცია, ცხრილური მნიშვნელობების გამოყენებით. ასეთი ამოცანა შესრულებული იქნა მართვის სისტემების ინსტიტუტში. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები ამ ამოცანის ბევრად უფრო მარტივად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

სტატიაში აღწერილია ფუნქციათა ინტერპოლირების ამოცანის დასმა და მისი პროგრამული გადაწყვეტა Matlab-ის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: მართვა, ინტერპოლიაცია, პროგრამირება

სხვადასხვა მათემატიკური მოდელების ასაგებად ხშირად გამოიყენება ექსპერიმენტების დროს ჩატარებული გაზომვების შედეგები. აეროდინამიკური მახასიათებლების კოეფიციენტები ექსპერიმენტის საშუალებით განისაზღვრებიან, მათ ფუნქციონალური დამოკიდებულების სახე აქვთ. საწყის ფუნქციასთან მიახლოებული ფუნქციის „აღდგენის“ ერთერთი საშუალებაა ფუნქციათა ინტერპოლირება.

განვიხილოთ $y = f(x)$ ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია $[a, b]$ სეგმენტზე და ცნობილია მხოლოდ ამ ფუნქციის მნიშვნელობები $[a, b]$ სეგმენტის ერთმანეთისაგან განსხვავებულ წერტილებში, რომლებსაც საკვანძო წერტილები ეწოდებათ და ცხრილის სახით არიან წარმოდგენილი. როცა ფუნქცია რაიმე პროცესს აღწერს და მნიშვნელობები სასრული რაოდენობის წერტილებში იზომება, საწყის ფუნქციასთან მიახლოებული ფუნქციის „აღდგენა“ გულისხმობს ფუნქციის მნიშვნელობის ისეთ წერტილში გამოთვლას, რომელიც არ ემთხვევა ცხრილში მოცემული არგუმენტის არცერთ მნიშვნელობას.

ინტერპოლირების ამოცანის დასმისათვის ვუშვებთ, რომ გვაქვს ცხრილური მნიშვნელობები x_1, x_2, \dots, x_n საკვანძო წერტილებში და ფუნქციის მნიშვნელობები y_1, y_2, \dots, y_n წერტილებში. ასეთ შემთხვევაში ინტერპოლაციის ამოცანა შემდგენიანად ფორმულირდება: ავაგოთ $f(x)$ ფუნქცია ისეთი, რომ x_1, x_2, \dots, x_n საკვანძო წერტილებში მიიღოს y_1, y_2, \dots, y_n მნიშვნელობები, ანუ $f(x_k) = y_k$, ყველა ინდექსისათვის: k - დან n - მდე.

ამ კრიტერიუმის გარდა საჭიროა განისაზღვროს ფუნქციის ინტერპოლირების სახე. არსებობს ინტერპოლირების მეთოდები: ხაზური ინტერპოლირება (ეიტკინის სქემა), ინტერპოლირება მრავალწევრებით. ამ შემთხვევაში ვიყენებთ ინტერპოლირებას ალგებრული მრავალწევრების გამოყენებით. მრავალწევრის ხარისხი აირჩევა საკვანძო

წერტილების რაოდენობის შესაბამისად: თუ გვაქვს n საკვანძო წერტილი, ინტერპოლირების მრავალწევრის ხარისხი იქნება $n - 1$. ასეთი პოლინომია:

$$f(x) = a_1x^{n-1} + a_2x^{n-2} + a_3x^{n-3} + \dots + a_{n-1}x + a_n,$$

რომელიც შეიცავს a_1, a_2, \dots, a_n n საინტერპოლაციო მრავალწევრის უცნობ კოეფიციენტებს, ანუ ამოცანა მდგომარეობს ამ კოეფიციენტების განსაზღვრაში საკვანძო (x_k, y_k) $k = 1, 2, \dots, n$ წერტილების საფუძველზე.

პირობიდან $f(x_k) = y_k$, $k = 1, 2, \dots, n$, ვღებულობთ წრფივ, ალგებრულ განტოლებათა სისტემას

$$a_1x_k^{n-1} + a_2x_k^{n-2} + a_3x_k^{n-3} + \dots + a_{n-1}x_k + a_n = y_k \quad k=1,2,\dots,n$$

რომელიც უნდა ამოიხსნას a_1, a_2, \dots, a_n კოეფიციენტების მიმართ და არის წრფივი სისტემა. თუ შემოვიტანოთ ვექტორებს $\vec{a} = (a_1, a_2, \dots, a_n)$ და $\vec{y} = (y_1, y_2, \dots, y_n)$, მაშინ სისტემა ჩაიწერება შემდეგნაირად $\vec{a}\vec{W}^T = \vec{y}$, სადაც T აღნიშნავს ტრანსფორმირებას, ხოლო \vec{W} არის ვანდერმონდის მატრიცა.

ვინაიდან ინტერპოლირების საკვანძო x_k წერტილები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ამიტომ სისტემის დეტერმინანტი $\Delta \neq 0$, წრფივ განტოლებათა სისტემას აქვს ერთადერთი ამონახსნი და Δ დეტერმინანტს ეწოდება ვანდერმონდის დეტერმინანტი; ანუ ინტერპოლირების მიზანი ამ შემთხვევაში შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ავაგოთ n - ური რიგის მრავალწევრი, რომლის მნიშვნელობები x_1, x_2, \dots, x_n საკვანძო წერტილებში დაემთხვევა $f(x)$ ფუნქციის მნიშვნელობებს. ვანდერმონდის მატრიცას ამ შემთხვევაში შემდეგი სახე აქვს:

$$\vec{W} = \begin{pmatrix} x_1^{n-1} & x_1^{n-2} & \dots & x_1 & 1 \\ x_2^{n-1} & x_2^{n-2} & \dots & x_2 & 1 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ x_{n-1}^{n-1} & x_{n-1}^{n-2} & \dots & x_{n-1} & 1 \\ x_n^{n-1} & x_n^{n-2} & \dots & x_n & 1 \end{pmatrix}$$

ანუ ამ მატრიცის ელემენტებისათვის w_{ij} (ინდექსი $i, j = 1, 2, \dots, n$), ვღებულობთ შემდეგ თანაფარდობას $w_{ij} = x_i^{n-j}$.

ვანდერმონდის მატრიცის გამოსათვლელად Matlab - ს გააჩნია ფუნქცია `vander()`, რომლის არგუმენტებია საკვანძო წერტილების x_1, x_2, \dots, x_n მნიშვნელობები (წარმოდგენილი სტრიქონის ან სვეტის სახით). თუ მატრიცა \vec{W} და საკვანძო წერტილებში \vec{y} ფუნქციის მნიშვნელობების ვექტორი ცნობილია, მაშინ ინტერპოლირების მრავალწევრის კოეფიციენტები \vec{a} გამოითვლება შემდეგნაირად: $\vec{a} = \vec{y}(\vec{W}^T)^{-1}$.

ჩვენ შემთხვევაში Matlab-ის სივრცეში ინტერპოლირების ამოცანა გადაწყვეტილია კონკრეტული ფუნქციის $y(x) = \frac{\cos(2\pi x)}{1+x}$ მაგალითზე.

ქვემოთ წარმოდგენილია საინტერპოლაციო Matlab- პროგრამა.

```
To get started, select MATLAB Help or Demos from the Help menu.
>> x = [0,0.2,0.4,0.7,0.9,1.2,1.5];
>> y = cos(2*pi*x)/(1+x);
>> W = vander(x)
```

```
W =
    0    0    0    0    0    0  1.0000
  0.0001  0.0003  0.0016  0.0080  0.0400  0.2000  1.0000
  0.0041  0.0102  0.0256  0.0640  0.1600  0.4000  1.0000
  0.1176  0.1681  0.2401  0.3430  0.4900  0.7000  1.0000
  0.5314  0.5905  0.6561  0.7290  0.8100  0.9000  1.0000
  2.9860  2.4883  2.0736  1.7280  1.4400  1.2000  1.0000
 11.3906  7.5938  5.0625  3.3750  2.2500  1.5000  1.0000
```

```
>> a = y*inv(W.')
```

```
a =
```


```
-3.2069  34.0922 -96.1307 104.8216 -41.0696  1.0242  1.0000
```

```
>> z = 0:0.01:1.5;
>> f = polyval(a,z);
>> plot(x,y,'ro')
>> hold on
>> plot(z,f,'k-')
>> grid on
>>
```

ბრძანებებით $x = [0, 0.2, 0.4, 0.7, 0.9, 1.2, 1.5]$ და $y = \cos(2 * \pi * x ./ (1 + x))$ მოიცემა საკვანძო წერტილები და ამ წერტილებში შესაბამისად - ფუნქციის მნიშვნელობები. ვანდერმონდის მატრიცა გამოითვლება ბრძანებით $W = \text{vander}(x)$, საინტერპოლაციო მრავალწევრის კოეფიციენტები ბრძანებით - $a = y * \text{inv}(W.')$. ამ ეტაპით სრულდება მრავალწევრის გამოთვლის პროცესი.

მომდევნო ბრძანებების კოდი გამოყენებულია მიღებული შედეგის ილუსტრაციისთვის გრაფიკის სახით. კერძოდ ბრძანებით $z = 0:0.01:1$ და $f = \text{polyval}(a, z)$ მოიცემა წერტილები, რომლის მიხედვით უნდა აიგოს მრავალწევრის მრუდი, ხოლო ბრძანებით $\text{plot}(x, y, 'ro')$ გრაფიკზე გამოისახება ბაზური წერტილები. შემდგომი ინსტრუქციის hold on -ის მეშვეობით პროგრამა გადადის გრაფიკის შეკავების რეჟიმში, ბრძანებით $\text{plot}(z, f, 'k-')$ კი იგება თვით გრაფიკი, ხოლო ინსტრუქცია grid on იძლევა კოორდინატთა ბადის აგების საშუალებას.

გრაფიკი მოცემულია სურათზე 1, სადაც ბაზური წერტილები აღნიშნულია წრეების სახით.



სურათი 1

Solving the interpolation problem through Matlab

Dudukhana Tzintzadze, Ketevan Omiadze

Summary

In technical systems the results of measurements made during experiments are often used to construct various mathematical models. One of these problems is to find aerodynamic coefficients, which are usually defined by experiments in a wind tunnel. Characteristics, which are functional dependencies, are presented in the form of graphs on a specific segment. The purpose of interpolation is to “back up” a function close to the original function using tabular data. Such problem was performed at the Institute of Control Systems. Modern computer technologies afford to facilitate considerably solving of this problem.

In the article there are considered function interpolation problem and its software-based solution using MATLAB.

Решение задачи интерполяции с помощью Matlab

Дудухана Цинцадзе, Кетеван Омиадзе

Резюме

В технических системах для построения различных математических моделей часто используются результаты измерений, выполненных в ходе экспериментов. Одной из таких задач является нахождение аэродинамических коэффициентов, которые обычно определяются экспериментами в аэродинамической трубе. Характеристики, являющиеся функциональными зависимостями, представлены в виде графиков на определенном сегменте. Цель интерполяции - «восстановить» функцию, близкую к исходной функции, используя табличные значения. Такая задача была выполнена в Институте систем управления. Современные компьютерные технологии позволяют намного упростить решение этой задачи.

В статье приводятся постановка задачи интерполяции функций, её программное решение с помощью Matlab.

ლიტერატურა – References – Литература

1. Остославский И.В., Стражева И.В.–Динамика полёта. Москва, изд. «МАШИНОСТРОЕНИЕ» 1969г.
2. Демидович Б.П., Марон И.А. – Основы вычислительной математики. Москва, ГОСИЗД, 1960г.
3. Дьяконов В.П. – MATLAB 7.*/R2006/R2007, Москва: ДМК ПРЕСС, 2008г.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში არსებული მეორეული ენერგორესურსების მოხმარება თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით

ნოდარ მირიანაშვილი, ნოდარ გძელიშვილი, ქეთევან კვირიკაშვილი, ვენერა ხათაშვილი

nmirianash@gmail.com

რეზიუმე

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში ხშირია თბური ენერჯის მნიშვნელოვანი დანაკარგები, რომელთა შემცირება შესაძლებელია ენერგოდამზოგი თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით. სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ეხება მეორეული თბური ენერგეტიკული რესურსის დანაკარგების ეფექტურ გამოყენებას.

გაანალიზებულია მაღალი კონდენსაციის ტემპერატურის მქონე მუშა სხეულების მახასიათებლები, რომელთა გამოყენება უფრო ეფექტურს გახდის თბური ტუმბოს დანადგარების მუშაობას როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის, ასევე მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებში.

თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების შედეგად, საწარმოში არსებული მეორეული ენერგორესურსების მაქსიმალურად ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელია დანახარჯების შემცირება 20-30%-ის ოდენობით.

საკვანძო სიტყვები:

ენერგოდაზოგვა, მეორეული ენერგორესურსი, თბური ტუმბო, თბოსიცივით მომარაგება.

სამრეწველო დანიშნულების თბური ტუმბოს დანადგარების ძირითადი დანიშნულება არის საწარმოში არსებული დაბალტემპერატურული მეორეული თბური ენერჯის მოხმარება ტექნოლოგიური პროცესების თბომომარაგების მიზნით. ცხრილში 1 მოყვანილია ორგანულ სათბობზე მომუშავე სამრეწველო საწარმოში არსებული მეორეული თბური სიმძლავრის - Q განაწილება ტემპერატურების - t მიხედვით პროცენტებში [1,3].

თბური სიმძლავრის განაწილება ტემპერატურის მიხედვით

ცხრილი 1

დასახელება	$t, ^\circ\text{C}$	$Q, \%$
გამაცივებელი წყალი	30	90-95
	40	80-90
ტექნიკური წყალი, ორთქლის კონდენსატი	50	70-80
	95	65-70
ტექნოლოგიური პროდუქტი	100	60-65
	200	35-40
ქვების საკვამლე მილიდან წარმავალი აირები	200	35-40
	300	30-35
ღუმელის აირები	300	30-35
	700	10-15
	950	5-10

ცხრილი 1- დან ჩანს, რომ 100 °C- ზე დაბალი ტემპერატურების დიაპაზონში გარემოში გამოტყორცნილი მეორეული თბური ენერგიის ოდენობა საწარმოში გამომუშავებული მეორეული ენერგორესურსების 65-95%-ს შეადგენს. აღნიშნული მეორეული თბური ენერგია არის დაბალპოტენციური სითბოს წყარო სამრეწველო დანიშნულების თბური ტუმბოს დანადგარებისათვის.

სითბოს უტილიზაციის შესაძლებლობის საკითხი კომპლექსურია და ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სითბოს მოხმარებელი ტექნოლოგიური დანადგარების მუშაობის რეჟიმებზე. კერძოდ, თბური ტუმბოს გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული [1,2]:

— სითბოს მოხმარებისა და მეორეული თბური ენერგიის გარემოში გამოტყორცნის დროში დამთხვევა;

— გარემოში გამოტყორცნილი მეორეული თბური ენერგიისა და მოხმარებული თბური ენერგიის ადგილმდებარეობები;

— მეორეული თბური ენერგიისა და მოხმარებული თბური ენერგიის ხარჯები დროში;

— მეორეული თბური ენერგიის (დაბალპოტენციური სითბოს წყარო) ფაზური მდგომარეობა (მყარი, თხევადი, აირადი);

— მეორეული თბური ენერგიისა და მოხმარებული თბური ენერგიის რაოდენობრივი და ტემპერატურული პოტენციალები;

— რეგიონის კლიმატური თავისებურებები და მისი სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა.

თბური ტუმბოს დანადგარით Q_1 თბური სიმძლავრის მისაღებად კომპრესორის ელექტროამძრავით აღჭურვის შემთხვევაში დაიხარჯება $N_K=0,43Q_1$ ელექტრული სიმძლავრე, რაც თბოელექტროსადგურში $Q_2=1,7Q_1$ თბური სიმძლავრის მისაღებად საჭირო ორგანული სათბობის დაწვის ექვივალენტურია.

თბური ტუმბოს დანადგარის ძირითადი მახასიათებლები – მოხმარებელზე მიწოდებული თბური სიმძლავრე – Q , მოხმარებული ელექტრული სიმძლავრე – N და გარდაქმნის კოეფიციენტი – φ შესაძლებელია განვსაზღვროთ ქვემოთ მოყვანილი თანაფარდობებით, რომლებიც მიღებულია ჩვენ მიერ ჩატარებული სამრეწველო ექსპერიმენტების [5] შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებით. გაანგარიშებების გასაიოლებლად, აგრეთვე სხვადასხვა ტიპისა და მწარმოებლობის თბური ტუმბოს დანადგარების შედარებისათვის, შემოთავაზებულია $P_{დაჭ.}/P_{შეწ.}$ -ზე დამოკიდებული, უგანზომილებო სიდიდეების სახით წარმოდგენილი თბომწარმოებლობის – \bar{Q}_t , მოხმარებული ელექტრული სიმძლავრის – \bar{N}_e და გარდაქმნის კოეფიციენტის – $\bar{\varphi}$ საანგარიშო განტოლებები. აღნიშნული მახასიათებლები (\bar{Q}_t ; \bar{N}_e ; $\bar{\varphi}$), რომლებიც გრაფიკული სახით მოყვანილია ნახაზზე 1, შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით (6-9%) იქნეს გამოყენებული თბური ტუმბოს ბაზაზე მოქმედი თბოსიცივით მომარაგების სისტემების გაანგარიშებისას [1].


$$\bar{Q}_t = 1 - 0,041 \cdot P_{დაჭ.}/P_{შეწ.};$$

$$\bar{N}_e = 0,33 \cdot P_{დაჭ.}/P_{შეწ.} + 0,34;$$

$$\bar{\varphi} = 1,72 (P_{დაჭ.}/P_{შეწ.} - 0,73)^{-1}$$

სადაც $P_{დაჭ.}/P_{შეწ.}$, შესაბამისად, კომპრესორის დაჭირხვნისა და შეწოვის წნევებია, პა.

მოცემული ფორმულების გამოყენებით ორთქლკომპრესორული თბური ტუმბოს დანადგარებისათვის შესაძლებელია ვიანგარიშოთ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი Ne/Q_t $P_{დაჭ.}/P_{შეწ.}$ - ზე დამოკიდებულების მიხედვით.



ნახ.1. უგანზომილებო თბომწარმოებლობის \bar{Q}_m (ა), უგანზომილებო ეფექტური სიმძლავრისა \bar{N}_e (ბ) და უგანზომილებო გარდაქმნის კოეფიციენტის $\bar{\varphi}$ (გ) დამოკიდებულება ორთქლკომპრესორული თბური ტუმბოს დაჭირხვნისა $P_{დაჭ}$ და შეწოვის $P_{შეწ}$ წნევების ფარდობაზე $P_{დაჭ} / P_{შეწ}$. ◦ - ფრეონ R142; • - ფრეონ R12; ◻ - ფრეონ R12 - სა და ფრეონ R142B -ს ნარევი; ■ - ფრეონ R22 - სა და ფრეონ R12B - ის ნარევი.

ეს ფორმულები რეკომენდებულია დგუშიანი ტიპის კომპრესორული თბური ტუმბოს დანადგარების საანგარიშოდ, სადაც ფრეონის კონდენსაციის ტემპერატურა არ აღემატება $t_K \leq 90^\circ\text{C}$ და დანადგარის თბური სიმძლავრე – $Q_m \leq 600\text{კვტ}$ [1,4].

აგროსამრეწველო კომპლექსის რიგ საწარმოებში (მაგ.: სპირტის სახდელი ქარხანა, ლუდსახარში ქარხანა და სხვ.) ტექნოლოგიური პროცესების მოთხოვნებიდან გამომდინარე

(მაგ.: ლუდის ხარშვის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს 101°C-ზე) საჭირო ხდება აღნიშნული ტექნოლოგიური დანადგარებისათვის თბური ენერჯის მიწოდება, რომლის ტემპერატურა აღემატება 100°C-ს. ამ შემთხვევაში, ტექნოლოგიური პროცესების თბური ენერჯით უზრუნველსაყოფად, თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია ისეთი მუშა სხეულების შერჩევა, რომელთა კონდენსაციის ტემპერატურა აღემატება $t_K > 100$ °C.

ცხრილ 2 -ში მოყვანილია მუშა სხეულების მახასიათებლები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიღწეულ იქნას კონდენსაციის მაღალი ტემპერატურები ($t_K = 100 - 150$ °C), რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სამრეწველო დანიშნულების თბური ტუმბოს დანადგარებისათვის.

მუშა სხეულების მახასიათებლები

ცხრილი 2

დასახელება	კონდენსაციის ტემპერატურა, t_K , °C	კონდენსაციის წნევა, P_K , მპა	თეორიული გარდაქმნის კოეფ-ტი, φ_0	კუმშვის ხარისხი, P_K / P_0
ფრეონ R11	100	0.9	8.0	3.0
	150	20	8.2	2.3
მეთილის სპირტი	100	0,4	8,4	4,2
	150	1,3	8,7	2,8
ეთილის სპირტი	100	0,25	8,8	4,8
	150	0,9	9,0	3,4
ფრეონ R113	100	0,4	7,9	2,8
	150	1,1	8,0	2,2
R718 (წყალი)	100	0.1	9.2	5,2
	150	0,5	10.	3,6

ცხრილში 2 განხილული მუშა სხეულებიდან, მაღალტემპერატურული თბური პროცესების თბური ენერჯით უზრუნველსაყოფად, თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების შემთხვევაში, ოპტიმალური იქნება ფრეონ R113-ის გამოყენება. ფრეონ R113 შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კონდენსაციის მაღალი ტემპერატურების ($t_K \leq 200$ °C) შემთხვევაში, აქვს მაღალი გარდაქმნის თეორიული კოეფიციენტი – φ_0 და დაბალი კუმშვის ხარისხი – P_K / P_0 .

ამრიგად, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები წარმოადგენენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მსხვილ მომხმარებლებს, სადაც როგორც სათბობის, ასევე ენერჯის ეკონომიის პრობლემა მწვავედ დგას.

„საქსტატის“ მონაცემების თანახმად, 2018 წელს აგრობიზნესის წილმა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში შეადგინა დაახლოებით 16-18%, ხოლო ქვეყანაში მთლიანად

მოხმარებული ენერჯის წილიდან ($\approx 4,5$ მლნ ტ.ნ.ე.), აგრობიზნესში მოხმარებული ენერჯის წილმა შეადგინა დაახლოებით 8% [6].

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების 70-80% მოდის საწარმოში მოხმარებული სათბობის ღირებულებაზე.

აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ საწარმოებში არსებული მეორეული ენერჯორესურსების მაქსიმალურად ათვისების შემთხვევაში და თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხმარებული სათბობის დაზოგვა 20-30%-ის ოდენობით [7].

Consumption of secondary energy resources in agri-complex enterprises using heat pump equipment

Nodar Mirianashvili, Nodar Gdzlishvili, Ketevan Kvirikashvili, Venera Xatashvili

Summary

The research presented in this article shows that there are significant losses of heat energy in the enterprises of agro-industrial complex, the reduction of which will be effective by using heat pump equipment.

Characteristics of high condensing temperature working bodies are analyzed, which will make the use of heat pump equipment more efficient in both the agro-industrial complex and other industries.

As a result of the use of heat pump equipment, by maximizing the use of secondary energy sources within the enterprise, it is possible to reduce costs by 20-30%.

Потребление вторичных энергоресурсов с применением теплонасосных установок в предприятиях агропромышленного комплекса

Нодар Мирианашвили, Нодар Гдзелишвили, Кетеван Квирикашвили, Венера аташвили

Резюме

Из проведенного исследования, представленного в статье, следует, что в предприятиях агропромышленного комплекса значительные потери тепловой энергии, уменьшение которых будут эффективными при применений энергосберегающих теплонасосных установок.

Проанализированы характеристики рабочих тел, имеющие высокие температуры конденсации, с применением которых работа теплонасосных установок станет более эффективными как в предприятиях агропромышленного комплекса, так и в других отраслях промышленности.

С применением теплонасосных установок при максимальных освоениях вторичных энергетических ресурсов, имеющих в производстве, возможно уменьшение затрат в количестве 20-30%.

ლიტერატურა – References – Литература

1. მირიანაშვილი ნ., გმელიშვილი ნ., ხათაშვილი ნ. თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების პერსპექტივები საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. #19, თბილისი, 2015, გვ.80-84.
2. მირიანაშვილი ნ., გმელიშვილი ნ. ენერგოდაზოგვა თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით ლუდის წარმოებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. #21, თბილისი, 2017, გვ.95-100.
3. Palmer J. D. Turbonetics Energy // Turbomachinery Jnt. Jan/Feb. 1982.
4. Везиришвили О. Ш., Меладзе Н. В. Энергосберегающие теплонасосные системы тепло-и хладоснабжения. – Москва: Издательство МЭИ, 1994. – 160с.
5. ყავლაშვილი ნ., მირიანაშვილი ნ., ხათაშვილი ვ. მეორეული ენერგორესურსების გამოყენების პერსპექტივები ლუდის წარმოებაში. „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 25-26 ოქტომბერი 2018 წ. ა.წერეთლის სახ. უნივერსიტეტი. საქართველო, ქუთაისი. გვ.106-110.
6. https://www.geostat.ge/media/13850/QuarterlyBull_2018_III_Geo.pdf
7. მირიანაშვილი ნ., ლომსაძე ზ., გმელიშვილი ნ., კვირიკაშვილი ქ., ხათაშვილი ვ. საქართველოში განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მათი ჩართვის პერსპექტივები. I საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“. 2019 წლის 7-11 ოქტომბერი. თბილისი. „ენერგია“. №3(91), ტ. II. № გვ.118-120.

ინფორმატიკა

INFORMATICS

ИНФОРМАТИКА

ენის დინამიკის ზოგი ასპექტი

გიორგი ჩიკოიძე

gogichikoidze@yahoo.com

რეზიუმე

სტატია ეხება ენის მოდელის ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ძირითადი თვისებების გამოყოფას. ენის ორმომართულეზიანობა (ანალიზი/სინთეზი) არის ენის არსი და ავლენს მის ძირითად დანიშნულებას. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მისი ეს ზოგადი თვისებები ახასიათებს ენის მთელ არსს და ქცევას.

ნაშრომში გამოყოფილია უზოგადესი ურთიერთდაპირისპირებული მახასიათებლები: სტატიკა და დინამიკა; ანალიზი და სინთეზი; გამონათქვამის დაშლა შემადგენელ ნაწილებად და ამ უკანასკნელთა შერწყმა ერთობლივ სტრუქტურაში; ენობრივი დონეების მოქმედების პარალელურობა ინტერაქტიურ რეჟიმში; პროცესის განვითარება, ერთდროულად ჰორიზონტალური (გამონათქვამის გასწვრივ) და ვერტიკალური (გამოხატულებიდან შინაარსისკენ) მიმართულებით; მთლიანი სტრუქტურისა და მისი შემადგენელი ნაწილების დაპირისპირება და შერწყმა; ამ კომპონენტებისა და მათი შინაარსის მიმართებების რადიალური სქემა.

ნაშრომი გულისხმობს, რომ ეს “დაპირისპირებები” თავს იჩენს ენობრივი სისტემის ფუნქციონირების პროცესში და განსაზღვრავს როგორც ამ პროცესებს, ისე ენის მთლიანობის ფუნდამენტურ ხასიათს.

საკვანძო სიტყვები:

ენის ორმომართულეზიანობა (ანალიზი/სინთეზი), გამოხატულება→შინაარსი, სემანტიკური როლები

ენა სამყაროს გაგების ქვეცნობიერი საფუძველია, რომელსაც ემყარება ამ სამყაროს ბუნებრივი ცოდნა. სოციალური გარემო არის სამყაროს უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელშიც უშუალოდ „ჩაფლულია“ ინდივიდი. ამ გარემოში ინდივიდის არსებობის უდიდესი კომპონენტი კი არის ურთიერთობის საშუალება – ენა. აქედან გამომდინარე, სოციუმის ნებისმიერ სრულყოფილ წევრს მოეთხოვება შესაბამისი ენის ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთობის საშუალებას ამ სოციუმის წევრებთან (მათ შორის საკუთარ თავთანაც). ეს ცოდნა კი, ანუ ენის ფლობა, შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს, თუკი ინდივიდს გააჩნია ორგვარი უნარი: ენის გამოხატულებაზე დაყრდნობით მიაღწიოს გამოხატულების შესატყვის შინაარსს და პირიქით – ნებისმიერ შინაარსს მოუძებნოს სათანადო ენობრივი ფორმა [1].

ენის ზოგადი ცოდნა კონკრეტულად ვლინდება ენის ხმარების ცალკეული აქტებით. მათი საშუალებით ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა დიალოგ-პოლილოგების პროცესში, რომლის დროსაც ვლინდება ენის, როგორც დინამიკური სისტემის, ფუნქციონირება და ფუნქციონირების მახასიათებლები. სახელდობრ, მახასიათებლები, რომლებიც განეკუთვნება ენის „ზედაპირს“, ანუ აკუსტიკურ თუ გრაფიკულ გამოხატულებას. სწორედ ეს „ზედაპირული“ ნიშნები არის პირველადი, საწყისი მონაცემები, რომლიდანაც შეიძლება დაიწყოს კოლოსალური მნიშვნელობის მქონე სისტემის – ენის კვლევა. კვლევის შემდგომი ნაბიჯები კი ეყრდნობა ინტუიციას, ანუ თავად ენით გაპირობებულ ცნობიერებას.

ჩნდება “მანკიერი წრის” ნიშნები, რომლებიც არ უარყოფს ამ მიდგომის სამართლიანობას. კერძოდ, ე. ჰაიდეგერის თვალსაზრისის გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ჩვენი გონება საერთოდ ვერ სცდება ენით შემოხაზულ ფარგლებს, ეს მანკი ენის

შესწავლის პროცესში გარდაუვალია. ბუნებრივია, მანვი აშკარად უნდა ჩნდებოდეს სწორედ ენის შესწავლის მცდელობისას. ამის დამადასტურებელი მაგალითია ნებისმიერი ლექსიკონი თავისი გარდაუვალი ტავტოლოგიებით, რომ არაფერი ვთქვათ განმარტებაზე, რომელსაც ენობრივი შინაარსის (საკვანძო ენობრივი ობიექტის) განსაზღვრის მცდელობა გვთავაზობს. ამ მიდგომის თანახმად, ის წარმოადგენს სინონიმური გამონათქვამების საერთო თვისებას [2], სადაც შინაარსს განმარტავს მასზე დაფუძნებული სინონიმის ცნება.

ჩვენი აზრით, სწორედ შინაარსის/არსის გარკვევისკენ უნდა იყოს მიმართული ენისა და, პირველ რიგში, მისი უმნიშვნელოვანესი დინამიკური ასპექტის კვლევა. ნაშრომში “ენისკენ მიმავალ გზაზე” [3] ეს ვარიანტი ემთხვევა კონკრეტული ცალკეული ენობრივი აქტის ანალოგიურ მიმართულებას, ანუ ენის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფორმულის გამოხატულება → შინაარსი

კომპონენტს.

პროცესის საწყისი ეტაპია გამონათქვამის აღქმა ყურით (მეტყველება) ან თვალით (ტექსტი). სწორედ მეტყველება არის ენის პირვანდელი, თუმცა უფრო რთული (აკუსტიკური) საშუალება. არსებობს, ჩვენი აზრით სრულიად საფუძვლიანი, თვალსაზრისი, რომ ენობრივი აკუსტიკური სიგნალის აღქმის პირველად ერთეულს წარმოადგენს მარცვალი. პირველი ნაბიჯის გაგრძელება, სავარაუდოდ, არის ორმიმართულებიანი განვითარება [4], რომლის ფარგლებში უშუალოდ აღქმული მარცვალი თავდაპირველად დაიშლება მის შემადგენელ ფონემებად, მას მოჰყვება ცალკეული ფონემების გაერთიანება სავარაუდო მორფებად, რაც, თავის მხრივ, მარცვლების ჯაჭვს გადააქცევს მორფების ჯაჭვად.

და-ბა-დებ-ის-დღე-ზე _ ბავ-შვსა-ჩუქე-სბურ-რთი

გარდაიქმნება მორფების თანმიმდევრობად:

და-ბად-ებ-ის-დღე-ზე _ ბავშვ-ს-ა-ჩუქ-ე-ს-ბურ-რ-ი.

გარდაქმნას ნაწილობრივ ამარტივებს ის, რომ პირველად აკუსტიკურ სიგნალს თავიდან შეიძლება ანაწევრებდეს პაუზა ‘_’.

თუკი მივიღებთ ვარაუდს, რომ პროცესი ვითარდება,

მარცვალი → ფონემა → მორფი

სქემის თანახმად (რაც აუცილებელი არ არის), შემდეგ ნაბიჯს უნდა წარმოადგენდეს მორფების გაერთიანება სიტყვაფორმებად, რომელთა თანმიმდევრობა საბოლოოდ ენობრივ გამონათქვამს აყალიბებს:

დაბადების - დღეზე - ბავშვს - აჩუქეს - ბურთი,

თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ფონემათა ჯაჭვი უშუალოდ გარდაიქმნება სიტყვაფორმების თანმიმდევრობად, რომელიც შემდგომ მორფებად დაიშლება. დაბოლოს, არც ისაა გამორიცხული, რომ პროცესის ეს ვარიანტები ერთმანეთს ენაცვლება ზოგადი პროცესის ფარგლებში.

ნებისმიერ ვარიანტში, სიტყვაფორმების ეტაპი შეიძლება უკავშირდებოდეს მორფოლოგიურ გენერატორს [5]. სახელდობრ, ყოველი სიტყვაფორმა უნდა მიეკუთვნებოდეს რომელიმე პარადიგმას, რომელსაც წარმოქმნის გენერატორი. თანაც ამ მიკუთვნებას ახლავს როგორც სიტყვაფორმის მორფობრივი შემადგენლების დადგენა, ისე ამ მორფემების შესაბამისი მორფემების “ამოკითხვა” და, საბოლოოდ, იმ გრამატიკული თუ ლექსიკური ინფორმაციის დადგენა, რომელიც მოცემულ კონტექსტში ახლავს ამ მორფებს, ანუ მოცემული სიტყვაფორმის ფარგლებში.

მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში ზმნა *აჩუქეს* მიეკუთვნება ლექსემას *ჩუქ*, რომელიც: *-* ზმნისწინთან ერთად იძლევა ზმნურ ფორმას; *-ე-* და *-ს* დაბოლოება გვიჩვენებს II სერიის წყვეტილის მწკრივს მრავლობითის მე-3 პირის ფორმით. ამას გარდა, აქ ჩნდება სხვა საკმაოდ მნიშვნელოვანი სინტაქსური, ლექსიკური, გრამატიკული ინფორმაცია: *ჩუქ/აჩუქ* განსაზღვრავს ჩატარებული პროცესის/აქტის ხასიათს; წყვეტილი მწკრივი – წარსულ დროს და თხრობით კილოს და ბოლო სუფიქსები, როგორც აღნიშნული იყო, მიუთითებენ სათანადო პირზე და რიცხვზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის სინტაქსური, ან უფრო ზუსტად, სემანტიკურ-როლებრივი ინფორმაცია, რომელიც აგრეთვე მოჰყვება *ა-ჩუქ* ლექსემას: ის გულისხმობს სემანტიკური როლების შემდეგი სამეულის არსებობას:

AG → OB → AD,

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში პირველი მათგანი ექსპლიციტურად არ არის გამოხატული, რაც სტრუქტურის ელიფსურობაზე მიუთითებს.

ამ ნაბიჯებს (დაყოფებს თუ დანაწევრებებს) ხშირად ახლავს გარკვეული სიძნელეები, ორაზროვანი სიტუაციები, რომელთა დაძლევა უზრუნველყოფს ნახსენები მოპოვებული ინფორმაცია. ასეთი გართულების თვალსაჩინო ნიმუშია ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის პირველივე სიტყვაფორმა – *დაბადების*, რომლის შემადგენლობაში, რეალური შემადგენელი მორფემის (და-ბად-ებ-ის) გარდა, მონაწილეობს ისეთი მონაკვეთები, რომელთაც შეიძლება დაუკავშირდეს სულ სხვა (ამ შემთხვევაში არამართებული) დამოუკიდებელი სტატუსი:

და (არსებითი სახელი ან კავშირი); *ბადე* (არსებითი სახელი), *ების* (და არსებითი სახელის მრავლობითი ფორმის ნათესაობითი ბრუნვა), *დაბა* (არსებითი სახელი), *ის* (ნაცვალსახელი ან ნათესაობითის ამსახველი დაბოლოება), *(და)ბადე* (ზმნის ბრძანებითი ფორმა), *ადე* (ადექი ფორმის უხეში ვარიანტი), *დაბადებ* (ზმნის მყოფადი მწკრივი), *აბა* (ნაწილაკი) და ა.შ.

ასეთი ჩახლართული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებას უფრო ფართო კონტექსტი იძლევა მხოლოდ. კონკრეტულ შემთხვევაში ეს უნდა იყოს უშუალოდ შემდეგი სიტყვა *დღე*, რომელიც წინა სიტყვასთან (დაბადების) სტაბილურ ლექსიკურ კომბინაციას ქმნის. ის ლექსიკონში შეიძლება ასახული იყოს “ბად” სალექსიკონო ერთეულში, როგორც უფრო ზოგადი ფორმულა: დაბადების + “თარიღი”, სადაც “თარიღი” დღის გარდა შეიძლება წარმოდგენილი იყოს აგრეთვე თვით, წლით, საუკუნით, მომენტი, ...

შემდგომ საფეხურზე შეიძლება დაემატოს ის ყოფითი ცოდნა, რომელიც *ჩუქების* აქტს უკავშირდება. სახელდობრ ის, რომ ბენეფიციარის ბიოგრაფიაში ამ აქტის დრო ხშირად უკავშირდება რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას (ამ შემთხვევაში მის დაბადებას). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს შემთხვევა იშვიათ, როდესაც გამონაკლისს წარმოადგენს.

მაგალითად, სიტყვაფორმები *დღეზე*, *აჩუქეს*, *ბავშვს* ასეთ პრობლემას არ ქმნის. რაც შეეხება ბოლო ფორმას *ბურთი*, მისი პირველი მარცვალის ფრინველის სახელს უტოლდება (ბუ), და ამ შემთხვევაში ცალსახა გამოსავალია ბოლო მარცვალის “-რთი”, რომელსაც არავითარი მორფული შესაბამისობა არ გააჩნია (თუმცა ყოფითი ცოდნის თანახმად *ბუ* შეიძლება გულისხმობდეს რაღაც ბუს მსგავს სათამაშოს, რომელიც ბავშვმა დაბადების დღეზე მიიღო საჩუქრად).

გასათვალისწინებელია, რომ დაშლა-გაერთიანების ტიპის გარდაქმნები ხორციელდება არა მთლიანი გამონათქვამის, არამედ მისი მონაკვეთების ფარგლებში, რომლებსაც განსაზღვრავენ პაუზები. ამ მონაკვეთებს ზოგჯერ ახასიათებენ ტერმინით – ფონეტიკური ფრაზა, რომელიც გულისხმობს მთლიანი გამონათქვამის ნაწილს, რომელიც იწყება მორიგი პაუზის შემდეგ და მთავრდება შემდეგ პაუზასთან.

ამის გათვალისწინებით ზოგადი სქემა იძენს შემდეგ სახეს:

ფონეტიკური ფრაზა → მარცვალის → ფონემა ⇒ მორფი ⇒ სიტყვაფორმა,

სადაც ცალხაზოვანი ისრები აღნიშნავენ დაშლას, ორხაზოვანი კი გაერთიანებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სქემა პირობითია, ანუ წარმოადგენს გარკვეული აბსტრაქციის კონკრეტულ პროცესს, რომელიც გამონათქვამის გამოხატულების გამოცნობის პროცედურას ახორციელებს. სინამდვილეში ეს პროცედურა შეიძლება “გადაახტეს” სქემის ამა თუ იმ ეტაპს (მაგალითად: მარცვლების დადგენის შედეგად უშუალოდ ივარაუდოს გარკვეული სიტყვაფორმა), ან პირიქით, გარკვეულ ჩიხში მოექცეს. მაგალითად, მიიღოს ნაშთი, რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ ინტერპრეტაციას. ამ უკანასკნელ ვარიანტს ეთანადება მაგალითი, სადაც მონაკვეთი *ბუ* გაიგივებულია შესაბამის ლექსემასთან, რის შედეგადაც ვიღებთ *რთი* მარცვალს, რომელიც ვერ მიესადაგება ვერც ერთ ენობრივ ერთეულს, მორფს ან სიტყვაფორმას.

უფრო არსებითია საფუძვლები, რომლებიც პირველ ვარიანტს განაპირობებს, ანუ “ზედა” დონეების (მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური) პარალელური განვითარება ამარტივებს და აზუსტებს წმინდა ფონეტიკურ-სემანტიკურ შემადგენელს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყოფითი პრაგმატიკული ინფორმაცია დაბადების ფორმას უკავშირებს გარკვეული თარიღის გამოხატულებას, კერძოდ, დღეს. მეტიც, ასეთი

თარიღი პრაგმატიკულ ასოციაციას იწვევს ზოგ პროცესთან (სტუმრობა, მასპინძლობა, ქეიფი) ან აქტთან (მილოცვა, ჩუქება, ...). სწორედ ბოლო ვარაუდი, პრაგმატიკული ინფორმაცია პროცესს აარიდებს იმ (ამ შემთხვევაში მცდარ) ვარაუდს, რომ აჩუქეს ფორმის მარცვლების პირველი წყვილი (აჩუ) წარმოადგენს დამოუკიდებელ ნაწილაკს (აჩუ, აჩუ ცხენო).

აქედან გამომდინარეობს აფიქსების (ა-, -ს) გრამატიკული ფუნქცია (II სერია, წყვეტილი, მე-3 პირი, მრავლობითი რიცხვი); ფორმის მთლიანობიდან კი გამომდინარეობს პარალელური სინტაქსურ-სემანტიკური ვარაუდი. კერძოდ, რომ ამ ზმნას უნდა ახლდეს არსებითები სემანტიკური როლების სახით:

AG (მოთხრობითი) + OB (სახელობითი) + AD (მიცემითი);

მართალია ნიმუშში წარმოდგენილი არ არის პირველი როლი (AG), მაგრამ კონტექსტში რომ ასეთი ელიფსისი დასაშვებია, შეიძლება ისევ პრაგმატიკას მივმართოთ, ამჯერად მის ზედა ფენას – სტილისტიკას.

პარალელურობა, რომლის ფარგლებში ენობრივ დონეებს შორის მიმდინარეობს თავისებური ინტერაქტიური ურთიერთობა, ენობრივი დინამიკის ერთ-ერთ ძირითადი მახასიათებელია. პარალელური განვითარების ყოველ ნაბიჯზე ენობრივი სისტემა (ორგანიზმი) ახალ ინფორმაციას იძენს სხვადასხვა დონის შესახებ ადრე მოპოვებული მონაცემების საფუძველზე. ამავე დროს, ერთი მხრივ, შეიძლება დაზუსტდეს ადრინდელი მონაცემები და, მეორე მხრივ, გარკვეული ვარაუდები წარმოიქმნას პროცესის და მისი შედეგების მომავალი განვითარების შესახებ [6].

ენობრივ მოდელში პარალელურობის ასახვა მოითხოვს ცალკეული ენობრივი დონეებისთვის აუცილებელი ისეთი “შუამავალი” საშუალების შექმნას, როგორცაა, მაგალითად, შერეული ტიპის გრამატიკულ-სემანტიკური განმარტებითი ლექსიკონი. ასეთ ლექსიკონს სასურველია ახლდეს, პირველ რიგში, მორფოლოგიური გენერატორი [4], [7], რომელიც ნებისმიერი სალექსიკონო ერთეულისთვის წარმოშობს მთლიან შესაბამის პარადიგმას ამ უკანასკნელის ყოველი წევრისთვის სათანადო მორფოლოგიური დახასიათებით.

ამავე დროს, არანაკლებ სასურველია ლექსიკონის თითოეულ ერთეულს ახლდეს მისი ლექსიკური ფუნქციების პარადიგმაც [8], რომელიც უნდა მოიცავდეს მონაცემებს როგორც მისი სემანტიკური პარადიგმის, ანუ სინონიმური მწკრივის შესახებ [9], ისე იმ სემანტიკურ მიმართებებზე, რომელთა კონტექსტში შეიძლება აღმოჩნდეს მოცემული ლექსიკური ერთეული (Magn, Bon, Caus, ..).

უკანასკნელი, შეიძლება ითქვას სინტიგმატურ-სემანტიკური, ინფორმაციის მეტად მნიშვნელოვან კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს სემანტიკური როლების [10] კომპლექტი, რომელიც შეიძლება მართული იყოს მოცემული ლექსიკის (პირველ რიგში, ზმნური) მიერ და რომელიც სინტაქსური თვალსაზრისით წარმოადგენს “ზირთული” ლექსემის აქტანტებს.

ენობრივი პროცესის (ანალიზის) სწორი განვითარებისთვის მეტად ფასეულია, აგრეთვე, სავარაუდო სემანტიკური ველების მითითება, რომლებსაც, ალბათ, უნდა განეკუთვნებოდეს ესა თუ ის სემანტიკური როლი ანუ აქტანტი. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ნიმუშის მცირე ტრანსფორმირების შედეგად შეიძლება მივიღოთ:

... ამ ბავშვს ჩვენ ვჩუქნით ბურთს,

სადაც, წმინდა მორფოლოგიურ-სინტაქსური ინფორმაციის თანახმად, მიცემითი ბრუნვით გაფორმებული ორივე წევრი (ბავშვს, ბურთს) შეიძლება განასახიერებდეს ორ სემანტიკურ როლს (OB და AD), თუმცა ენის მფლობელი ნებისმიერი ინდივიდისთვის ცხადია, რომ სწორედ ბავშვი მიიღებს ბურთს და არა პირიქით (ბურთი ბავშვს), რადგანაც ჩუქება ზმნის AD სემანტიკური ველი არის ადამიანი, OB კი ნივთი.

ეს მონაცემები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ენობრივი პროცესის განხორციელება, ასახული უნდა იყოს ლექსიკონში, რომელიც სისტემის ხერხემლის თავისებურ როლს ასრულებს. ლექსიკონი დინამიკური სისტემის სტატიკური კომპონენტია, თუმცა მისი „სტატიკურობა“ არ ეწინააღმდეგება ისეთი დინამიკური კომპონენტის ათვისებას, როგორცაა მორფოლოგიური გენერატორი. მეტიც, მორფოლოგიური შემადგენლის გვერდით ჩნდება ინფორმაცია, რომელიც ორიენტირებულია უშუალოდ სინტაქსურ-


სემანტიკური სტრუქტურის გენერაციაზე, სახელდობრ, გამონათქვამის სრული სინონიმური პარადიგმის წარმოქმნაზე. ასეთია ზემოხსენებული ლექსიკური ფუნქციები, სემანტიკური როლები, სინონიმური მწკრივები და ზოგი სხვა.

ამ სტრუქტურის ზოგად მონახაზად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ფენობრივი სინტაქსი [11]. ეს მრავალაქტანტური სქემა განსაკუთრებით კარგად ესადაგება ქართულის მსგავს ენას, რომლის ბირთვული შემადგენლები, ანუ ზმნები, თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად მიმართავენ რამდენიმე აქტანტს, რომლებიც, თავის მხრივ, გამოხატავენ გამონათქვამით ასახული სიტუაციის რამდენიმე მონაწილეს. მაგალითად,

დავხატე, დახატე, დახატა;
 დამხატე, დაგხატე, დახატა;
 დამიხატე, დაგიხატე, დაუხატა;

ეს სტრიქონები სამი სემანტიკური როლის – AG, OB, AD ექსპლიციტურ აღნიშვნას ასახავს *ხატვა* ზმნის აფიქსების საშუალებით.

ფენობრივი სქემის ფარგლებში მორფოლოგიური და სემანტიკური მონაცემების ამგვარი შეფარდება უზრუნველყოფს შინაარსის საკმაოდ გამჭვირვალე ასახვას:



T: დაბადების დღეზე

წყვეტილი ხაზი ჰყოფს ზედა და ქვედა ფენებს. ამ შემთხვევაში ქვედა ფენა დროის გარემოებაა. კერძოდ, დაბადების დღე.

სქემაზე გამონათქვამის შინაარსი განიხილება როგორც ერთობლივი, ერთჯერადი დაუშლელი ფაქტი, რომელიც ამავე დროს, შეიძლება ასახული იყოს სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით, რის შესაძლებლობასაც, მაგალითად, უზრუნველყოფს გამონათქვამის ბირთვის – *ჩუქება* – სინონიმური მწკრივი:

აჩუქა, მიართვა, უბოძა, უსახსოვრა, გადასცა საჩუქრად, დაასაჩუქრა.

მწკრივის ბირთვი არის აქტი, რომლის შედეგად AG-ის წყალობით AD-ი ხდება OB-ის მფლობელი. მნიშვნელოვანი დამატებითი პირობაა “მჩუქებლის” (AG) მიზანდასახულობა და დადებითი განწყობა აქტისა და ადრესატის მიმართ (AD). ამისდა მიუხედავად, ცხადია, რომ სინონიმური მწკრივის წევრები ზოგჯერ ერთმანეთს ვერ ჩაენაცვლებიან ზოგი პრიმიტიული და, კერძოდ, სტილისტური გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, ჩვენ მაგალითში სტილისტურად მიუღებელია *ჩუქების* ჩანაცვლება *ბოძებით*, რომელიც სხვა განსაკუთრებულ ნიუანსებს გულისხმობს როგორც საჩუქრის (OB), ისე ადრესატის (AD) მიმართ.

ჩვეულებრივ ტრივიალურ კონტექსტში არც ბავშვი და არც ბურთი არ წარმოადგენს ისეთ გამორჩეულ ინდივიდს (პერსონას) ან საგანს, რომელიც დაექვემდებარება *ბოძების* აქტის ვარიანტს, თუმცა რაღაც სხვა სიტუაციაში ასეთი გაფორმება მართებული შეიძლება იყოს. მაგალითად, თუ ბავშვმა ბრწყინვალედ გაართვა თავი რომელიმე როლს (კინოში,

სპორტში) და ამის გამო დაჯილდოვდა ოქროს ბურთით (ბომბასთან, ალბათ, აგენსს უფრო აქვს მნიშვნელობა, მაგ. მეფემ უბოძა საჩუქარი). ეს უჩვეულო, არასტანდარტული მაგალითი მიუთითებს იმაზე, რომ ენა მისი მოწესრიგებულობის, მისი სისტემატურობის მიუხედავად, არ ექვემდებარება მკაცრ, მათემატიკურ კანონზომიერებას. მისი მწყობრი და თანმიმდევრული ხასიათის მიუხედავად, ის ადგილს ტოვებს გარკვეული “რჩევებისთვის”, რომლებიც უზრუნველყოფენ უჩვეულო სიტუაციების “ჩვეული” საშუალებებით აღწერის შესაძლებლობას და, ამგვარად, ენა “თავს არიდებს” რაღაც დამატებითი საშუალებების შემოღებას, რასაც მოჰყვებოდა მისი ისედაც უზარმაზარი მოცულობის დამატებითი გაზრდა. ამის გამო ხდება ზოგი ლექსემის ხმარების არეალის გაფართოება. მაგალითად, იგივე *ბომბა* შეიძლება გაჩნდეს ირონიულ კონტექსტში, სადაც ხაზი გაესმება საჩუქრის უმნიშვნელობას და მის შეუსაბამობას ადრესატის ან მოვლენის ღირსებასთან.

ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელი ეკონომიის პრინციპი ხშირად ვლინდება უცხო ენის ლექსიკური ერთეულების ათვისების შემთხვევაში. ენა ითვისებს უცხოურ ლექსიკას, თუკი მას არ გააჩნია შესაბამისი მნიშვნელობის მქონე საკუთარი ერთეული (სუბიექტი, როლი, პარადიგმა, ...), მაგრამ სჯერდება საკუთარი ლექსიკის ნიმუშებს, თუკი ისინი უტოლდებიან ან, ყოველ შემთხვევაში, ახლოს არიან ახალ მნიშვნელობასთან. ეს უკანასკნელი ვარიანტი ვლინდება, კერძოდ, ისეთ ლექსიკურ კომბინაციებში, როგორცაა: ორთქლმავალი, თვითმფრინავი, შვეულმფრენი, ქვანახშირი და სხვა.

თვით პროცესის პარალელურობა შეიძლება შეფასდეს როგორც “პროცედურალური” შემადგენელის ეკონომია, რომელიც ზოგავს შესასრულებელი ოპერაციების რაოდენობას და პროცესის ყოველ ბიჯზე ზღუდავს მისი გაგრძელების ვარიანტებს. მაგალითად, ზემოთ გამოყენებულ გამონათქვამში პირველივე წყვილი (დაბადების დღე) გარკვეულ ვარაუდებს აჩენს მომხდარი სიტუაციის ხასიათის და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ზმნის შესახებ (ჩუქება, სტუმრობა, სუფრის გაშლა და ა.შ.); ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მძლავრი და ჩამოყალიბებული ვარაუდების წარმომქმნელი არის ზმნა *აჩუქეს*, რომელიც გულისხმობს არა მარტო სიტუაციის მოქმედი პირების სამეულს (AG, OB, AD) და მათ გაფორმებას (ბრუნვებს), არამედ იმ სემანტიკურ ველებს, რომლებსაც, ჩვეული კონტექსტის შემთხვევაში, უნდა განეკუთვნებოდეს ყოველი მათგანი (AG, AD - პიროვნება, OB - საგანი).

დამახასიათებელია ისიც, რომ გამონათქვამის ფარგლებში დასაშვებია AG წევრის ხსენების გამოტოვება, რაც, პირველ რიგში, გაპირობებულია ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმით სუბიექტურ წყობაში (შეადარე – გადაწყვიტეს, ფიქრობენ, ამბობენ). ამ გარემოებას უფრო ნათელს ხდის საპირისპირო, მხოლოდითი ფორმა *აჩუქს*, რომელიც AG-ის ხსენების გარეშე დასაშვებია მხოლოდ გარკვეული ტიპის დიალოგის ფარგლებში, სადაც მას წინ უმდგის შეკითხვა, რომელშიც ექსპლიციტურად ფიგურირებს AG-ის ხსენება,

რა აჩუქს პეტრემ ბავშვს დაბადების დღეზე?

რომლის პასუხი შეიძლება ერთ სიტყვასაც შეიცავდეს:

ბურთი,

რომელიც წარმოადგენს სრულიად დასაშვებ ელიფსისს. ამგვარად, ეკონომიის პრინციპი თავს იჩენს ენის როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ასპექტში. ენის მოქნილობა კი იმ მრავალფეროვნებაში ვლინდება, რომელსაც ენა ინარჩუნებს ეკონომიის პრინციპის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნების მიმართება ენის ფარგლებში პოულობს თავისებურ „ოქროს კვეთას“: რაც შეიძლება ცოტა, მაგრამ ისე, რომ დაკმაყოფილდეს ნებისმიერი ფარული მოთხოვნა.

ეკონომიის პრინციპი განაპირობებს ვარაუდებს, რომლებიც თან ახლავს ანალიზის პროცესის განვითარებას, მის გავრცელებას „ჰორიზონტალური“ ღერძის გასწვრივ, რომელიც (მეტაფორულად) წარმოადგენს გამონათქვამის განვითარებას „დროის ღერძის“ გასწვრივ და, ამავე დროს, „ასოთა ჯაჭვის“ მიყოლებით ტექსტის სივრცეში კითხვის პროცესის განვითარებას. ეს ვარაუდები მნიშვნელოვნად ზღუდავს მოცემული გამონათქვამის პოტენციურ გავრცობას მისი განვითარების ყოველ პუნქტში და ამით ამარტივებს პროცესის

განვითარებას. ასეთი ვარაუდების წარმოქმნაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ზემოთ ხსენებული ინტერაქტიური რეჟიმი, რომელიც ენობრივ დონეებს შორის პროცესის განვითარების მსვლელობაში ხორციელდება. ამის მარტივი მაგალითია „მ“ დაბოლოება გამონათქვამში:

პეტრე-მ აჩუქა ბიჭს ბურთი,

რომელიც (თითქმის) ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მას მოჰყვება გარდამავალი ზმნა, რომლის ქვემდებარე წარმოდგენილი უნდა იყოს არსებითი სახელით (პეტრე), რომელსაც მოსდევს დაბოლოება -მ (მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი). ამავე დროს, არსებითი სახელი, სემანტიკური თვალსაზრისით, უნდა იყოს გამონათქვამში ასახული აქტის/პროცესის აგენსი (AG), ანუ მონაწილე, რომელიც შეასრულებს ამ აქტს, ან რომელსაც მიჰყავს ხსენებული პროცესი. ამგვარად, ეს ვარაუდები არა მარტო პროცესის გავრცელებას ემსახურება „ჰორიზონტალური“ (დროის) დერმის გასწვრივ, არამედ გარკვეულ ნაბიჯსაც ვირტუალური „ვერტიკალური“ მიმართულებითაც, ანუ უზრუნველყოფს გარკვეულ ნაბიჯს გამონათქვამის გამოხატულებიდან შინაარსისკენ, სახელდობრ, იმ მიმართულებით, რომელიც განსაზღვრავს ენობრივი პროცესის მთელ აზრს და რომლის სიმბოლიკა გამოიხატება ფორმულით:

გამოხატულება → შინაარსი.

50-55 წლის მონაწილეები	10.8±1.0	23.5	2.5

ცხრილი 1. გოაე-ს ჯამური ამპლიტუდის საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები (დბ-ში) ჯგუფების მიხედვით

ხმაურის ფონზე მეტყველებითი აუდიომეტრიის შედეგების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მოსმენილი 100 სიტყვიდან მმპმ-ის მომხმარებლებმა სიტყვების საშუალოდ 53% გაიგო სწორად, არამომხმარებლებმა - 74%, ხოლო ასაკოვანთა ჯგუფში - 63% (სურათი2).



სურ.2 სწორად გაგებული სიტყვების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებლები მმპმ- მომხმარებლებსა, არამომხმარებლებსა და ასაკოვან ჯგუფში.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ლატენტური სმენის დაქვეითების იდენტიფიკაცია სუბიექტური ტონალური აუდიომეტრიის და გამოწვეული ოტოაკუსტიკური ემისიის რეგისტრაციის მეთოდით არ არის შესაძლებელი. სუბიექტური ტონალური აუდიომეტრიით კონვენციონალურ სიხშირეებზე ცვლილებები არც ერთ ჯგუფში არ დაფიქსირდა. 14 და 16 კჰც სიხშირეზე ბგერითი აღქმის არსებობა 50 და 55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში სმენის ასაკობრივი დაქვეითების ბუნებრივი პროცესის შედეგია. გოაე-ის შედეგებმა აჩვენა, რომ მმპმ-ს არამომხმარებელთა ჯგუფში ჯამური ამპლიტუდის საშუალო მაჩვენებელი უმნიშვნელოდ მაღალი იყო სხვა ჯგუფებთან შედარებით, მაგრამ ინდივიდუალური მონაცემები ძალიან ვარიაბელური და მსგავსი იყო.

სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ჯგუფებს შორის აღმოჩნდა ხმაურში მეტყველებითი აუდიომეტრიის შედეგების დამუშავებისას. სიტყვების გარჩევადობის ყველაზე ცუდი უნარი აღმოჩნდათ ახალგაზრდებს, რომლებიც სისტემატურად ისმენდნენ ხმამაღალ მუსიკას. მეტიც, საშუალოდ 30 წლით უფროს პირებს გაცილებით მეტი სიტყვის გაგონება შეეძლოთ.

ლატენტური სმენის დაქვეითების გამოსავლენად ყველაზე ეფექტური მეთოდი აღმოჩნდა მეტყველებითი აუდიომეტრია ხმაურის ფონზე. მაშინ, როცა სმენის ანალიზატორის გამტარ გზებში დაწყებული პათოლოგიური პროცესები არ ვლინდება არც სუბიექტურად, არც რუტინული გამოკვლევებით, ჩვენს მიერ მოწოდებული მარტივი მეთოდით ახალგაზრდა ორგანიზმში დაწყებული შეუქცევადი პროცესების გამოამკარავება და შესაბამისად შეჩერება შესაძლებელია.

Variation of induced otoacoustic emission parameters and speech audiometry data in the formation of Hidden hearing loss

N.Saralidze, N. Svanidze, A. Tushishvili, N. Sharashenidze

Summary

Latent hearing loss has been investigated by both subjective and objective methods. The study involved young people age 18 to 30, in the amount of 40 people and people from 50 to 55 years old, in the amount of 15 people. The participants were divided into three groups. The first was composed of young users of portable music players, the second group included young people -nonusers and the third group consisted of adults who did not listen to loud music. Everyone underwent Subjective audiometry in the frequency range 125-16000 Hz, Evoked otoacoustic emission and Speech audiometry in the noise. Auditory thresholds at frequencies of 125-8000Hz were normal in all participants. The summary indicators amplitudes of evoked otoacoustic emission quantitatively or statistically did not differ in the groups. A significant difference was obtained in results of speech audiometry in noise. In the first group listened 53 words from 100, in the second - 74 and in the third - 63 words. Based on the results of the study, it can be said that latent hearing loss is best manifested through speech audiometry in noise.

Изменение параметров вызванной отоакустической эмиссии и речевой аудиометрии в процессе формирования латентного понижения слуха

Н. Саралидзе, Н. Сванидзе, А. Тушишвили, Н. Шарашенидзе

Резюме

Латентное понижение слуха было исследовано как субъективными, так и объективными методами. В исследовании принимали участие молодые люди в возрасте от 18 до 30, в количестве 40 человек и лица от 50 до 55 лет, в количестве 15 человек. Участники были подразделены на три группы. Первую составили молодые пользователи портативных музыкальных плееров, во вторую группу входили молодые не слушающие музыку посредством наушников и третью составляли взрослые не слушающие громкую музыку. В процессе исследования всем производилась субъективная аудиометрия в частотном диапазоне 125-16000 Гц, вызванная отоакустическая эмиссия и речевая аудиометрия на фоне шума. Слуховые пороги на частотах 125-8000 Гц были в пределах нормы у всех участников. Усредненные показатели суммарной амплитуды, вызванной отоакустической эмиссии, количественно и статистически по группам не отличались друг от друга. Существенная разница была получена в разборчивости слов при фоновом шуме. В первой группе из 100 слов было услышано 53, во второй 74, а в третьей – 63 слова. Основываясь на

результатах исследования можно сказать, что латентное понижение слуха лучше всего проявляется посредством речевой аудиометрии в сопровождении шума

ლიტერატურა – References – Литература

1. Biassoni E. C., Serra M. R., Richtert U. (2007) - Recreational noise exposure and its effects on the hearing of adolescents. Part II: Development of hearing disorders. *Internet J Audio*, 44: 74-85.
2. Bradley R., Eortnua H., (1987) - Coles R. Patterns of exposure of school children to amplified music. *Brit J Audiol*, 21: 119-125.
3. Eggermont JJ. Effects of long-term non-traumatic noise exposure on the adult central auditory system. Hearing problems without hearing loss. *Hear Res*. 2017 Sep; 352:12–22. doi:10.1016/j.heares.2016.10.015.
4. European Commission. 2008. [2018-02-21]. Potential health risks of exposure to noise from personal Music players and mobile phones including a music playing function Preliminary 5. Lonescu D. (2009) - Evolution of the MP3 player: *PCWorld*, Oct 29.
6. Lutman ME, Davis AC, Ferguson MA. Health and Safety Executive. 2008. [2018-02-24]. Epidemiological evidence for the effectiveness of the noise at work regulations
7. Mostafapour S.P., Lahargoue K., Gates G.A. (2006) - Noise-induced hearing loss in young adults: The Role of personal listening devices and other sources of leisure noise. *Laryngoscope*, 108: 1832-1839.
8. Williams W. (2005) - Noise exposure levels from personal stereo use. *Internet J Audio* 1, 44: 231-236.
9. World Health Organization, Regional Office for Europe. 2011. [2018-02-21]. Burden of disease from Environmental noise. Quantification of healthy life years lost in Europe

**სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის შემუშავება ასოციაციების
ძიების საფუძველზე**

*მაია მიქელაძე, ვადიმ რადიევსკი, ნორა ჯალიაბოვა, ნათელა ანანიაშვილი,
დიმიტრი რადიევსკი*

*Email: mikeladzemaia@yahoo.com, v_radzievski@yahoo.com, noraj@mail.ru,
ia.ananiashvili@gmail.com, dradzievski@gmail.com,*

რეზიუმე

განიხილება სამედიცინო მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის ამოცანა სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის აგების მიზნით. მონაცემთა ანალიზისთვის გამოიყენება ასოციაციების ძიების მეთოდის მოდიფიცირებული ვერსია, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანის ამოსახსნელად. სამედიცინო მონაცემების შემოთავაზებული მეთოდით დამუშავებისას შესაძლებელია თითოეული დაავადებისთვის ხშირად შემხვედრი სიმპტომების და სიმპტომთა ნაკრებების გამოვლენა; აგრეთვე, მოძიებული სიმპტომების სპეციფიურობისა და სიმპტომთა ხშირად შემხვედრი ნაკრებების საფუძველზე აგებული ასოციაციური წესების სანდოობის შეფასება. მიღებული ასოციაციური წესების მეშვეობით შესაძლებელია დაავადებათა სინდრომული დიაგნოსტიკის პროცესის განხორციელება. შემოთავაზებული მეთოდი გამოყენებულ იქნა რამდენიმე ენდოკრინოლოგიური დაავადების კლინიკური მონაცემების დამუშავებისთვის. მიღებული ასოციაციური წესების საფუძველზე აგებულ იქნა ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის ცოდნის ბაზა, რომელიც განკუთვნილია ენდოკრინოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისთვის.

საკვანძო სიტყვები

სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემა, სინდრომული დიაგნოსტიკა, მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი, ასოციაციების ძიება

I. შესავალი

სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის დანიშნულებაა დაეხმაროს ექიმს გადაწყვეტილების მიღებაში მკურნალობის ყველა ეტაპზე. სამედიცინო ინტელექტუალურ სისტემაში აკუმულირებულია ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შესაბამის სფეროში მოღვაწე ექიმებს გააჩნიათ.

სამედიცინო დარგის კომპიუტერიზაციამ წარმოქმნა სხვადასხვა ტიპის ელექტრონული სამედიცინო მონაცემები, რომლებიც ხასიათდებიან დიდი და სულ უფრო მზარდი მოცულობით. ესაა ინფორმაცია პაციენტთა ელექტრონული ისტორიებიდან: პაციენტის ჯანმრთელობის მაჩვენებლები, გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული მკურნალობა და სხვ. პაციენტთა გამოკვლევების და მკურნალობის შედეგად მიიღება არა მხოლოდ რიცხვითი და ტექსტური ინფორმაცია, არამედ ვიზუალურიც: რენტგენის სურათები და ეკგ, ულტრაბგერითი და ტომოგრაფიული გამოკვლევების შედეგები. ამის გარდა, სამედიცინო დაწესებულებებში გროვდება დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ბუნებრივ ენაზე დაწერილი ტექსტების სახით.

სამედიცინო სფეროში დაგროვებული ინფორმაციის დამუშავება იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვლინდეს ფარული ცოდნა და გარკვეული კანონზომიერებები შესაბამის სამედიცინო დარგში. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება მონაცემთა

ინტელექტუალური ანალიზის მეთოდები [1]. შემდგომ, გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე შესაძლებელია სამედიცინო ინტელექტუალური სისტემის ცოდნის ბაზის შემუშავება.

მოცემულ სამუშაოში დიდი მოცულობის სამედიცინო ინფორმაციის დასამუშავებლად შემოთავაზებულია ასოციაციების ძიების მეთოდის მოდიფიკაცია, რომლის მეშვეობით გადაწყვეტილია სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანა. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა სამედიცინო ინტელექტუალური მხარდამჭერი სისტემის ცოდნის ბაზა, რომელიც განკუთვნილია ზოგიერთი ენდოკრინოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკისათვის.

II. სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანა.

სინდრომული დიაგნოსტიკა და სიმპტომების დიაგნოსტიკური მნიშვნელობის შეფასება.

სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანა კლასიფიკაციის ამოცანას წარმოადგენს და გულისხმობს სიმპტომების და გამოვლენების შედეგების საფუძველზე პაციენტის მდგომარეობის გარკვეული დაავადებისადმი (კლასისადმი) მიკუთვნებას.

გასათვალისწინებელი სიმპტომების დიდი რაოდენობის პირობებში ექიმი იძულებულია დაეყოს ეს სიმპტომები კატეგორიებად. დიაგნოსტიკური მნიშვნელობის მიხედვით ყოველი კონკრეტული დაავადებისთვის განასხვავებენ სპეციფიკურ, არასპეციფიკურ და პათოგნომურ სიმპტომებს.

პათოგნომური სიმპტომი - ესაა სიმპტომი, რომელიც აღინიშნება მხოლოდ ერთი დაავადების დროს და რომელსაც აქვს აბსოლუტური დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ამ დაავადებისათვის.

სპეციფიკური სიმპტომი აგრეთვე ახასიათებს კონკრეტულ დაავადებას, მაგრამ არ არის საკმარისი აბსოლუტურად უტყუარი დიაგნოზის დასასმელად. თუმცა მისი არსებობა სხვა სიმპტომებთან ერთად ზრდის დიაგნოზის სანდოობას.

არასპეციფიკური სიმპტომი - ესაა სიმპტომი, რომელიც ვლინდება მრავალი დაავადების დროს.

დაავადების დიაგნოსტიკა, როგორც წესი, ეფუძნება დაავადების სინდრომის გამოვლენას - სპეციფიკური და არასპეციფიკური სიმპტომების მდგრად ერთობლიობას, რომლებიც წარმოადგენენ დაავადების დამახასიათებელ სურათს. თერაპევტის დონეზე სინდრომულ დიაგნოზს აქვს გარკვეული უპირატესობა: ის საკმაოდ სწრაფად დგინდება დიაგნოსტიკური გამოვლენების მინიმალური მოცულობის პირობებში და, ამასთანავე, საკმარისია იმისათვის, რომ იყოს დასაბუთებული პაციენტის გადამისამართება ექიმ-სპეციალისტთან ან სტაციონარში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: დიდი მოცულობის სამედიცინო მონაცემების (დაავადებათა ისტორიების) დამუშავება, ხშირად შემხვედრი სიმპტომების ერთობლიობების აღმოსაჩენად, მოგვცემს საშუალებას გამოვავლინოთ დაავადების ახალი ან დავაზუსტოთ დაავადების უკვე არსებული სინდრომები. ამ ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებული იყო ასოციაციების ძიების მეთოდი.

III. ასოციაციების ძიება

ასოციაციების ძიების მეთოდი განკუთვნილია მონაცემთა დიდ მასივებში ელემენტთა ხშირად შემხვედრი ნაკრებების გამოვლენისთვის. ამ ძიების შედეგები, როგორც წესი, წარმოიდგინება ასოციაციური წესების სახით. ასოციაციურ წესს აქვს შემდეგი სახე [2]:

A მოვლენიდან გამომდინარეობს B მოვლენა,

სადაც *A* და *B* – ელემენტთა ნაკრებებია, რომლებსაც არ აქვთ საერთო ელემენტები.

ასოციაციური წესის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს წესის მხარდაჭერა (*support*) და წესის სანდოობა (*confidence*).

წესის მხარდაჭერა გამოითვლება როგორც იმ ჩანაწერების რაოდენობის შეფარდება, რომლებიც შეიცავენ ერთდროულად ორივე A და B ნაკრებს, მონაცემთა ბაზაში შემავალი ჩანაწერების რაოდენობასთან [2].

$$Supp(A \rightarrow B) = \frac{N(A, B)}{N} = P(A, B) \quad (1)$$

წესის სანდოობა - ეს არის ალბათობა იმისა, რომ თუ ჩანაწერი A ნაკრებს შეიცავს, მაშინ ის B ნაკრებსაც შეიცავს. წესის სანდოობა გამოითვლება როგორც იმ ჩანაწერების რაოდენობის შეფარდება, რომლებიც შეიცავენ ერთდროულად ორივე A და B ნაკრებს, იმ ჩანაწერების რაოდენობასთან, რომლებიც შეიცავენ A ნაკრებს [2]:

$$Conf(A \rightarrow B) = P(B|A) = \frac{P(A, B)}{P(A)} = \frac{N(A, B)}{N(A)} \quad (2)$$

ფაქტობრივად, სანდოობა ახასიათებს წესის სიზუსტეს,

ასოციაციური წესების ძიების ალგორითმები საშუალებას იძლევა მივიღოთ „ $A \rightarrow B$ “ სახის წესები მხარდაჭერის და სანდოობის სხვადასხვა მნიშვნელობებით. აგებული წესების რაოდენობა შესაძლოა დიდი იყოს. წესების რაოდენობის შეზღუდვის მიზნით წინასწარ დგინდება მხარდაჭერის *MinSupp* და სანდოობის *MinConf* მინიმალური ზღურბლები. ამავე დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ მხარდაჭერის მაღალი მნიშვნელობის მქონე წესები თვალსაჩინოა და ანალიტიკოსებისთვის უკვე ცნობილია. მეორეს მხრივ, მხარდაჭერის დაბალი მნიშვნელობა საშუალებას მოგვცემს მოვძებნოთ არათვალსაჩინო და უცნობი წესები, მაგრამ მათი უმრავლესობა სტატისტიკურად დაუსაბუთებელი იქნება.

ასოციაციური წესების ძიების პროცესი შედგება ორი ეტაპისგან:

1. ელემენტთა ყველა ხშირად შემხვედრი ნაკრების პოვნა – ნაკრებების, რომლებიც აკმაყოფილებენ მხარდაჭერის ზღურბლს;
2. ხშირად შემხვედრი ნაკრებებისგან იმ ასოციაციური წესების გენერირება, რომლებიც აკმაყოფილებენ სანდოობის ზღურბლს.

ასოციაციური წესების ძიების ყველაზე ცნობილ ალგორითმს წარმოადგენს ალგორითმი *Apriori* [2]. ამ ალგორითმის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად შემხვედრი ნაკრების ყველა ქვესიმრავლე უნდა იყოს ასევე ხშირად შემხვედრი. ამგვარად შესაძლებელი ხდება ძებნის არის შემცირება.

IV. სიმპტომების სპეციფიურობის დადგენა და დაავადების სინდრომის გამოვლენა ასოციაციების ძიების მეთოდის გამოყენებით.

სპეციფიკური სიმპტომების და დაავადებათა სინდრომების გამოვლენის მიზნით მონაცემთა ბაზის დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა ალგორითმი *Apriori*. ვინაიდან ეს ალგორითმი შექმნილი იყო ეკონომიკური მონაცემების დამუშავებისთვის, ჩვენ განვახორციელეთ მისი ადაპტაცია სამედიცინო მონაცემებისთვის.

მონაცემთა ბაზა მონაცემების სახით შეიცავდა სამი ენდოკრინული დაავადების კლინიკურ სურათებს: შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერთირეოზი, ჰიპოთირეოზი. მონაცემთა ბაზის შესაქმნელად მოვახდინეთ საწყისი სამედიცინო ინფორმაციის სტრუქტურირება და, შემდეგ, ბინარიზება არსებული და ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდების მიხედვით [3]. მონაცემთა ბაზის თითოეული S_i ველი წარმოადგენდა დაავადების კონკრეტულ სიმპტომს, ხოლო თითოეული ჩანაწერი – კონკრეტულ პაციენტს. თითოეული ველი მნიშვნელობის სახით შეიცავს ან 1-ს – შესაბამისი სიმპტომი აღენიშნება ავადმყოფს, ან 0-ს – შესაბამისი სიმპტომი არ აღენიშნება ავადმყოფს. გარდა ამისა, მონაცემთა ბაზის სამი ველი – D_1 , D_2 და D_3 გამოყოფილი იყო დიაგნოზების ჩასაწერად.

ეკონომიკური მონაცემების შემთხვევაში მონაცემთა ბაზა შეიცავს ერთგვაროვან ნიშანთვისებებს. სამედიცინო მონაცემების შემთხვევაში გვაქვს ნიშანთვისებების 2

კატეგორია: სიმპტომები (90-მდე ბინარული S_i ნიშან-თვისება) და დიაგნოზები (სამი ბინარული D_1, D_2 და D_3 ნიშან-თვისება). ვინაიდან მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომების და სინდრომების გამოვლენა, მონაცემთა ბაზის დამუშავებისას ჩვენ ვეძებდით ნიშნების არა ნებისმიერი სახის ნაკრებებს, არამედ ნაკრებებს, რომლებიც ერთერთი ნიშნის სახით შეიცავდნენ რომელიმე დიაგნოზს D_j :

$$S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k} D_j.$$

ასეთი სახის ხშირად შემხვედრი ნაკრები ნიშნავს, რომ $S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k}$ სიმპტომები ხშირად აღენიშნება D_j დიაგნოზის მქონე პაციენტებს. ე.ი. $S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k}$ სიმპტომები შეიძლება ჩაითვალოს D_j დაავადების სინდრომად. ამ ხშირად შემხვედრი ნაკრების საფუძველზე შექმნილია ასოციაციური წესი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$(S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k} \rightarrow D_j) - \text{“თუ ადგილი აქვს } S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k} \text{ სიმპტომებს, მაშინ ადგილი აქვს } D_j \text{ დაავადებასა”}.$$

ეს წესი შეიძლება შემდგომ გამოყენებულ იქნას სამედიცინო ინტელექტუალური მხარდაჭერი სისტემის ცოდნის ბაზაში სინდრომული დიაგნოსტიკის პროცესის განხორციელებისთვის. ხოლო ასოციაციური წესის სანდოობა კი

$$Conf(S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k} \rightarrow D_j) = P(D_j | S_{i_1} S_{i_2} \dots S_{i_k})$$

შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ წესის მიხედვით დასმული დიაგნოზის სანდოობა.

ასოციაციური წესებისთვის მინიმალური მხარდაჭერის ზღურბლის - *MinSupp* ასარჩევად გათვალისწინებულ იქნა შემდეგი გარემოებები:

- ხშირად შემხვედრ ნაკრებში შემავალი თითოეული ნიშანი აგრეთვე უნდა იყოს ხშირად შემხვედრი;
- მონაცემთა ბაზა შეიცავს განსხვავებული დიაგნოზების თანაბარ რაოდენობას, ანუ თითოეული დიაგნოზის წილი შეადგენს 0.33;
- S_i სიმპტომი ჩავთვალოთ D_j დაავადებისთვის დამახასიათებლად, თუკი ის აღენიშნება შესაბამისი დიაგნოზის მქონე პაციენტების არანაკლებ 50%-ს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით: $MinSupp = 0.33 * 0.5 = 0.17$.

მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგები მოყვანილია ცხრ.1 და ცხრ.2-ში.

ცხრილი 1. მონაცემების დამუშავების შედეგად თითოეული დაავადებისთვის გამოვლენილი ხშირად შემხვედრი სიმპტომები.

დაავადება	ხშირად შემხვედრი სიმპტომები						
შაქრიანი დიაბეტი	გაზლიერებული წყურვილი	პირის სიმშრალე	პოლი-ურია	სისუსტე	თავის ტკივილი		
<i>Supp</i>	0.33	0.30	0.26	0.30	0.18		
ჰიპერ-თირეოზი	პულსის აჩქარება	წონაში კლება	ადვილად დაღლა	სისუსტე			
<i>Supp</i>	0.23	0.17	0.21	0.29			
ჰიპო-თირეოზი	მეხსიერების დაქვეითება	წონაში მატება	ადვილად დაღლა	სისუსტე	აპათია	ყაზობა	ძილი-ანობა
<i>Supp</i>	0.19	0.18	0.20	0.24	0.18	0.17	0.19

მიღებული შედეგები არ ეწინააღმდეგება მედიცინაში ცნობილ ფაქტებს: ჩვენს მიერ გამოყოფილი ყველა ხშირად შემხვედრი სიმპტომი მედიცინაში ითვლება შესაბამისი დაავადებებისათვის დამახასიათებელ სიმპტომად.

ცხრილი 2. თითოეული დაავადებისთვის გამოვლენილი ხშირად შემხვედრი სიმპტომების სპეციფიურობის მაჩვენებელი.

დაავადება	ხშირად შემხვედრი სიმპტომები						
შაქრიანი დიაბეტი <i>Conf</i>	გაზლიერებული წყურვილი 1.00	პირის სიმშრალე 0.96	პოლიურია 1.00	სისუსტე 0.39	თავის ტკივილი 0.50		
ჰიპერთირეოზი <i>Conf</i>	პულსის აჩქარება 0.71	წონაში კლება 0.57	ადვილად დაღლა 0.39	სისუსტე 0.39			
ჰიპოთირეოზი <i>Conf</i>	მეხსიერების დაქვეითება 0.69	წონაში მატება 0.98	ადვილად დაღლა 0.39	სისუსტე 0.32	აპათია 1.00	ყაზობა 0.98	ძილიანობა 0.90

სანდოობის განსაზღვრიდან (3) გამომდინარე, თითოეული ხშირად შემხვედრი სიმპტომისთვის ($S_{ik} \rightarrow D_j$) წესის სანდოობა წარმოადგენს მოცემული დაავადებისთვის ამ სიმპტომის სპეციფიურობის მაჩვენებელს.

მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგად გამოვლენილი სინდრომები:

შაქრიანი დიაბეტი: გაძლიერებული წყურვილი, პირის სიმშრალე, პოლიურია, სისუსტე – $Conf = 1$

ჰიპერთირეოზი: პულსის აჩქარება, ადვილად დაღლა, სისუსტე – $Conf = 0,89$

ჰიპოთირეოზი: წონაში მატება, ადვილად დაღლა, აპათია – $Conf = 1$
წონაში მატება, ყაზობა, აპათია – $Conf = 1$
მეხსიერების დაქვეითება, სისუსტე, ძილიანობა – $Conf = 1$

V. დასკვნა.

ასოციაციების ძიების მეთოდი, რომელიც თავის დროზე შეიქმნა საცალო გაყიდვების ანალიზისთვის, გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას კლასიფიკაციის ამოცანების, მათ შორის სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანის გადასაწყვეტად. სამედიცინო ინფორმაციის ამ მეთოდით დამუშავებისას შესაძლებელია:

თითოეული დაავადებისთვის ხშირად შემხვედრი (ანუ დამახასიათებელი) სიმპტომების გამოვლენა და ამ სიმპტომების სპეციფიურობის შეფასება;

თითოეული დაავადებისთვის სიმპტომთა ხშირად შემხვედრი ნაკრებების გამოვლენა, რაც მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ დაავადების ახალი სინდრომები ან დავაზუსტოთ უკვე არსებული სინდრომები;

სიმპტომთა ხშირად შემხვედრი ნაკრებების საფუძველზე ასოციაციური წესების აგება, რაც სინდრომული დიაგნოსტიკის განხორციელების საშუალებას მოგვცემს.

და ბოლოს, მიღებული ასოციაციური წესები შეიძლება განთავსდეს სამედიცინო ინტელექტუალური სისტემის ცოდნის ბაზაში, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამედიცინო დიაგნოსტიკის პროცესის მხარდაჭერას.

Development of a Medical Intelligent Decision Support System Based on Association Rule Mining

Maia Mikeladze, Vadim Radziewski, Nora Jaliabova, Natela Ananiashvili, Dimitri Radziewski

Summary

The problem of medical data mining is considered in order to build a medical intelligent decision support system. For data analysis, the association rule mining method is used, modified to solve the medical diagnosis problem. The processing of medical data by the proposed method allows to identify frequent symptoms and symptom sets for each disease, as well as assess the specificity of the symptoms found and the confidence of association rules generated from frequent symptom sets. The resulting association rules make it possible to organize the process of syndromic diagnosis of diseases. The proposed method was used to process the clinical data of a number of endocrinological diseases. Based on the obtained association rules, a knowledge base of the intelligent decision support system designed for diagnosing endocrinological diseases was formed.

Разработка медицинской интеллектуальной системы поддержки принятия решений на основе поиска ассоциаций

Maia Mikeladze, Vadim Radziewski, Nora Jaliabova, Natela Ananiashvili, Dimitri Radziewski

Резюме

Рассматривается задача интеллектуального анализа медицинских данных с целью построения медицинской интеллектуальной системы поддержки принятия решений. Для анализа данных используется метод поиска ассоциаций, модифицированный для решения задачи медицинского диагностирования. Обработка медицинских данных предложенным методом позволяет выявить для каждого заболевания часто встречающиеся симптомы и наборы симптомов, а также оценить специфичность найденных симптомов и достоверность ассоциативных правил, построенных на основе часто встречающихся наборов симптомов. Полученные ассоциативные правила позволяют организовать процесс синдромного диагностирования заболеваний. Предложенный метод был применен для обработки клинических данных ряда эндокринологических заболеваний. На основе полученных ассоциативных правил была сформирована база знаний интеллектуальной системы поддержки принятия решения, предназначенной для диагностирования эндокринологических заболеваний.

ლიტერატურა – References – Литература

1. Микеладзе М., Радзиевский В., Бесиашвили Г., Джалябова Н., Карчава П., Радзиевский Д. Задачи, методы и системы интеллектуального анализа данных в медицине. Юбилейная сессия, посвященная 60-летию Института систем управления. Сборник трудов Института систем управления А.Элиашвили Грузинского технического университета №20., Тб., 2016, с. 45-52.
2. Agrawal, R., Imielinski, T., Swami A. Mining Associations between Sets of Items in Massive Databases. In Proc. of the 1993 ACM-SIGMOD Int'l Conf. on Management of Data, 1993.
3. მიქელაძე მ., რადიევსკი ვ., ჯალიაბოვა ნ., რადიევსკი დ. ცოდნის ორგანიზება ინტელექტუალურ საინფორმაციო სისტემებში დიაგნოსტიკის არაფორმალური ელემენტების გამოყენების გადარჩევით. ვახტანგ გომელაურისა და არჩილ ელიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია “ენერგეტიკა და მართვის პროცესები”, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. №18, თბილისი, 2014, გვ. 50-56.

სამედიცინო ცოდნის ბაზაში ახალი კანონზომიერებების გამოვლენა და მათი გამოყენება დიაგნოსტიკების და პროგნოზირების ამოცანების ამოხსნისას

ვადიმ რადიევსკი, მაია მიქელაძე, დიმიტრი რადიევსკი, ილია ოკონიანი

v_radzievski@yahoo.com, mikeladzemaia@yahoo.com, dradzievski@gmail.com

რეზიუმე

განიხილება სამედიცინო ცოდნის ბაზაში ახალი ცოდნის გამოყვანის ამოცანა და მისი გამოყენება სამედიცინო დიაგნოსტიკების და პროგნოზირების სფეროში. ცოდნის წარმოსადგენად გამოიყენება სემანტიკური ქსელის ერთ-ერთი სახე – მიზეზ-შედეგობრივი ქსელი. ახალი კანონზომიერებების გამოსავლენად გამოიყენება ცოდნის შევსების ოპერაცია. ეს ოპერაცია ხორციელდება ქსელში არსებულ დამოკიდებულებათა ალგებრული თვისებების საფუძველზე. ეს ახალი ცოდნა წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, რომლის მეშვეობით ხორციელდება დიაგნოსტიკების და პროგნოზირების ამოცანის ამოხსნა უფრო მაღალი ეფექტურობით.

საკვანძო სიტყვები:

ცოდნა, დიაგნოსტიკა, მიზეზ-შედეგობრივი ქსელი, დაავადება.


კვლევები რთული სისტემების ისეთ სფეროებში, როგორც არის რთული სისტემების დიაგნოსტიკა, პროგნოზირება, რთული სისტემების მართვა და ბევრი სხვა, დაკავშირებულია მონაცემთა დიდი რაოდენობის ანალიზთან. ასეთი ამოცანების ამოხსნა ხშირად მოითხოვს მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის (Data Mining) მეთოდების გამოყენებას [1]. ამ მეთოდების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ახალი ცოდნის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდები, როგორც წესი, გამოიყენება ობიექტებზე, სადაც მონაცემები არ არის ფორმალიზებული. ერთ-ერთ სფეროს, სადაც ჭარბობს არაფორმალიზებული მონაცემები, წარმოადგენს მედიცინა. მოცემული სამუშაო წარმოადგენს მცდელობას განვახორციელოთ არაცხადი ცოდნის გამოყვანა სამედიცინო ცოდნის ბაზაში და ამ დამატებითი ცოდნის მეშვეობით ამოვხსნათ სამედიცინო დიაგნოსტიკების და პროგნოზირების ამოცანები უფრო მაღალი ეფექტიანობით.

სამედიცინო დიაგნოსტიკა წარმოადგენს დიაგნოზის დასმის პროცესს, ე.ი დასკვნას პაციენტის დაავადების არსის შესახებ და იმის დადგენას, თუ რითია გამოწვეული დაავადება. პროგნოზირება იძლევა პასუხს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობამდე განვითარდება დაავადება ან რაღაც დარღვევა. როგორც დიაგნოზი, ასევე პროგნოზი ხორციელდება ავადმყოფის ანამნეზის, ლაბორატორიული და სხვა გამოკვლევების საფუძველზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს მონაცემები არის არამკაფიო, თვისებრივი და ძირითადად წარმოდგენილი ბუნებრივ ენაზე. ამასთან, დიაგნოზირების და პროგნოზირების პროცესი არ არის სრულად ფორმალიზებული.

სამუშაოში იხსნება კომპიუტერული დიაგნოსტიკების და პროგნოზირების ამოცანა თანამიმდევრული კლასიფიცირების საფუძველზე [2] ენდოკრინული სისტემის ზოგიერთი დაავადების მაგალითზე. ორივე ამოცანის გადასაწყვეტად, საჭიროა გამოსაკვლევი დაავადების შესახებ ცოდნის მოძიება.

მოცემულ სამუშაოში ცოდნის წარმოსადგენად გამოიყენება სემანტიკური ქსელი. სემანტიკური ქსელი, ზოგადად, წარმოადგენს გრაფს აღნიშნული წვეროებით და რკალებით. თითოეული წვერო წარმოადგენს ობიექტს, ხოლო რკალები ობიექტებს შორის დამოკიდებულებებს. ისევე როგორც გრაფი, სემანტიკური ქსელი შეიძლება იყოს წარმოდგენილი მიმართებების მატრიცის სახით. ნახ. 1 წარმოდგენილია ზოგადი სახის

სემანტიკური ქსელი და ნახ. 2 შესაბამისი მიმართებების მატრიცა. ცნობილია, რომ ნებისმიერი დაავადება გამოწვეულია სხვადასხვა დარღვევებით.



ნახ. 1

$$\begin{matrix} & A_1 & A_2 & A_3 & A_4 \\ A_1 & \begin{bmatrix} 0 & 1 & 1 & 1 \end{bmatrix} \\ A_2 & \begin{bmatrix} 0 & 0 & 1 & 1 \end{bmatrix} \\ A_3 & \begin{bmatrix} 0 & 0 & 0 & 1 \end{bmatrix} \\ A_4 & \begin{bmatrix} 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \end{matrix}$$

ნახ. 2

მოცემულ სამუშაოში ცოდნის – ამ დარღვევების და მათ შორის არსებული კავშირების – წარმოსადგენად გამოიყენება სემანტიკური ქსელის ერთ-ერთი სახე – მიზეზ-შედეგობრივი ქსელი. მიზეზ-შედეგობრივი ქსელის წვეროები ასახავენ ორგანიზმში შესაძლო დარღვევებს, ხოლო რკალები – დარღვევებს შორის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებს. საწყის სემანტიკურ ქსელში რკალები აერთიანებენ წვეროებს, რომელთა შორის მანძილი არის ერთბიჯიანი. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ცოდნა, რომელიც ასახულია ასეთი სემანტიკური ქსელით, ხშირად არ არის საკმარისი ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიზეზ-შედეგობრივ ქსელში ტარდება ცოდნის შევსების ოპერაცია, რომელიც ხორციელდება არსებულ დამოკიდებულებათა ალგებრული თვისებების ხარჯზე. თუ ცნობილია, რომ R არის დამოკიდებულება, მოცემული დარღვევათა სიმრავლეზე, და აგრეთვე ცნობილია, რომ R არის ტრანზიტული, მაშინ ფაქტიდან $(c_1 R c_2) \& (c_2 R c_3)$ გამომდინარეობს $(c_1 R c_3)$ - დამოკიდებულება ორი ნაბიჯის დაშორებით, რომელიც ქსელში ცხადად არ არის ასახული. ეს ფაქტი გამოყვანილია არსებული ფაქტების საფუძველზე და უნდა იყოს ასახული ქსელში [3]. ამისათვის ქსელში უნდა მოხდეს შესაბამისი წვეროების შეერთება. ეს ოპერაცია ფაქტობრივად ასახავს მიმართებათა ნამრავლს. თუ გრაფი წარმოდგენილია მიმართებების მატრიცის სახით, მაშინ მიმართებების ნამრავლი წარმოიდგინება მატრიცების ნამრავლის სახით [4]. ჩვენ შემთხვევაში ყველა დარღვევა ერთმანეთთან დაკავშირებულია იდენტური მიზეზ-შედეგობრივი მიმართებებით. ამიტომ n მატრიცის ნამრავლი მოგვცემს მატრიცის n -ურ ხარისხში აყვანას.

ჩატარებული ოპერაცია საშუალებას იძლევა ახალი კანონზომიერების და ახალი ცოდნის გამოვლენას ცოდნის ბაზაში, რაც ქმნის წინაპირობას დიაგნოსტიკებისა და პროგნოზირების ამოცანაში ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად. თუ გვანტერესებს პროგნოზი საწყისი მდგომარეობიდან ერთი ბიჯის შემდეგ, ვექტორი, რომელიც ასახავს საწყის მდგომარეობას, უნდა გავამრავლოთ საწყის D მატრიცაზე. თუ ვექტორს, რომელიც ასახავს საწყის მდგომარეობას აღვნიშნავთ $C^{(0)}$, მაშინ $C^{(1)} = C^{(0)}D$, $C^{(2)} = C^{(1)}D = C^{(0)}D^2, \dots, C^{(n)} = C^{(0)}D^n$, სადაც $C^{(0)}$ -ში, $C^{(1)}$ -ში, $C^{(2)}$ -ში და ა.შ. $C^{(n)}$ -ში ფრჩხილებში მითითებული რიცხვი წარმოადგენს ბიჯების რაოდენობას [4, 5]. ამიტომ, თუ გვანტერესებს პროგნოზი საწყისი მდგომარეობიდან ორი ბიჯის შემდეგ, საწყისი მდგომარეობის ვექტორი უნდა გავამრავლოთ საწყისი მატრიცის კვადრატზე და ა.შ.

ქსელის დამოკიდებულებებს ხშირად გააჩნია არამკაფიო ხასიათი. ასეთ ქსელში გვექნება ისეთი მიმართებები, როგორც არის “შესაძლო მიზეზი” და “შესაძლო შედეგი”. ამ მიმართებებს მიეწერება წონითი კოეფიციენტები $\mu_i \in [0, 1]$, რომლებიც წარმოადგენენ სარწმუნოების ხარისხს იმისა, რომ d_i დარღვევა არის S_i სიმპტომის შესაძლო მიზეზი, ან S_i სიმპტომი არის d_i დარღვევის შესაძლო შედეგი. იმისათვის, რომ მივიღოთ ქსელი, რომელშიც ერთდროულად იმყოფება როგორც ცხადი დამოკიდებულებები დარღვევათა შორის, ასევე ის დამოკიდებულებები, რომლებიც იყო გამოვლენილი ცოდნის შევსების პროცესში, ტარდება ტრანზიტული ჩაკეტვის ოპერაცია. ასე, თუ R არის რაღაც


დამოკიდებულება, მაშინ მისი ტრანზიტული ჩაკეტვა იქნება წარმოდგენილი შემდეგი ტოლობის სახით:

$$\hat{R} = R \cup R^2 \cup R^3 \cup \dots \cup R^n$$

თუ ტრანზიტული ჩაკეტვის ოპერაცია წარმოდგენილ უნდა იქნას გრაფის სახით, მაშინ ოპერაცია დაიყვანება რკალის მეშვეობით ყველა ორგოლიან, სამრგოლიან და ა.შ. წვეროების შეერთებაზე და მიღებული ქსელის გაერთიანებაზე საწყის ქსელთან. თუ სემანტიკური ქსელი წარმოდგენილია მიმართებების მატრიცის სახით, მაშინ R^2, R^3, \dots, R^n შესაბამემა საწყისი მატრიცის მე-2, მე-3 და ა.შ. ხარისხში აყვანას. ამასთან, ხარისხში აყვანის პროცესი მთავრდება, როდესაც სრულდება პირობა: $R^{n+1} = R^n$. ტრანზიტული ჩაკეტვის ოპერაციის ჩატარების შედეგად მიიღება სრული ინფორმაცია სისტემაში სხვადასხვა დარღვევებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ; გამოვლინდება ახალი კანონზომიერება, რომელიც ქსელში ცხადად არ იმყოფებოდა. მაშასადამე, ფარული ცოდნის გამოვლენისთვის შეიძლება გამოვიყენოთ მიზეზ-შედეგობრივ ქსელზე განხორციელებული ტრანზიტული ჩაკეტვის ოპერაცია.

განვიხილოთ, მაგალითად, ცოდნა, რომელიც ეხება ენდოკრინული სისტემის ერთ-ერთ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია პარათირეოიდული ჯირკვლის ცვლილებასთან. წარმოვადგინოთ ეს ცოდნა დაავადების მიზეზ-შედეგობრივი ქსელისა და შესაბამის მიმართებათა მატრიცის მეშვეობით. დაავადების ქსელის და მატრიცის ასაგებად ჩამოვწეროთ პარათირეოიდული ჯირკვლის დარღვევები – ქსელის წვეროები. დაავადების ქსელზე (ნახ. 3) და შესაბამის დაავადების მატრიცაზე (ნახ. 4) წარმოდგენილია სხვადასხვა დარღვევების შედეგები, რაც საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ დაავადების პროგნოზირება. ამისათვის ხელსაყრელია ავგოთ პროგნოზირების ცალკე ქსელი და მატრიცა.

- d1 პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება
- d2 პარათირეოიდული ჰორმონის გამოყოფის მომატება
- d3 არაორგანული ფოსფორის გამოყოფის მომატება
- d4 არაორგანული ფოსფორის შემადგენლობის სისხლში შემცირება
- d5 კალციუმის ფოსფატების ძვლის სხეულიდან გადასვლა სისხლში
- d6 ფოსფატების სწრაფი გამოყოფა ორგანიზმიდან
- d7 კალციუმის მარილების კონცენტრაციის მომატება სისხლსა და კუნთებში და მათი დაღეჟვა თირკმელებში



ნახ. 3

	d_1	d_2	d_3	d_4	d_5	d_6	d_7
d_1	0	1	0	0	0	0	0
d_2	0	0	1	0	0	0	0
d_3	0	0	0	1	0	0	0
d_4	0	0	0	0	1	0	0
d_5	0	0	0	0	0	1	0
d_6	0	0	0	0	0	0	1
d_7	0	0	0	0	0	0	0


ნახ. 4

დაავადების მიზეზების გამოვლენა ხდება შებრუნებული ქსელის და შესაბამისი მატრიცის მეშვეობით. მიზეზების გამოვლენისთვის უნდა გადავადგილოდეთ ქსელზე უკუმიმართულებით და ავგოთ შესაბამისი მატრიცა. მაგრამ უფრო ხელსაყრელია ისევე, როგორც პროგნოზირების შემთხვევაში, ავგოთ დიაგნოსტიკების ცალკე ქსელი და მატრიცა. დიაგნოსტიკების ქსელის და მატრიცის ასაგებად ჩამოვწეროთ პარათირეოიდული ჯირკვლის დარღვევები - ქსელის წვეროები.

- d1 კალციუმის მარილების კონცენტრაციის მომატება სისხლში და კუნთებში და მათი დაღეჟვა თირკმელებში

- d_2 ფოსფატების სწრაფი გამოყოფა ორგანიზმიდან
- d_3 კალციუმის ფოსფატების ძვლის სხეულიდან გადასვლა სისხლში
- d_4 არაორგანული ფოსფორის შემადგენლობის სისხლში დაკლება
- d_5 არაორგანული ფოსფორის გამოყოფის მომატება
- d_6 პარათირეოიდული ჰორმონის გამოყოფის მომატება
- d_7 წყვილფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება

პაციენტის დაავადების პროგნოზირება ხორციელდება იმ ვექტორის წრფივი გარდაქმნით, რომელიც ასახავს ავადმყოფის საწყის მდგომარეობას, დაავადების პროგნოზირების მატრიცის მეშვეობით (ნახ. 4). აგრეთვე დარღვევების მიზეზების გამოვლენა ხორციელდება იმ ვექტორის წრფივი გარდაქმნით, რომელიც ასახავს ავადმყოფის საწყის მდგომარეობას, დაავადების დიაგნოსტიკების მატრიცის მეშვეობით (ნახ. 6). ორივე შემთხვევაში ვექტორი, მიღებული წრფივი გარდაქმნის შედეგად, მიუთითებს ან მომავალ დარღვევაზე (ნახ. 4) ან მიზეზზე (ნახ. 6.)



ნახ. 5

$$\begin{matrix}
 & d_1 & d_2 & d_3 & d_4 & d_5 & d_6 & d_7 \\
 \begin{matrix} d_1 \\ d_2 \\ d_3 \\ d_4 \\ d_5 \\ d_6 \\ d_7 \end{matrix} & \begin{bmatrix} 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}
 \end{matrix}$$

ნახ. 6

იმისათვის, რომ მივიღოთ პროგნოზი ან მიზეზი ორი, სამი და ა.შ. ბიჯების დაშორებით, უნდა საწყისი ვექტორი გავამრავლოთ მიმართებათა მატრიცის კვადრატზე, კუბზე და ა.შ. ქვემოთ მოცემულია დაავადების დიაგნოსტიკების მატრიცა (ნახ. 7) და კვადრატში აყვანილი დაავადების დიაგნოსტიკების მატრიცა (ნახ. 8).

$$D^1 = \begin{matrix} & d_1 & d_2 & d_3 & d_4 & d_5 & d_6 & d_7 \\ \begin{matrix} d_1 \\ d_2 \\ d_3 \\ d_4 \\ d_5 \\ d_6 \\ d_7 \end{matrix} & \begin{bmatrix} 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}
 \end{matrix}$$

ნახ. 7

$$D^2 = \begin{matrix} & d_1 & d_2 & d_3 & d_4 & d_5 & d_6 & d_7 \\ \begin{matrix} d_1 \\ d_2 \\ d_3 \\ d_4 \\ d_5 \\ d_6 \\ d_7 \end{matrix} & \begin{bmatrix} 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}
 \end{matrix}$$

ნახ. 8

თუ გვაქვს არამკაფიო დამოკიდებულებები, რაც დამახასიათებელია სამედიცინო სისტემებისათვის, ყოველ მიმართებას მიეწერება წონითი კოეფიციენტები μ_i , $\mu_i \in [0, 1]$, რომლებიც წარმოადგენენ სარწმუნოების ხარისხს იმისა, რომ d_i არის S_i დარღვევის შესაძლო მიზეზი, ან S_i არის d_i დარღვევის შესაძლო შედეგი. ორივე შემთხვევაში წრფივი გარდაქმნით მიღებული ვექტორის მაქსიმალური ელემენტი მიუთითებს ან მომავალ დარღვევაზე, ან მიზეზზე [5]. არამკაფიო დამოკიდებულებების შემთხვევაში დაავადების მატრიცა მიიღებს შემდეგ სახეს (ნახ. 9). ტრანზიტული ჩაკეტვის ოპერაცია არამკაფიო მიმართებებისთვის ტარდება იმის შესაბამისად, როგორც მიღებულია არამკაფიო სიმრავლეების თეორიაში.

ახალი ცოდნის გამოვლენა სამედიცინო ცოდნის ბაზაში საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ არა მხოლოდ საწყისი ქსელი, არამედ ქსელი, რომელიც მიღებულია ცოდნის შევსების ხარჯზე.

$$D^* = \begin{matrix} & d_1 & \dots & d_m \\ \begin{matrix} d_1 \\ \vdots \\ d_n \end{matrix} & \begin{bmatrix} \mu_{11} & \dots & \mu_{1m} \\ \vdots & \ddots & \vdots \\ \mu_{n1} & \dots & \mu_{nm} \end{bmatrix} \end{matrix}$$

ნახ. 9

როგორც ცნობილია, მსჯელობის შებრუნებული ჯაჭვი არ იძლევა ზუსტ დასკვნას მოვლენების მიზეზების შესახებ, ამ დასკვნას აქვს ალბათური ხასიათი. ამიტომ როდესაც ასეთი მსჯელობა წარმოიდგინება სემანტიკური ქსელის სახით, უნდა მივუწეროთ ალბათობები მის კომპონენტებს. თითოეული ალბათობა წარმოადგენს S დარღვევის პირობით ალბათობას d_i დაავადებისას, ანუ $P(S/d_i)$. მაგრამ ჩვენ S დარღვევის საფუძველზე უნდა გამოვავლინოთ მიზეზი. ამიტომ ჩვენ გვინტერესებს $P(d_i/S)$ ალბათობა. ეს ალბათობა გამოითვლება ბაესის ფორმულის მეშვეობით. ამ ფორმულას აქვს სახე:

$$P(d_i/S) = \frac{P(d_i) \cdot P(S/d_i)}{\sum_1^n P(d_i) \cdot P(S/d_i)}$$

აქ $P(d_i)$ არის დაავადების ალბათობა, $P(S/d_i)$ არის პირობითი ალბათობა იმისა, რომ S დარღვევა გამოწვეულია d_i დაავადებით. $P(d_i/S)$ არის პირობითი ალბათობა d_i დაავადების იმ პირობით, რომ გვაქვს დარღვევა S .

აღვნიშნოთ დაავადება „პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება“ d_1 ასოთი, ხოლო მისი უარყოფა \bar{d}_1 ავღნიშნოთ d_2 ასოთი: $\bar{d}_1 = d_2$. ჩვენ შემთხვევაში $P(d_1)$ არის დაავადების „პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება“ ალბათობა, $P(S/d_1)$ - ალბათობა S დარღვევის იმ პირობით, რომ პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქცია გაძლიერებულია. ეს ალბათობები მოცემულია. $P(S/d_2)$ ალბათობაა S დარღვევის იმ პირობით, რომ პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქცია არ არის გაძლიერებული. $P(d_1/S)$ – წარმოადგენს ალბათობას იმისა, რომ პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქცია გაძლიერებულია S დარღვევის არსებობისას. ეს ალბათობა უნდა განვსაზღვროთ ბაესის ფორმულის მეშვეობით. ჩვენ გვაქვს ორი ჰიპოტეზა:

ჰიპოტეზა 1: ავადმყოფს აქვს დაავადება d_1 , ჰიპოტეზა 2: ავადმყოფს აქვს დაავადება d_2 .

ვთქვათ, ამ ჰიპოტეზების პირობითი ალბათობები არის $P(S/d_1) = 0,95$ და $P(S/d_2) = 0,7$. გამოვთვალოთ ალბათობა $P(d_1/S)$ და $P(d_2/S)$. დავუშვათ, ალბათობები $P(d_1) = 0,8$ $P(d_2) = 0,2$. მაშინ:

$$P(d_1/S) = \frac{P(d_1) \cdot P(S/d_1)}{0,8 \cdot 0,95 + 0,2 \cdot 0,7} = \frac{0,8 \cdot 0,95}{0,9} = \frac{0,76}{0,9} = 0,84 \quad P(d_2/S) = \frac{P(d_2) \cdot P(S/d_2)}{0,8 \cdot 0,95 + 0,2 \cdot 0,7} = \frac{0,2 \cdot 0,7}{0,9} = \frac{0,14}{0,9} = 0,15$$

ჩვენ შემთხვევაში S დარღვევა ნიშნავს პარათირეოიდული ჰორმონის გამოყოფის მომატებას. აქედან კეთდება დასკვნა, რომ პაციენტს გააჩნია დაავადება d_1 – „პარათირეოიდული ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება“.

Identification of New Patterns in the Medical Knowledge Base and their Use in the Tasks of Diagnostics and Forecasting

Vadim Radzievski, Maia Mikeladze, Dimitri Radzievski, Ilia Okoniani

Summary

The task of identifying new knowledge in the medical knowledge base and its use in the field of medical diagnostics and forecasting is considered. For the representation of knowledge, one type of

semantic network is used – the cause-effect network. To identify new patterns, the knowledge replenishment operation is used. This operation is carried out at the expense of the algebraic properties of the relations present in the network. This new knowledge provides additional information that helps to perform the task of diagnostics and forecasting with higher efficiency.

Выявление новых закономерностей в медицинской базе знаний и их использование в задачах диагностики и прогнозирования

Вадим Радзиевский, Майя Микеладзе, Дмитрий Радзиевский, Илья Оконян

Резюме

Рассматривается задача выявления новых знаний в медицинской базе знаний и их использование в сфере медицинской диагностики и прогнозирования. Для представления знаний используется один из видов семантической сети - причинно-следственная сеть. Для выявления новых закономерностей используется операция пополнения знаний. Эта операция осуществляется за счёт алгебраических свойств отношений, присутствующих в сети. Эти новые знания представляют дополнительную информацию, с помощью которой задача диагностики и прогнозирования осуществляется с более высокой эффективностью.

ლიტერატურა – References – Литература

1. Микеладзе М., Радзиевский В, Бесиашвили Г., Джалябова Н., Карчава П., Радзиевский Д. Задачи, методы и системы интеллектуального анализа данных в медицине. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №20, თბილისი., 2016. გვ 45 – 52.
2. რადიევსკი ვ. პარალელური და თანამიმდევრული კლასიფიცირება სახეთა გამოცნობის და დიაგნოსტიკის ამოცანებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №19, თბილისი., 2015. გვ 141 – 145.
3. Поспелов Д.А. Логико-лингвистические модели в системах управления. Москва, Энергоиздат. 1981.
4. Кемени Дж., Снелл Дж., Томпсон Дж. Введение в конечную математику. Издательство иностранной литературы, Москва, 1963.
5. Э.Хант Искусственный интеллект, Мир, Москва, 1978.

სამედიცინო დიაგნოსტიკის არაფორმალიზებული ამოცანები და მათი ამოხსნის მეთოდები

*ვადიმ რადიევსკი, მაია მიქელაძე, დიმიტრი რადიევსკი, ილია ოკონიანი
v_radzievski@yahoo.com, mikeladzemaia@yahoo.com, dradzievski@gmail.com*

რეზიუმე

განიხილება სამედიცინო დიაგნოსტიკის არაფორმალიზებული ამოცანები. ნაჩვენებია, რომ თუ ობიექტი აღწერილია რაოდენობრივი ნიშნების მეშვეობით, მაშინ ამოცანის ამოსახსნელად შეიძლება გამოყენებული იყოს მეთოდები, რომლებიც ეფუძნება მანძილის ცნებას. ობიექტები მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასს, თუ წერტილები, რომლებიც ამ ობიექტებს წარმოადგენენ ევკლიდეს სივრცეში, ერთმანეთთან ახლოს არიან. სამედიცინო დიაგნოსტიკის სფეროში მონაცემთა ნაკრები ხშირად წარმოდგინება თვისობრივად ბუნებრივ ენაზე. ასეთი ამოცანების ამოსახსნელად სტატიაში შეთავაზებულია ვექტორების შედარების მეთოდი, რომელშიც გამოიყენება ე.წ მიკუთვნების ფუნქცია. ეს ფუნქცია განსაზღვრავს ვექტორების სიახლოვეს ნიშნების სივრცეში.

საკვანძო სიტყვები:

არაფორმალიზებული ამოცანები, მანძილი, გამოცნობა, დიაგნოსტიკა, დაავადება.

ხელოვნური ინტელექტის ისეთი ამოცანები, როგორც არის სახეთა გამოცნობა, დიაგნოსტიკა, პროგნოზირება, რთული სისტემების მართვა და ბევრი სხვა, მჭიდროდაა დაკავშირებული ობიექტის აღწერილი ნიშნების გამოყენებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის თვისებები და მისი წარმოდგენის ხერხები, კარნახობს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას დასმული ამოცანების გადაწყვეტისას. თუ ობიექტი აღწერილია რაოდენობრივი ნიშნების მეშვეობით, მაშინ მისი წარმოდგენა შესაძლებელია როგორც X წერტილი n-განზომილებიან ევკლიდეს სივრცეში. ამ მიდგომის თანახმად, ამოცანის ამოსახსნელად შეიძლება იყოს გამოყენებული მეთოდები, რომლებიც ეფუძნება მანძილის ცნებას. ობიექტები მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასს, თუ წერტილები, რომლებიც ამ ობიექტებს წარმოადგენენ ევკლიდეს სივრცეში, ახლოს არიან ერთმანეთთან [1]. ასეთი ამოცანის ამოსახსნელად გამოიყენება ზუსტი მათემატიკური მეთოდები. თუ მონაცემთა ნაკრები არის თვისობრივი ხასიათის და არ არსებობს მანძილის გონივრული ინტერპრეტაცია, მაშინ ობიექტის წარმოდგენა, როგორც წერტილი ევკლიდეს სივრცეში, შეუძლებელია. ხელოვნური ინტელექტის სფეროში არსებობს მრავალი ამოცანა, სადაც მონაცემები წარმოდგინება არარიცხობრივ ფორმაში და მათი აღწერა ხორციელდება ბუნებრივ ენაზე. ასეთი ამოცანები მიეკუთვნება არაფორმალიზებული ამოცანების კლასს [2]. ერთ-ერთ სფეროს, სადაც ჭარბობს თვისობრივი მონაცემები, წარმოადგენს მედიცინა. მოცემულ სამუშაოში განიხილება სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანის გადაწყვეტის მეთოდი თვისობრივი ნიშნების შემთხვევისთვის.

სამედიცინო დიაგნოსტიკა წარმოადგენს სახეთა გამოცნობის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია დაავადების ამოცნობასთან. ამოცნობა ხორციელდება მონაცემების საფუძველზე, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა წარმოდგენას და ობიექტების აღწერის ხერხს. როგორც აღნიშნული იყო, სამედიცინო დიაგნოსტიკის სფეროში მონაცემები ხშირად არის წარმოდგენილი თვისობრივად და ამ შემთხვევაში ობიექტის წარმოდგენა, როგორც წერტილი ევკლიდეს სივრცეში, შეუძლებელია. ეს იქნება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტის აღწერის

მონაცემები წარმოადგენენ ისეთ ნიშნებს, როგორცაა: გულისრევა, ღებინება, ტკივილი გულის არეში და სხვა.

სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანის გადასაწყვეტად მოცემულ სამუშაოში, იმ შემთხვევისთვის, როცა ობიექტის მდგომარეობა წარმოდგენილია თვისობრივი ნიშნების სახით, შეთავაზებულია სიახლოვის ზომა. ამ შემთხვევაში პაციენტის მონაცემების ერთობლიობა, რომელიც წარმოდგენილია ვექტორის სახით, შედარებული უნდა იყოს დაავადების ამსახველ მონაცემებთან, რომლებიც წარმოდგენილია ვექტორ-ეტალონის სახით. ვექტორების შედარება ხორციელდება ე.წ მიკუთვნების ფუნქციის გამოყენებით [3, 4]. ცხადია, რომ რაც უფრო მეტია დამთხვევა შემავალ ობიექტსა და კლასის აღმწერ ვექტორს შორის, მით უფრო მეტია ობიექტის მიკუთვნების ხარისხი ამ კლასისადმი.

ვთქვათ, A ვექტორი აღწერს ავადმყოფის მდგომარეობას, ხოლო B ვექტორი არის ვექტორ-ეტალონი, რომელიც აღწერს კლასს და წარმოადგენს ცოდნას დაავადების შესახებ. მიკუთვნების ფუნქცია μ განისაზღვრება როგორც შეფარდება, სადაც მრიცხველში იქნება A და B სიმრავლეების გადაკვეთაში შემავალი ელემენტების რაოდენობა, ხოლო მნიშვნელში ეტალონური ვექტორის ნიშნების რაოდენობა.

$$\mu = \frac{n(A \cap B)}{n(B)} \quad \mu \in [0-1] \quad (1)$$

ასეთი სიახლოვის ზომა აღმოჩნდა ხელსაყრელი დიაგნოსტიკის რიგი ამოცანის გადასაწყვეტად. ასეთი სიახლოვის ზომა შეიძლება იყოს გამოყენებული სამედიცინო დიაგნოსტიკის სისტემის ასაგებად. განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ მატრიცა (ნახ. 1) აღწერს სიმპტომებს და დაავადებებს. ავადმყოფის სიმპტომები აღიწერება ვექტორით 011001. გადაკვეთა B_1 - დაავადებასთან არის 3 და სიმპტომების რაოდენობა 6 ე.ი. $\mu = \frac{3}{6} = 0,5$; გადაკვეთა B_2 - დაავადებასთან არის 2 და $\mu = \frac{2}{6} = 0,3$; B_3 - დაავადებასთან გადაკვეთა არის 2 $\mu = \frac{2}{6} = 0,3$; B_4 - დაავადებასთან არის 3 $\mu = \frac{3}{6} = 0,5$; B_5 - დაავადებასთან არის 4 $\mu = \frac{4}{6} = 0,7$. მაშასადამე B_5 არის ყველაზე სარწმუნო დიაგნოზი, ვინაიდან შესაბამისი მიკუთვნების ხარისხი არის მაქსიმალური.

	S_1	S_2	S_3	S_4	S_5	S_6
B_1	0	1	0	1	1	1
B_2	1	0	1	0	1	0
B_3	1	1	0	1	0	0
B_4	0	0	1	0	1	0
B_5	1	1	1	0	1	1

ნახ. 1

	S_1	S_2	S_3	S_4	S_5	S_6
B_1	0,3	0,5	0,4	0,7	0,2	0,8
B_2	0,4	0,3	0,5	0,6	0,7	0,4
B_3	0,2	0,4	0,7	0,8	0,3	0,5
B_4	0,3	0,2	0,5	0,4	0,2	0,8
B_5	0,2	0,3	0,6	0,5	0,4	0,7

ნახ. 2

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნიშნები არ არის ეკვივალენტური, უნდა შემოვიღოთ წონითი კოეფიციენტები (ნახ. 2) ყოველი ნიშნისათვის და ავიღოთ შეფარდება, სადაც მრიცხველში იქნება A და B სიმრავლეების გადაკვეთაში შემავალი ნიშნების წონითი კოეფიციენტების ჯამი, ხოლო – მნიშვნელში ეტალონური ვექტორის ნიშნების წონითი კოეფიციენტების ჯამი. ამ შემთხვევაში B_1 დაავადებასთან $\mu = 0,5$, B_2 დაავადებასთან $\mu = 0,4$, B_3 - დაავადებასთან $\mu = 0,2$, B_4 დაავადებასთან $\mu = 0,5$, B_5 დაავადებასთან $\mu = 0,8$. მაშასადამე B_5 არის ყველაზე სარწმუნო დიაგნოზი.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი დაკავშირებული დიაბეტის დაავადებასთან. არსებობს ორი სახის დიაბეტი – დიაბეტი I და დიაბეტი II. ამ დაავადებათა გარჩევა ძნელია იმის გამო, რომ ამ დაავადებებში ბევრი სიმპტომი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამოვწეროთ დიაბეტი I-ის და დიაბეტი II-ის სიმპტომები: აღინიშნება უმეტესად

ახალგაზრდებში - A_1 , აღინიშნება სწრაფი დასაწყისი - A_2 , აღინიშნება მიდრეკილება კეტოზისაკენ - A_3 , აღინიშნება ინსულინის დეფიციტი A_4 , აღინიშნება წონაში დაკლება - A_5 , აღინიშნება დაღლილობა - A_6 , აღინიშნება ხშირი შარდვა - A_7 , აღინიშნება ყურადღების კონცენტრაციის დაკლება - A_8 , აღინიშნება ჭარბი წონა - A_9 , აღინიშნება ტკივილი ფეხებში A_{10} , აღინიშნება მაღალი წნევა - A_{11} , აღინიშნება ტკივილი ფეხებში - A_{12} , აღინიშნება შიმშილობის გრძობა - A_{13} , აღინიშნება ჭრილობის ნელი შეხორცება - A_{14} , აღინიშნება წყურვილი - A_{15} . სიმპტომები და ვექტორ-ეტალონი წარმოვადგინოთ ე.წ. დაავადების მატრიცის სახით (ნახ. 3). ავადმყოფის მონაცემები წარმოიდგინება ბინარული ვექტორით: 1 1 1 0 1 0 1 0 0 0 1 0 0 1. ფორმულა 1-ის გამოყენებამ მოგვცა რომ დიაბეტი I-ისთვის (პირველი სტრიქონი ნახ. 3) მიღებული μ არის 0,7, ხოლო დიაბეტი II-ისთვის (მეორე სტრიქონი ნახ. 3) მიღებული μ არის 0,4.

	S_1	S_2	S_3	S_4	S_5	S_6	S_7	S_8	S_9	S_{10}	S_{11}	S_{12}	S_{13}	S_{14}	S_{15}
B_I	1	1	1	1	1	1	1	1	0	0	0	0	0	0	0
B_{II}	0	0	0	0	0	0	1	0	1	1	1	1	1	1	1

ნახ. 3

B_I – დიაბეტი I $\mu=0,7$ B_{II} – დიაბეტი II – $\mu = 0,4$

ამის საფუძველზე დაისვა დიაგნოზი დიაბეტი I, რაც შეესაბამება ექიმის მიერ წინასწარ დასმულ დიაგნოზს. რაც შეეხება წონებს, ისინი შეიძლება მიღებული იყოს ექიმისგან ან სასწავლო ამონაკრეფის საფუძველზე დასწავლის ალგორითმის გამოყენებით. განვიხილოთ იგივე დაავადებების დიაგნოსტიკა იმ შემთხვევისთვის, როდესაც დაავადების მატრიცის ელემენტებს მინიჭებული აქვთ წონითი კოეფიციენტები (ნახ. 4).

	S_1	S_2	S_3	S_4	S_5	S_6	S_7	S_8	S_9	S_{10}	S_{11}	S_{12}	S_{13}	S_{14}	S_{15}
B_I	0,7	0,8	0,6	0,9	0,5	0,7	0,8	0,6	0,2	0,3	0,1	0,3	0,2	0,3	0,9
B_{II}	0,1	0,2	0,3	0,2	0,3	0,2	0,8	0,3	0,7	0,8	0,9	0,7	0,8	0,9	0,8

ნახ. 4

B_I – დიაბეტი I $\mu= 0,6$ B_{II} – დიაბეტი II – $\mu= 0,4$

ფორმულა 1-ის გამოყენებამ მოგვცა რომ დიაბეტი I-ისთვის (პირველი სტრიქონი ნახ. 4) მიღებული μ არის 0,6, ხოლო დიაბეტი II-ისთვის (მეორე სტრიქონი ნახ. 4) მიღებული μ არის 0,4. ამის საფუძველზე დაისვა დიაგნოზი დიაბეტი I, რაც შეესაბამება ექიმის მიერ წინასწარ დასმულ დიაგნოზს. რაც შეეხება წონით კოეფიციენტებს, ჩვენს შემთხვევაში წონითი კოეფიციენტები მიღებული იყო ექიმისგან.

Unformalized Problems of Medical Diagnosis and Methods for Solving them

Vadim Radzievski, Maia Mikeladze, Dimitri Radzievski, Iliia Okoniani

Summary

Unformalized tasks of medical diagnostics are considered. It is shown that if an object is described using quantitative features, then methods that rely on the concept of distance can be used to solve the problem. Objects belong to the same class if the points that represent these objects in Euclidean space are close to each other. In the field of medical diagnostics, the data set is often presented qualitatively in

natural language. To solve such problems, a method for comparing vectors is proposed in the work, which is carried out using the so-called membership function. This function determines the proximity of vectors in the feature space.

Неформализованные задачи медицинской диагностики и методы их решения

Вадим Радзиевский, Майя Микеладзе, Дмитрий Радзиевский, Илья Оконян

Резюме

Рассматриваются неформализованные задачи медицинской диагностики. Показано, что если объект описан с помощью количественных признаков, тогда для решения задачи могут быть использованы методы, которые опираются на понятие расстояние. Объекты относятся к одному классу, если точки, которые представляют эти объекты в евклидовом пространстве, близко расположены друг к другу. В области медицинской диагностики набор данных часто представляется качественно на естественном языке. Для решения таких задач в работе предлагается метод сравнения векторов, в котором используется т. наз. функция принадлежности. Эта функция определяет близость векторов в пространстве признаков.

ლიტერატურა – References – Литература

1. Нильсон Н. Обучающиеся машины. «МИР». Москва. 1967.
2. Микеладзе М., Радзиевский В., Джалябова Н., Радзиевский Д. Методы искусственного интеллекта для решения неформализованных задач диагностики сложных систем на примере медицины. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები”, საქართველო, თბილისი 19 – 21 სექტემბერი, 2012 წელი, გვ. 403 – 406.
3. Радзиевский В.С. Использование концептуального подхода при описании размытых множеств – материалы VIII Всесоюзного симпозиума по кибернетике. Тбилиси. 1976. стр. 137 – 140.
4. Радзиевский В.С. Использование оценочных функций и знаний в задаче автоматизации поиска решений при управлении сложными системами. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2000 წ. გვ. 184 – 188.

ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდი პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზების იდენტიფიცირებისათვის

მანანა ხაჩიძე, მაგდა ცინცაძე, მაია არჩუაძე, გელა ბესიაშვილი

manana.khachidze@tsu.ge, magda.tsintsadze@tsu.ge, maia.archuazde@tsu.ge, gela.besiashvili@tsu.ge

რეზიუმე

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შეცდომების და უზუსტობების აღმოჩენა, არამედ მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა. პროგრამული უზრუნველყოფის მრავალფეროვნება მათი ფუნქციონალურობის, შემუშავების ინსტრუმენტების, მასში გამოყენებული ალგორითმების და პროგრამირების ენის, საბოლოო მომხმარებლის და სხვ. გათვალისწინებით, ტესტირების პროცესს წარმოაჩენს როგორც მრავალპარამეტრიან რთულ ამოცანას, რომლის გადასაწყვეტადაც ცალსახა მიდგომის მოძიება რთულია. ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს რთული ობიექტის აღწერა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას, მრავალი პარამეტრებით მათი მნიშვნელობების შესაბამისად. ასევე, აღიწეროს ამ რთული ობიექტების სხვადასხვა მდგომარეობა (შეცდომების და უზუსტობების ტიპის მიხედვით). ერთი და იგივე მდგომარეობის ობიექტების აღსაწერად შემუშავდება განზოგადოებული „კონცეპტი“ (კონკრეტული ტიპის შეცდომების და უზუსტობების მქონე პროგრამული უზრუნველყოფის განზოგადოებული აღწერა). შემდგომში ეს კონცეპტები შექმნიან „არასწორი პროგრამული უზრუნველყოფის თარგების“ ბიბლიოთეკას.

საკვანძო სიტყვები:

შეცდომების აღმოჩენა, ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდი, კონცეპტები.

შესავალი

პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს ურთულეს „ცოცხალ“ სისტემას, რომლის სიცოცხლისუნარიანობა, სწორი ქმედითუნარიანობა, საიმედოობა, დამოკიდებულია მრავალ პარამეტრზე – დაწყებული მის შექმნამდე დასმული ამოცანის კორექტულობიდან, დამთავრებული აპარატურული მოწყობილობის ტექნიკური და ლოგიკური ხარვეზებით. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება შევადაროთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის ტესტირებას, რომლის სრული სურათის წარმოსადგენად საჭიროა ერთმანეთისგან ტიპობრივად განსხვავებული (გაზომვადი, აღწერადი, ვიზუალური და სხვ.) მაჩვენებლების (პარამეტრების) მნიშვნელობების გასაზღვრა ურთიერთდამოკიდებულებების შეფასებით. ცნობილია, რომ პროგრამული უზრუნველყოფა ძირითადად სამ ტიპად იყოფა საერთო ფუნქციის, ტიპისა და გამოყენების სფეროდან გამომდინარე (გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა, სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერული პროგრამირების ინსტრუმენტები). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თითოეული ტიპი კიდევ რამოდენიმე ქვეტიპს მოიცავს, ასევე ერთი პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება თავის

თავში მოიცავდეს სხვადასხვა ქვეტიპის პროგრამულ კომპონენტს. პროგრამული უზრუნველყოფის ტიპების რაოდენობა შესაძლოა უსასრულოდაც ჩავთვალოთ. ჩვენ შევჩერდებით გამოყენებით პროგრამებზე.

პროგრამული უზრუნველყოფა შეიძლება იყოს საერთო დანიშნულების (მონაცემთა ბაზის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, ტექსტის დამამუშავებელი პროგრამული უზრუნველყოფა, ვებ ბრაუზერები და ა.შ.) ან ჰქონდეს სპეციალური დანიშნულება (სხვადასხვა საქონლის აღრიცხვა, workflow და ა.შ.). ყველა ტიპის პროგრამული უზრუნველყოფა უნდა აკმაყოფილებდეს ხარისხის მოთხოვნებს.

ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ მოდელი, რომელიც მოახდენს პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის ამსახველი ატრიბუტების განმსაზღვრელი პარამეტრების ურთიერთშეთანადებას.

პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის ატრიბუტების კლასიფიცირება

პროგრამული უზრუნველყოფის შეფასებისას, უმთავრესად განასხვავებენ ხარისხის ატრიბუტების ხუთ ძირითადად კლასს: ფუნქციონალური ატრიბუტები, ოპერაციული ატრიბუტები, გამოყენებადი ატრიბუტები, ბიზნეს ატრიბუტები, სტრუქტურული ატრიბუტები. აღვნიშნოთ თითოეული ატრიბუტი $A_i, i = 1, \dots, 4$ (ჩვენს აღწერაში ბიზნეს ატრიბუტები, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამული პროდუქტის შემუშავების, გამოყენების და განვითარების მახასიათებლებს, მონაწილეობას არ ღებულობენ). თავის მხრივ, ზოგიერთი ეს ატრიბუტი მოიცავს ქვეატრიბუტებს. აღვნიშნოთ ეს ქვეატრიბუტები $a_{i,j}, i = 1, \dots, 4; j = 1, \dots, n_i$ (n_i არის i -ური ატრიბუტის ქვეატრიბუტების რაოდენობა).

ჩვენ შემოთავაზებულ აღნიშვნებში წარმოვადგინოთ პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის განმსაზღვრელი ატრიბუტების სრული ჩამონათვალი:

ფუნქციონალური ატრიბუტები (A_1), რომლებიც პროგრამული პროდუქტის შეტანა/გამოტანის მახასიათებელია, ორი ტიპის ატრიბუტს მოიცავს – ბულის და სტატიკურს. ამათგან პირველი პროგრამულ პროდუქტს გააჩნია ან არ გააჩნია, ხოლო მეორე, მეტ-ნაკლებად ყველას აქვს. თავის მხრივ, ბულის ატრიბუტი არის: კორექტული ($a_{1,1}$) და მდგრადი ($a_{1,2}$). რაც შეეხება სტატიკურს, იგი გამოისახება ატრიბუტებში: დამოკიდებულება და დაცვა, რომელთაგან პირველი მოიცავს ორ ატრიბუტს საიმედოობა ($a_{1,3}$) და უსაფრთხოება ($a_{1,4}$), ხოლო დაცვა ოთხ ატრიბუტს – კონფიდენციალურობა ($a_{1,5}$), მთლიანობა ($a_{1,6}$), აუთენტიფიკაცია ($a_{1,7}$), ხელმისაწვდომობა ($a_{1,8}$).

ოპერაციული ატრიბუტი (A_2), რომელიც წარმოადგენს პროგრამული პროდუქტის მუშაობის პირობების მახასიათებელს, აისახება ოთხი ატრიბუტით: ლატენცია ($a_{2,1}$), გამტარუნარიანობა ($a_{2,2}$), ეფექტურობა ($a_{2,3}$), წარმადობა ($a_{2,4}$).

გამოყენებითი ატრიბუტები (A_3) აღწერს პროგრამული პროდუქტის გამოყენებადობის ხარისხს და მისი ადაპტირების უნარს მომხმარებლის მოთხოვნების მიმართ. ამ ტიპის ატრიბუტებს წარმოადგენენ შემდეგი ქვეატრიბუტები, რომლებიც აღწერენ გამოყენების სივრცეს ($a_{3,1}$), სწავლების სივრცეს ($a_{3,2}$), გამართულობას ($a_{3,3}$), კალიბრირებას ($a_{3,4}$), ფუნქციონალურ თავსებადობას ($a_{3,5}$).

სტრუქტურული ატრიბუტები (A_4), რომელიც ახასიათებს პროგრამული უზრუნველყოფის შიდა სტრუქტურას, ოთხ ქვეატრიბუტში გამოისახება: დაპროექტების სისრულე ($a_{4,1}$); მოდულარულობა, რომელიც თავის მხრივ ორ ქვეატრიბუტს მოიცავს

გაერთიანებადობა ($a_{4,2}$), შეწყვილება ($a_{4,3}$); შემოწმებადობა – მასაც გააჩნია ორი ქვეატრიბუტი მართვადობა ($a_{4,4}$) და დაკვირვებადობა ($a_{4,5}$); ადაპტირებულობა ($a_{4,6}$).

მიღებული $\{a_{i,j}\}, i = 1, \dots, 4; j = 1, \dots, n_i$ ატრიბუტების სიმრავლის საშუალებით შეგვიძლია აღვწეროთ ნებისმიერი სხვადასხვა S_k პროგრამული უზრუნველყოფა (ხარისხის თვალსაზრისით):

$$S_k \rightarrow \check{a}_{1,1} \& \check{a}_{2,1} \& \dots \& \check{a}_{4,6}$$

სადაც:

$$\check{a}_{i,j} = \begin{cases} a_{i,j}, & \text{if } a_{i,j} \text{ არის } S_k \text{ პროგრამული უზრუნველყოფის ატრიბუტები;} \\ \bar{a}_{i,j}, & \text{if } a_{i,j} \text{ არ არის } S_k \text{ პროგრამული უზრუნველყოფის ატრიბუტები;} \end{cases}$$

განსხვავებული S_k პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის შესაბამისობის ასეთი სახით წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს ანალიტიკური ევრისტიკების ენაზე ჩამოვყალიბოთ განზოგადებული ცნება თუ რას ნიშნავს წარმოდგენილი ხუთი შეფასების შესაბამისი ხარისხის მქონე პროგრამული უზრუნველყოფა. ასეთი იმპლიკანტების ერთობლიობა საფუძვლად დაედება პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზების იდენტიფიცირების მეთოდს.

პროგრამული უზრუნველყოფის გათიშვა, შეცდომა და ჩავარდნა

პროგრამული უზრუნველყოფის გათიშვის, შეცდომების და ჩავარდნის სიმრავლე ისევე უსასრულო შეიძლება იყოს, როგორც თვით პროგრამული უზრუნველყოფა, მაგრამ მაინც არსებობს მათი კლასიფიცირება. ჩვენი მეთოდის აღსაწერად შევჩერდით პროგრამული უზრუნველყოფის გათიშვის, შეცდომის და ჩავარდნის ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ყველაზე ფართოდაა გავრცელებული – შესრულების შეცდომები, ურთიერთქმედების შეცდომები, მართვის შეცდომები, სინტაქსური შეცდომები, შეცდომებთან გამკლავების შეცდომები, გამოთვლის შეცდომები და მართვის შეცდომები. ასევე მოვახდენთ ყველაზე ხშირად გამომწვევი მიზეზების ფორმალიზებას.

აღვნიშნოთ თითოეული ხარვეზი $F_m, m = 1, \dots, 7$. თითოეული ტიპის ხარვეზი შეიძლება აღწერდეს მასში შემავალ რამდენიმე „პრობლემას“. აღვნიშნოთ ეს „პრობლემები“ $f_{m,n}, m = 1, \dots, 7; n = 1, \dots, l_n$ (l_n არის m -ური ხარვეზში შემავალი „პრობლემების“ რაოდენობა).

ასე მაგალითად: **Performance Errors** (F_1) შეიძლება მოიცავდეს პრობლემებს **Long Load time** ($f_{1,1}$), **Poor response time** ($f_{1,2}$), **Poor scalability** ($f_{1,3}$), **Bottlenecking** ($f_{1,4}$); **Interaction Errors** (F_2) მოიცავს **Functionality** ($f_{2,1}$), **Communication** ($f_{2,2}$), **Command Structure and Entry** ($f_{2,3}$), **Missing Commands** ($f_{2,4}$), **Program Rigidity** ($f_{2,5}$), **Performance** ($f_{2,6}$), **Output** ($f_{2,7}$) დაკავშირებულ პრობლემებს და ა.შ.

ამ აღნიშვნების გამოყენებით ყოველი კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძველზე მიღებული შედეგები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

აღვნიშნოთ S_k პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების ოპერაცია $Test(S_k)$, ხოლო ტესტირების შედეგად გამოვლენილი პრობლემების ერთობლიობა იმპლიკანტი $\check{f}_{1,1} \& \check{f}_{2,1} \& \dots \& \check{f}_{7,17}$

სადაც:

$$\check{f}_{i,j} = \begin{cases} f_{i,j}, & \text{if } f_{i,j} \text{ არის } S_k \text{ ტესტირების შედეგების პრობლემა;} \\ \bar{f}_{i,j}, & \text{if } f_{i,j} \text{ არ არის } S_k \text{ ტესტირების შედეგების პრობლემა.} \end{cases}$$

ტესტირების შედეგების ასეთი აღწერების შეგროვებით ჩვენ გვექნება მონაცემთა ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედება ცოდნის ბაზას.

ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდი

დავუშვათ გვაქვს პროგრამული უზრუნველყოფების რაღაც $\{ S_k \}, k = 1, \dots, K$, სიმრავლე. ყოველი პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების შედეგი წარმოვადგინოთ წინა პარაგრაფში მოცემული აღნიშვნების იმპლიკანტების სახით.

$$Test(S_1) \rightarrow f_{1,1}^1 \& f_{1,2}^1 \& \dots \& f_{7,l_7}^1,$$

$$Test(S_2) \rightarrow f_{1,1}^2 \& f_{1,2}^2 \& \dots \& f_{7,l_7}^2,$$

...

$$Test(S_K) \rightarrow f_{1,1}^K \& f_{1,2}^K \& \dots \& f_{7,l_7}^K$$

ასევე მოვახდინოთ პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის შეფასება software quality attributes-ის გამოყენებით და წარმოვადგინოთ ისინი ხარისხის ამსახველი იმპლიკანტების სახით (შესაბამისი ხარისხის აღნიშვნელი ატრიბუტი აღწერაში წარმოდგება „დადებითი სხით“, ხოლო თუ პროგრამული უზრუნველყოფა ვერ აკმაყოფილებს რომელიმე ხარისხის ატრიბუტს, იმპლიკანტში იქნება მისი „უარყოფა“):

$$S_1 \rightarrow \checkmark_{1,1}^1 \& \checkmark_{1,2}^1 \& \dots \& \checkmark_{4,6}^1,$$

$$S_2 \rightarrow \checkmark_{1,1}^2 \& \checkmark_{1,2}^2 \& \dots \& \checkmark_{4,6}^2,$$

...

$$S_K \rightarrow \checkmark_{1,1}^K \& \checkmark_{1,2}^K \& \dots \& \checkmark_{4,6}^K$$

მოვახდინოთ ხარისხის იმპლიკანტების დაჯგუფება ერთგვაროვნების მიხედვით (ერთი და იგივე შეფასების მქონე პროგრამული უზრუნველყოფების შეთანადებით) და წარმოვადგინოთ ნორმალური დიზიუნქციური ფორმით. სიცხადისათვის: თუ დავუშვებთ, რომ S'_1, S'_2, \dots, S'_z პროგრამულ უზრუნველყოფებს გააჩნიათ ერთნაირი Q^x შეფასებები. მათი საერთო აღწერა იქნება:

$$\checkmark_{1,1}^{z'} \& \checkmark_{1,2}^{z'} \& \dots \& \checkmark_{4,6}^{z'} \vee \checkmark_{1,1}^{z'} \& \checkmark_{1,2}^{z'} \& \dots \& \checkmark_{4,6}^{z'} \vee \checkmark_{1,1}^{z'} \& \checkmark_{1,2}^{z'} \& \dots \& \checkmark_{4,6}^{z'}$$

ამ ნორმალური დიზიუნქციური ფორმის მინიმუზაციის შედეგად მივიღებთ Q^x შეფასების აღმწერ „კონცეპტს“ გამოსახულს ხარისხის ატრიბუტებით. ასეთი სხვადასხვა შეფასების შესაბამისი კონცეპტების სიმრავლე იქნება ჩვენი „ცოდნის ბაზის“ ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი.

დავაჯგუფოთ $Test(S_1), \dots, Test(S_k)$ ტესტირების შესაბამისი ხარვეზების შესაბამისი იმპლიკანტები ხარისხის შეფასებების შედეგების მიხედვით. ასე მაგალითად, დიზიუნქციურ ნორმალურ ფორმაში გაერთიანდებიან პროგრამულ უზრუნველყოფათა ტესტირების შესაბამისი შეცდომების აღმწერი ის იმპლიკანტები, რომელთა ხარისხის შეფასება შესაბამებია Q^x -ს:

$$\checkmark_{1,1}^{z'} \& \checkmark_{1,2}^{z'} \& \dots \& \checkmark_{7,l}^{z'} \vee \checkmark_{1,1}^{z'} \& \checkmark_{1,2}^{z'} \& \dots \& \checkmark_{7,l}^{z'} \vee \checkmark_{1,1}^{z'} \& \checkmark_{1,2}^{z'} \& \dots \& \checkmark_{7,l}^{z'}$$

ამ ნორმალური დიზიუნქციური ფორმის მინიმუზაციის შედეგად მივიღებთ „კონცეპტებს“, რომლებიც აღწერენ Q^x შეფასების შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფებში დაფიქსირებულ შეცდომებს. ყოველი განსხვავებული Q^y შეფასებისთვის გვექნება განსხვავებული „კონცეპტი“, ხოლო ასეთი „კონცეპტების სიმრავლე იქნება ჩვენი „ცოდნის ბაზის“ მეორე ძირითადი ნაწილი.

პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზებზე შემოწმების სქემა

მას შემდეგ, რაც შევავსებთ „ცოდნის ბაზის“ ორივე ნაწილს (ხარისხის და შეცდომების „კონცეპტები“) უკვე შესაძლებელია სხვა პროგრამული უზრუნველყოფის შეცდომების „პროგნოზირება“. პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

1. პროგრამული უზრუნველყოფა მოწმდება ხარისხის ატრიბუტების არსებობა-არარსებობაზე და მიღებული შედეგი იწერება იმპლიკანტის სახით;
2. პროგრამული უზრუნველყოფა ხარისხის ამსახველი იმპლიკანტი დარდება „ცოდნის ბაზის“ შეფასების აღმწერ „კონცეპტებს“ და შეთანადების საფუძველზე ფიქსირდება მისი საბოლოო ხარისხი Q^x ;
3. პროგრამული უზრუნველყოფის Q^x ხარისხის შესაბამისად, შეცდომების „კონცეპტების“ ცოდნის ბაზიდან ამოირჩევა კონკრეტული „კონცეპტი“, რომელიც მოიცავს შესაძლო ურთიერთდაკავშირებული შეცდომების ჩამონათვალს.

სამომავლო სამუშაოები

შემოთავაზებული მეთოდის საფუძველზე შექმნილი სისტემა საშუალებას მოგვცემს შეფასების ცალკეული ატრიბუტების მიხედვით შეფასებული პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის ერთი ცნებით და ამ ცნების შეთანადებით განვსაზღვროთ ის კონკრეტული ხარვეზები, რამაც გამოიწვია პროგრამის ხარისხის კონკრეტული „ხარვეზი“.

ამჟამად მეთოდი აპრობირებულია იმიტირებულ პროგრამულ უზრუნველყოფებზე და შედეგები დამაიმედებელია, თუმცა სრულყოფისათვის აუცილებელია მოხდეს პროგრამული უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით ყველა ატრიბუტის, პროგრამული შეცდომების და უზუსტობების განსაზღვრა.

Method of Analytical Heuristics for Identifying Software Flaws

Manana Khachidze, Magda Tsintsadze, Maia Archuadze, Gela Besiashvili

Summary

It is important not only to detect errors and bugs in the software testing process but also to identify what causes them. Software diversity in means of their functionality, development tools, algorithms, programming language, end-user, etc. represents the testing process as a multi-parameter complex problem that is difficult to solve with a straightforward approach. The method of Analytical Heuristics method is a tool that allows describing a complex task in our case the software with multiple parameters (parameters defining software functionality), also according to the values of the parameters the method might be used to describe the state of this complex object (based on types of errors and bugs). A generalized "concept" (generalized description of software with specific types of errors and bugs) will be developed to describe objects of the same state. Subsequently, these concepts will create a library of "buggy software" templates.

Метод аналитической эвристики для выявления недостатков программного обеспечения

Манана Хачидзе, Магда Цинцадзе, Майя Арчуадзе, Гела Бесиашвили

Резюме

В процессе тестирования программного обеспечения важно не только обнаруживать ошибки, но и выявлять причины их возникновения. Разнообразие программного обеспечения в смысле его функциональности, средств разработки, алгоритмов, языка программирования, конечного пользователя и т.д. представляет процесс тестирования как многопараметрическую сложную задачу, которую трудно решить с помощью простого подхода. Метод аналитической эвристики - это инструмент, который позволяет описать сложную задачу в нашем случае с программным обеспечением с несколькими параметрами (параметрами, определяющими функциональность программного обеспечения), также в соответствии со значениями параметров, которые метод может использовать для описания состояния это сложный объект (на основе типов ошибок и ошибок). Обобщенная «концепция» (обобщенное описание программного обеспечения с конкретными типами ошибок и ошибок) будет разработана для описания объектов одного и того же состояния. Впоследствии, эти концепции создадут библиотеку шаблонов с «ошибочным программным обеспечением»

ლიტერატურა – References – Литература

1. A.J. Ko, B.A. Myers. A framework and methodology for studying the causes of software errors in programming systems. *Journal of Visual Languages and Computing* 16 (2005) 41–84
2. P. Tröger, L. Feinbube, M. Werner, What activates a bug? a refinement of the laprie terminology model, in: *Software Reliability Engineering (ISSRE)*, 2015 IEEE 26th International Symposium on, IEEE, 2015
3. P.K. Chaurasia, R.A. Khan. Classification of Software Requirement Errors: A Critical Review. *International Journal of Computer Applications* (0975 – 8887) Volume 132 – No.7, December 2015. Pp. 9-14
4. Yang Feng, James A. Jones, Zhenyu Chen, Chunrong Fang. An Empirical Study on Software Failure Classification with Multi-Label and Problem-Transformation Techniques. 2018 IEEE 11th International Conference on Software Testing, Verification and Validation . 0-7695-6388-0/18/\$31.00 ©2018 IEEE DOI 10.1109/ICST.2018.00039. pp. 320-330.
5. D. Lo, H. Cheng, J. Han, S.-C. Khoo, and C. Sun. Classification of software behaviors for failure detection: a discriminative pattern mining approach. In *Proceedings of the 15th ACM SIGKDD international conference on Knowledge discovery and data mining*, pages 557–566. ACM, 2009.
6. A. Podgurski, D. Leon, P. Francis, W. Masri, M. Minch, J. Sun, and B. Wang. Automated support for classifying software failure reports. In *Software Engineering, 2003. Proceedings. 25th International Conference on*, pages 465–475. IEEE, 2003
7. Ali Mili, Fairouz Tchier. *Software Testing: Concepts and Operations (Quantitative Software Engineering Series)* 1st Edition. Published by John Wiley & Sons, Inc., Hoboken, New Jersey Published simultaneously in Canada. 2015. 400 p.
8. Chavchanidze V. V. Analiticheskiye evristiki iskussnvennogo intellekta pri formirovanii ponyatiy, opoznaniy obrazov i klassifikatsii obyektov. *VINITI*. № 2080-70 Dep. (Analytical Heuristics of the Artificial Intellect in the Formation of Notions, Identification of Images and Classification of Objects, *VINITI*, #2080-70 Dep.
9. Chavchanidze V. V. Analiticheskoye Resheniye Zadachi Formirovaniya Ponyaty i Raspoznavaniya Obrazov (Analytical Resolution of the Problem of Identification of Notions and Recognition of Images). *Proceedings of the Academy of Sciences of the Georgian SSR*, vol.63, No.1, 1971.

მრავალფუნქციური პროგრამული სისტემები სპორტის მენეჯმენტში

დავით ხაჩიძე, თენგიზ კვეკვესკირი, მანანა ხაჩიძე

khachodg@yahoo.com, tengo16414@gmail.com, manana.khachidze@tsu.ge,

რეზიუმე

პროგრამული სისტემები თანამედროვე სპორტში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის მენეჯმენტსა და ადმინისტრაციულ საკითხებში. ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი მიდგომა სპორტის მენეჯმენტის სისტემებში, რომლებიც საშუალებას იძლევა ეროვნულ დონეზე ჩატარებულ შეჯიბრებებზე საინფორმაციო ტაბლოს მართვასა და ინფორმაციული სახით ჩვენებას. ის ასევე აერთიანებს საქართველოში მოასპარეზე სპორტსმენებისა და ორგანიზებულ ტურნირების ბაზას და სამართავ პანელს. აპლიკაცია შეიცავს ალგორითმს, რომელიც ატარებს ტურნირზე წარდგენილი სპორტსმენების შეწყვილების ცხრილის შედგენას. პროგრამის მოხმარება შეუძლია არაავტორიზებულ მომხმარებელს საინფორმაციო მიზნებით და ავტორიზებულ მომხმარებელს სხვადასხვა დონეზე სამართავად. აპლიკაცია გამიზნულია რეალურ დროში ტრანზაქციის რეჟიმზე. აქედან გამომდინარე, მომხმარებლისთვის ტურნირის მსვლელობის თვალის დევნება შესაძლებელია როგორც ტაბლოზე, ასევე დისტანციურადაც.

საკვანძო სიტყვები:

საინფორმაციო სისტემა, სპორტის მენეჯმენტი, შეწყვილების ალგორითმი.

შესავალი

საქართველოში ძიუდო, სამბო, ბერძნულ-რომაული და კლასიკური ჭიდაობა პოპულარული და საერთაშორისო ასპარეზზე შედეგიანი სპორტის სახეობებია. ამას განაპირობებს საქართველოში უძველესი ხანიდან არსებული „ქართული ჭიდაობა“, რომელიც ახლაც ინარჩუნებს პოპულარობას ყველა რეგიონში. წარმატებულ ქართველ სპორტსმენტს უმრავლესობას ერთხელ მაინც აქვს მიღებული მონაწილეობა „ქართული ჭიდაობის“ რეგიონალურ თუ ნაციონალურ შეჯიბრში.

სპორტის ამ სახეობათა პოპულარობა ბევრ პიროვნებას აერთიანებს. რეგულარულად ტარდება სხვადასხვა რეგიონალური და ნაციონალური შეჯიბრებები, რომელთა მენეჯმენტი, მიუხედავად საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა, სრულად არ არის მხარდაჭერილი შესაბამისი საინფორმაციო სისტემებით. ეს უმთავრესად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სპორტის მენეჯმენტში გამოყენებულ პოპულარულ სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფას თითქმის არ აქვს ქართული ენის მხარდაჭერა (რაც საქართველოს რეგიონებისათვის მნიშვნელოვანია) და არ არის იმდენად მოქნილი, რომ შესაძლებელი იყოს არსებულ რეალობაზე მორგება. მნიშვნელოვანია, რომ შეჯიბრებების ინფორმაციულ მართვასთან ერთად, შესაძლებელი იყოს ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც სტანდარტიზირებული სახით განთავსდება ინფორმაცია ყველა შეჯიბრების, სპორტსმენის და მწვრთნელის შესახებ. ასეთი სისტემა გაადვილებს შეჯიბრებების ჩატარების პროცესს, სპორტსმენტსა შერჩევას სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებისათვის და მწვრთნელების დამსახურებების აღრიცხვას. ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასეთ სისტემას

ჰქონდეს მრავალენოვანი ინტერფეისი, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემების ინტეგრირება საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მიერ გამოყენებად საინფორმაციო სისტემებთან.

სისტემის დიზაინი

სისტემის შესაქმნელად გამოვიყენეთ იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურის ტექნოლოგიას Struts, Spring and Hibernate (SSH). ამ მიდგომის თანახმად, სისტემა შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად დონედ – გარეგნული სახე, მოდელი, მართვა და დათვალიერება (View, Model, Controll and Browser). ასეთი არქიტექტურა საშუალებას იძლევა, მკვეთრად ჩამოყალიბებული ვებების სტრუქტურაზე დაყრდნობით, შეიქმნას სამართავად მარტივი სტრუქტურა.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სისტემა „CHIDAoba” შედგება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მოდულისაგან. შესაძლებელია ზოგი მათგანის დამოუკიდებლად ფუნქციონირება „სამაგიდო“ აპლიკაციად. ამ აპლიკაციების გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვა სპორტის სახეობებისთვისაც, სადაც საჭიროა ეტაპობრივად სპორტსმენების შეწყვილების უზრუნველყოფა. ზოგადი სახით სისტემის შემადგენლობაში შედის: ზოგადი საინფორმაციო მოდული, მონაცემთა ბაზა, კონკრეტული შეჯიბრების მართვის მოდული, შედეგების ანალიზის მოდული.

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამული უზრუნველყოფა იყოფა რამდენიმე ლოგიკურ მოდულად ფუნქციონალის და მომხმარებლის გამოყენების უფლებების მიხედვით. სისტემაში არსებობენ არაავტორიზებული და ავტორიზებული მომხმარებლები. არაავტორიზებულ მომხმარებელს პროგრამის მოხმარება შეუძლია საინფორმაციო მიზნებისთვის და ავტორიზებულ მომხმარებელს – სხვადასხვა დონეზე სამართავად. არაავტორიზებული მომხმარებელი ეცნობა ინფორმაციას სპორტსმენების და ტურნირების შესახებ. ასევე მას შეუძლია თვალყურის ადევნოს ნებისმიერი შეჯიბრის ტაბლოს ინფორმაციას პირდაპირ რეჟიმში.

ავტორიზებული მომხმარებლები იყოფიან სამ ჯგუფად განსხვავებული როლის მიხედვით User, Administrator და Super Administrator. User-ს აქვს ნებართვა და სპეციალური პანელი იმისთვის, რომ მართოს ტაბლოზე განთავსებული ინფორმაცია. Administrator-ს აქვს ნებართვა და დამატებით ფუნქციონალი, რომ აკონტროლოს და მართოს სისტემაში არსებული User-ები, ასევე დაამატოს, შეცვალოს ან წაშალოს სპორტსმენის ან ტურნირის შესახებ ინფორმაცია და შექმნას ახალი ტურნირი, დაამატოს მასში სპორტსმენები და შექმნას ან მოდიფიკაცია გაუკეთოს შეწყვილების ცხრილს. Super Administrator-ს აქვს ნებართვა და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციონალი და ამას დამატებით შეუძლია მართოს სისტემაში არსებული Administrator-ები.

ძირითადი მოდულები

ინფორმაციის შეტანა/გამოტანის მოდული

სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი მოდულია მონაცემთა ბაზა, სადაც შენახულია ინფორმაცია სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების და ტურნირების შესახებ. სისტემის ადმინისტრატორს შეუძლია დაამატოს, შეცვალოს ან წაშალოს ამ სახის ნებისმიერი ინფორმაცია. ბაზის მართვის სისტემა საშუალებას იძლევა შევინახოთ ყოველი კონკრეტული

შერკინების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ბაზაში არსებული სპორტსმენის მონაცემებს ემატება რეალურ დროში მყისიერად.

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს სხვადასხვა საინფორმაციო ანგარიშების გამოტანა (ტურნირის შედეგი, სპორტსმენის და მწვრთნელის ზოგადი და სტატისტიკური მონაცემები). სპორტსმენის პირად მონაცემებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს ტურნირის დაგეგმვის მოდული.

ტურნირის დაგეგმვის მოდული

ადმინისტრატორის მიერ საწყის საფეხურზე იქმნება „ტურნირი“ და, შესაბამისად, ბაზაში თავსდება ინფორმაცია, შემდგომ აღნიშნულ ტურნირს ემატება მონაწილეები. დამატებული მონაწილეების რაოდენობის და მათი რეიტინგის მიხედვით შეწყვილების ალგორითმის გამოყენებით იქმნება შეჯიბრების განრიგი/ სქემა, რის მიხედვითაც ტარდება შერკინებები. შეწყვილების ალგორითმი უნიკალურია და მის აღწერას წარვადგენთ ქვემოთ.

შეჯიბრის ტაბლო

ტაბლოს მართვა დაფუნქციონირებულია ძიუდოს შეჯიბრის პრინციპზე. აღირიცხება და ეკრანზე გამოდის ორთაბრძოლის განმავლობაში სპორტსმენების აქტივობები (ქულა, ჯარიმა, გამარჯვება, დამარცხება) და შეჯიბრის დასრულებისას გადაიცემა მონაცემები სპორტსმენის მონაცემების ბაზაში. სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს ტაბლოზე გამოსატანი ინფორმაციის კორექტირება კონკრეტული ტიპის შეჯიბრებისათვის (ქალთა ტურნირი, ასაკობრივი ზღვარი, სხვა სახეობის ქულობრივი ბადე და სხვ.).

შეწყვილების ალგორითმი

სპორტის თითქმის ყველა სახეობაში (ორთაბრძოლებში), რომლებიც ეგრეთწოდებული ოლიმპიური სისტემით ტარდება, მოასპარეზე წყვილების შერჩევა ხორციელდება ერთი და იგივე სქემით. აუცილებელია სპორტსმენთა გამოცდილების და რეიტინგის გათვალისწინება. შეჯიბრებაში მონაწილეთაგან უძლიერესები ტურნირში ერთმანეთს ხვდებიან რაც შეიძლება გვიან, ტურნირის დამამთავრებელი ეტაპისაკენ. ეს პროცესი მარტივად ასე აღიწერება: შემოდის მონაცემები ტურნირის მონაწილეთა შესახებ. საჭიროა მათი სიძლიერის (შედარებადი ველი) მიხედვით დახარისხება/შეწყვილება და ისეთი სახით დაბრუნება, რომ შეიძლებოდეს გარკვევა, თუ ვინ ვის ეჯიბრება და რა ეტაპზეა ტურნირის დაწყებამდე. განიხილება ორი შესაძლო შემთხვევა:

- ნორმალური შემთხვევა – როდესაც მონაწილე კარგად ზის ტურნირის შეხვედრათა ცხრილში.
- დამატებითი შემთხვევა – შეჯიბრთა „ორობითობისა“ და, მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლოა ზოგიერთ მონაწილეს ე.წ. დამატებითი შეხვედრების ჩატარება დასჭირდეს.

ალგორითმი მონაწილეთა შეწყვილებისათვის და მონაცემთა ადვილი აღქმისათვის იყენებს ორობითი ხის სისტემას. იგი რეალიზებულია C#-ზე და იყენებს .Net-ის სტანდარტულ ბიბლიოთეკებს მონაცემთა სიაში შენახვისა და სორტირებისთვის.

მონაწილეთა შეწყვილების უზრუნველსაყოფად საჭიროა მონაცემთა საწყისი დამუშავება – მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით გამოთვლილი რიცხვის შესაბამისი მქონე

ცარიელი ორობითი ხის ინიციალიზება. მთავარი ხის სიღრმე გამოითვლება მონაწილეთა რაოდენობიდან ორობითი ფუძის ლოგარითმის ამოღებით და მთელიობამდე ნაკლებობით დამრგვალებით:

$$Depth = floor(\log(n));$$

შემდგომ, სანამ თვითშეწყვილებას დავიწყებთ, საჭიროა კიდევ ერთი მონაცემის, დამატებითი შეხვედრების რაოდენობის განსაზღვრა. იძებნება უახლოესი, მცირე, 2-ის ხარისხი რიცხვი და იგი აკლდება მონაწილეთა რაოდენობას. ორობით ხეში ყოველი დამატებითი შეხვედრა არა ერთი, არამედ ორი დამატებითი კვანძის გაჩენას იწვევს, შედეგად საჭირო დამატებით კვანძთა რაოდენობა ორმაგდება:

$$Additional = 2 * (n - 2^{floor(\log(n))});$$

დავიწყოთ მონაწილეთა სიის დამუშავება მათი შეწყვილების მიზნით. ზევით ინიციალიზებული ცარიელი ხე, მონაწილეთა სია და დამატებით კვანძთა რაოდენობა გადაეცემა ფუნქციას, რომელიც გარკვეული სახით ორად ხლეჩს სიას და რეკურსიულად იძახებს თავის თავს მარცხენა და მარჯვენა შვილებისთვის ყოველი ახლად შექმნილი სიით. რეკურსიული გამოძახება მოხდება მანამ, სანამ გადმოცემული სია არ ჩამოვა ერთ ელემენტამდე, ანუ მივაღწევთ ხის ფოთლამდე, ამ შემთხვევაში ხდება მონაწილის მონაცემის შენახვა კვანძში და ფუნქციის დასრულება. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება დამატებითი კვანძების შექმნას. ყოველთვის, როდესაც ვცდილობთ გადავცეთ მონაწილეთა სია შვილებს, მაგრამ აღმოჩნდება რომ ასეთი შვილი კვანძი არ იყო განსაზღვრული საწყისად ინიციალიზებულ ხეში, ეს ნიშნავს, რომ ასეთი კვანძი არის დამატებითი შეჯიბრისათვის. შეძლებისდაგვარად ემატება ახალი კვანძი და რიცხვითი ცვლადი მცირდება ერთით. სიის გახლეჩა – ყოველ ბიჯზე შემომავალი სია უნდა იყოს დახარისხებული (ზრდადობით ან კლებადობით); იქმნება ორი დამატებითი, ცარიელი სია მარცხენა და მარჯვენა შვილებისთვის გადასაცემად. სიაზე ხორციელდება ინდექსირებული ჩამოვლა (for ციკლი), ინდექსატორი მონაცვლეობს 0-დან (საწყისი) სიაში ჩანაწერთა რაოდენობამდე (არჩათვლით) ერთის ბიჯით; შემდეგი მანიპულაცია მარტივია. ყოველი სიის ელემენტის ინდექსი მოწმდება ლუწ-კენტობაზე და შედეგის მიხედვით ემატება სიას მარცხენა ან მარჯვენა შვილისათვის.

აღწერილი ალგორითმი, თავისი სიმარტივის მიუხედავად, მშვენივრად ასრულებს საკუთარ დანიშნულებას და მონაწილეები გადანაწილდებიან ხეზე იმგვარად, რომ ყველაზე ძლიერთა შეხვედრა მოხდება რაც შესაძლებელია გვიან; და ეს ეხება არა მხოლოდ ორ უძლიერეს მონაწილეს, არამედ ყოველ უძლიერეს წყვილს. მათი შეხვედრა მოხდება შეძლებისდაგვარად ყველაზე გვიან.

სისტემური მოდელი

ორობითი ხე - ორობითი ხე არის მონაცემთა სტრუქტურა, რომლის მონაცემები მოთავსებულია კვანძებში. ყოველი კვანძი შეიცავს ინფორმაციას ხეში საკუთარი სიღრმის, მშობელი კვანძის, მარცხენა და მარჯვენა შვილი კვანძების შესახებ. ყოველ ხეს გააჩნია ე.წ. ფესვი - ეს არის კვანძი, რომელსაც არ ჰყავს მშობელი კვანძი, მისი პირობითი სიღრმეა 0 და ამ

ხის ყოველი სხვა კვანძი არის მისი შვილი და შვილთაშვილი სხვადასხვა სიღრმეში. ფოთოლი - არის კვანძი, რომელსაც არ ჰყავს არც მარჯვენა და არც მარცხენა შვილი კვანძი.

ალგორითმის მუშაობა პირობით სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:



მონაცემთა მიღება, სიაში ჩაწერა და დახარისხება.

დახარისხება ხდება მონაწილეთა სიძლიერის მიხედვით. დახარისხებისთვის გამოიყენება .Net-ის სტანდარტულ ბიბლიოთეკაში quicksort-ის იმპლემენტატორი, რომელიც ახარისხებს List ტიპის კოლექციას და მუშაობისთვის ითხოვს, რომ კოლექციაში მყოფი ობიექტები იყვნენ System.IComparable ინტერფეისის მაინიმუმ იმპლემენტაციები და გადატვირთონ ნახსენები ინტერფეისის CompareTo(object o) ფუნქცია.

დახარისხებული მონაწილეთა კოლექციის გამოყენებით მონაწილეთა შეხვედრების ამსახველი ორბითი ხის გენერირება.

შეწყვილების შედეგად მიღებული ხის უკეთ აღსაქმელი ფორმით გამოტანა.

ორბითი ხე არ არის ინფორმაციის მარტივად გასაგები ფორმა, საჭიროა მთლიანი ხის გარკვეული ხით ჩამოვლა და მონაცემთა გადატანა. შემუშავებულია ფუნქცია, რომელიც იღებს ხის ფესვს და აბრუნებს ორგანოზომილებიან შეჯიბრის სიას: პირველი განზომილება აღნიშნავს შეჯიბრის სიღრმეს (ფინალიდან შერჩევითებამდე ზრდადობით), მეორე განზომილებაში მოქცეულია მონაცემები მოცემულ სიღრმეში მონაწილეთა წყვილების შესახებ (დაწყებული ნულიდან ზრდადობით, მიმდევრობით). ტურნირი იწყება ყველაზე ღრმა სიიდან მონაწილეთა წყვილების არჩევით და შემდეგი სიმაღლის ცარიელ უჯრებში გამარჯვებულის გადაყვანით.



დასკვნა

საბოლოო პროგრამული პაკეტი მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქართული სპორტის მენეჯმენტში. მსგავსი პროდუქტის არარსებობის გამო იგი უნიკალურია საქართველოში.

ასეთი მიდგომა გვცხმარება ეროვნულ დონეზე ჩატარებულ ტურნირებზე შეჯიბრისას საინფორმაციო ტაბლო ვმართოთ და ინფორმაციული სახით ვაჩვენოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ის ასევე აერთიანებს საქართველოში მოასპარეზე სპორტსმენებისა და ორგანიზებული ტურნირების ბაზას. ალგორითმი, რომელსაც აპლიკაცია შეიცავს, ტურნირზე წარდგენილი სპორტსმენების შეწყვილების ცხრილს ადგენს (იძლევა მოდიფიკაციის საშუალებას), ასევე აკეთებს მესამე ადგილის შეწყვილების ალგორითმს.

ამასთან პროექტში გამოყენებული ტექნოლოგია შერჩეულია თანამედროვეობიდან გამომდინარე და წარმოადგენს მიმდინარე, სწორ და ეფექტურ მიდგომებს. პროექტის არქიტექტურა სრულიად აკმაყოფილებს პროგრამული უზრუნველყოფის მაჩვენებლებს, როგორებიცაა: სისწორე, მდგრადობა, გაფართოებითობა, დიზაინის სიმარტივე, დეცენტრალიზაცია, ხელმეორედ გამოყენებითობა, თავსებადობა, ეფექტურობა, გამოყენების სიმარტივე, ფუნქციონალურობა, პორტაბელურობა, დროულობა, შემოწმებადობა, ინტეგრირებულობა და შეკეთებადობა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სისტემა მოქნილია და შესაძლებელია მისი მრავალმხრივ განვითარება და გაუმჯობესება ახალი ფუნქციონალის დამატებით.

Multifunctional Software for Sport

David Khachidze, Tengiz Kvekveskiri, Manana Khachidze,

Summary

In this paper, a new approach is offered regarding sports management systems using a judo example. This is mainly to manage information screen by administration and to give information through the screen display to spectators during the contest on a national level. Moreover, the latter forms a database by uniting all the players and held tournaments in Georgia as well as a managing it's panel. An application includes an algorithm that can make a list of paired contestants and afterwards you are given a chance to modify the timetable. In addition to this, the algorithm can match participants to compete for the 3rd position.

This program can be used by a non-authorized person for informational purposes and by an authorized person for governing occasions on several stages. The application is meant to be working in a real time state, which directly reflects into exchanging information asynchronously from administrator to a spectator. This enables every person to follow the news whether they attend or remotely use a display screen.

Многофункциональное программное обеспечение для спорта

Давид Хачидзе, Тенгиз Квеквескири, Манана Хачидзе,

Резюме

В работе предлагается новый подход к системам спортивного менеджмента на примере дзюдо. Это главным образом для управления информационным экраном администрацией и для предоставления информации через экранное отображение зрителям во время соревнования на национальном уровне. Более того, последняя формирует базу данных, объединяя всех спортсменов и проводящих турниры в Грузию Приложение включает в себя алгоритм,

который может составить список парных участников, и после этого предоставляется возможность изменить расписание..

Программа может использоваться не уполномоченным лицом в информационных целях и уполномоченным лицом для управления мероприятиями на нескольких этапах. Приложение предназначено для работы в режиме реального времени, что напрямую влияет на асинхронный обмен информацией от администратора к зрителю. Это позволяет каждому человеку следить за новостями, независимо от того, посещают они или удаленно используют экран дисплея.

ლიტერატურა – References – Литература

1. P. Fletcher, "<https://docs.microsoft.com/>," Microsoft, 10 06 2014. [Online]. Available: <https://docs.microsoft.com/en-us/aspnet/signalr/overview/getting-started/introduction-to-signalr> [Accessed 23 12 2017].
2. M. Bostock, "<https://d3js.org/>," Data-Driven Documents, [Online]. Available: <https://d3js.org/>.
3. Microsoft, "<https://www.asp.net/>," ASP.NET
4. Bootstrap, "<https://getbootstrap.com/>," BootsTrap. [Online]
5. R. Fagin, P. Kolaitis, R. Miller, and L. Popa. "Data exchange: semantics and query answering." Theoretical Computer Science, 336(1):89–124, 2005W.-K. Chen, Linear Networks and Systems. Belmont, Calif.: Wadsworth, pp. 123-135, 1993. (Book style)
6. M. S., " LearnNowOnline," 28 August 2012. [Online]. Available: <http://blogs.learnnowonline.com/2012/08/28/4-benefits-of-object-relational-mapping-orm/>.

დიდი მონაცემების გამოყენება ცოდნის ხარისხის ამაღლების მიზნით

პაპუნა ქარჩავა, ლიკა სიხარულია

pqarchava@gmail.com, lika.sikharulia@gmail.com

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილულია დიდი მონაცემების, სენტიმენტ ანალიზის, ელექტრონული სწავლების და ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება თანამედროვე სასწავლო პროცესში. მოყვანილია მათი მოკლე აღწერები. სტატიაში საუბარია აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე უმაღლეს სასწავლებლებში. ავტორის აზრით, სენტიმენტ ანალიზის მეთოდის გამოყენება იძლევა სტუდენტების გამოკითხვის პროცესის სრულად ავტომატიზირების საშუალებას. სახელდობრ, მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია შესაბამისი სისტემის დასწავლა სტუდენტების მიერ შესრულებული ელექტრონული დავალებების გამოყენებით, რომლებიც დახარისხებულია მიღებული შეფასებების მიხედვით. შემდეგ სენტიმენტ ანალიზის გამოყენებით მოხდება შესრულებული დავალებების შემოწმება. სტუდენტების შეფასების ავტომატიზირებით პედაგოგი თავისუფლდება რუტინული საქმიანობისგან და მას ექნება საშუალება საკუთარი ენერჯია მიმართოს სასწავლო კურსის გაუმჯობესებისკენ.

საკვანძო სიტყვები:

დიდი მონაცემები, სენტიმენტ-ანალიზი, ელექტრონული სწავლება, მანქანური სწავლება, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები.

შესავალი

ბოლო ათწლეულების მანძილზე ინფორმაციის მოცულობა შემაშფოთებელი სისწრაფით იზრდება, რაც განპირობებულია იაფფასიანი მოწყობილობების და ინტერნეტ სერვისების სწრაფი განვითარებით. მონაცემების დიდი ზომის გამო საჭირო გახდა “მონაცემთა ბაზის,” როგორც ტერმინის მნიშვნელობის შეცვლა. ახალ კონცეპტს, რომელიც გამოიყენება დიდი მოცულობის სტრუქტურირებული ან არასტრუქტურირებული მონაცემების აღსაწერად, ეწოდება დიდი მონაცემი [1].

აღნიშნული ტერმინი სათავეს იღებს 1997 წლიდან და პირველად გამოყენებული იქნა ნასას მკვლევარების: Michael Cox და David Ellsworth მიერ [2]; ერთი წლის შემდეგ SGI-ის (Silicon Graphics Inc) მკვლევარმა John R. Mashey გამოიყენა ეს კონცეპტი [3], ხოლო მომდევნო წელს Bryson-მა გამოაქვეყნა სტატია [4], რომელშიც განიხილავდა დიდ მონაცემებს ACM-სთვის (Association for Computing Machinery) [5].

დიდ მონაცემებზე დაწყებულმა კვლევებმა საფუძველი ჩაუყარა პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის განვითარებას [6], რასაც შედეგად მოჰყვა ღრუბლოვანი ტექნოლოგიების განვითარება [7]. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები იძლევა ინტერნეტ სივრცეში მონაცემების განთავსების საშუალებას და მათ ხელმისაწვდომობას, ასევე, სხვადასხვა გამოთვლითი სიმძლავრის მიღების საშუალებას.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების განვითარებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ელექტრონულ სწავლებას [8], რომელიც იძლევა უსაზღვრო შესაძლებლობებს ახლის შესწავლის მსურველთათვის. მისი მეშვეობით შესაძლებელია სტუდენტსა და პედაგოგს

შორის კომუნიკაცია. კერძოდ, დისტანციურად დავალების განსაზღვრა და დავალების შესრულების პროცესზე თვალყურის დევნება და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დიდი მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის, კერძოდ, მანქანური სწავლების მეთოდებისა და სენტიმენტ-ანალიზის გამოყენებით სწავლის პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ნაშრომში დახასიათებულია შესაბამისი ტექნოლოგიები და მოყვანილია მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენებით სწავლის პროცესის გაუმჯობესება. ქართულენოვანი ტექსტის დამუშავებისთვის შესაბამისი სენტიმენტ-ანალიზის არარსებობის გამო (ქართული ენის რთული სტრუქტურის გამო) და (ზოგადად) უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული ელექტრონული დავალებების ბაზის არარსებობის გამო, ამ მოსაზრების შემოწმება შეუძლებელია. თუმცა თსუ-ში ჯგუფური პროექტის ფარგლებში ინგლისურენოვანი არასასწავლო ტექსტისთვის მანქანური სწავლების მეთოდებისა და სენტიმენტ-ანალიზის გამოყენებით შესრულდა არაერთი პროექტი, მაგალითად, „დიდი მონაცემების დამუშავება სემანტიკური ანალიზის გამოყენებით Twitter სოციალური ქსელის მაგალითზე“, რომელიც წარმატებით ართმევს თავს დასახულ ამოცანას. აღნიშნული მეთოდების დანერგვა და გამოყენება სასწავლო პროცესში საკმარისად გაამარტივებს ცოდნის ხარისხს.

დიდი მონაცემები (Big Data)

დიდი მონაცემების განმარტებად გამოიყენება 2012 წელს დ. ბოიდისა და კ. კლაუფორდის სტატიაში [9] მოყვანილი Big Data-ს განმარტება, როგორც კულტურული, ტექნოლოგიური და სამეცნიერო ფენომენი, რომელშიც გაერთიანებულია:

1. **ტექნოლოგია**, რომელიც იძლევა გამოთვლითი სიმძლავრის მაქსიმიზირების, მონაცემების შეგროვების, ანალიზის, რთული კავშირების გამოვლენის და ა.შ. საშუალებას;
2. **ანალიზი**: მონაცემების ერთობლიობის გამოსახვა იმ ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს ეკონომიური, სოციალური, ტექნიკური და იურიდიული მტკიცებულებების მისაღები სტრუქტურის იდენტიფიცირება;
3. **მიფოლოგია**: საყოველთაო მტკიცებულება, რომ Big Data წარმოადგენს ცოდნის უფრო მაღალ ფორმას.

ელექტრონული სწავლების კონტექსტში დიდი მონაცემები შედგება პედაგოგების მიერ შექმნილი ინფორმაციის წყაროებიდან (სასწავლო კურსები, მოდულები, ბილეთების ბანკი და სხვა) და განსაკუთრებით სწავლის პერიოდში სტუდენტების მხრიდან მომავალი მონაცემებით (შეკითხვები, სტუდენტების გამოკითხვის ელექტრონული დოკუმენტები და სხვა). ასეთი მონაცემების მოცულობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე ათეულ გიგაბაიტს.

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის დიდი მონაცემების შეგროვება და დამუშავება განსაკუთრებით მომხიბვლელია მათი მახასიათებლების მრავალფეროვნების გამო. სხვადასხვა წყარო გამოყოფს დიდი მონაცემების განსხვავებული რაოდენობის მახასიათებლებს. მაგალითად, Oracle ორგანიზაციაში გამოყოფენ 4 მახასიათებელს, ესენია [10-11]:

- **მოცულობა**: დიდი მონაცემებისთვის მოცულობის საზღვრის განსაზღვრა რთულია. ის შეიძლება იყოს შედარებითი განსხვავებული აპლიკაციისთვის და სასწავლო ნაკრებისთვის;
- **სწრაფქმედება**: მონაცემთა გაზრდილი ნაკადი საჭიროებს აპარატულ საშუალებებს და საკომუნიკაციო მოწყობილობებს, რომელთაც შეუძლიათ დიდი მოცულობის ინფორმაციის გადაცემა და პროგრამული გადაწყვეტებები მათი სწრაფი დამუშავების შესაძლებლობისთვის.
- **მრავალფეროვნება**: დიდი მონაცემები აერთიანებს ნებისმიერი ტიპის არასტრუქტურირებულ და სტრუქტურირებულ მონაცემებს;

- **ღირებულება:** დიდი სასწავლო მონაცემების ღირებულებას წარმოადგენს მაღალი დონის განათლების მიღების შესაძლებლობა.

სენტიმენტ-ანალიზი

სენტიმენტ-ანალიზი (Sentiment Analysis) წარმოადგენს კომპიუტერულ ლინგვისტიკაში კონტენტ-ანალიზის მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება ტექსტში ლექსიკის ემოციური გაფორმების გამოვლენის ავტომატიზირების და ტექსტში შემავალი ობიექტების მიმართ ავტორების მიერ ემოციური შეფასების გამოვლენის მიზნით.

სენტიმენტ-ანალიზი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სფეროში: მონიტორინგი, რეკლამა, მარკეტინგი, ანალიტიკა და სხვა. მისი გამოყენება სასწავლო დაწესებულებაში შესაძლებელია სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებების შეფასების თვალსაზრისით. ამის გაკეთება, თავის მხრივ, პედაგოგის ჩარევის გარეშე სტუდენტის ყოველკვირეული გამოკითხვის საშუალებას იძლევა. როგორც ვიცით, სტუდენტს საშუალება აქვს სემესტრულად აირჩიოს გარკვეული საგნები. ყოველ საგანზე სტუდენტს განესაზღვრება საგანზე (მასალის სრულფასოვანი ათვისების მიზნით) დამოუკიდებელი მუშაობისთვის საათების გარკვეული რაოდენობა, რომელიც არ მოწმდება. ყოველკვირეული გამოკითხვის დანერგვით სტუდენტს მოუწევს მასალასთან დამოუკიდებელი საქმიანობა და შესაბამისი დავალების გაკეთება. სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების შეფასება მოხდება სენტიმენტ-ანალიზის გამოყენებით. აუცილებლობის შემთხვევაში პედაგოგს შესაძლებლობა ექნება გადაამოწმოს მიღებული შეფასების მართებულობა.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიები და ელექტრონული სწავლება

თანამედროვე ტექნოლოგიები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ შეუძლებელია უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ ფეხი აუწყოს ტექნოლოგიური განვითარების პროცესს ფინანსური და მატერიალური ღირებულებების გამო. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში უმაღლეს სასწავლებლებში აპარატურული უზრუნველყოფა წარმოადგენილია „რამდენიმე წლიანი დაძველებით“, რაც, ტექნოლოგიების თვალსაზრისით, შემამფოთებელიც შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში ალტერნატიულ გადაწყვეტას წარმოადგენს ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, რომელიც იძლევა თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საშუალებას გარკვეული ფინანსური დანახარჯების გაღების ხარჯზე, რაც გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ფიზიკური მოწყობილობების და მათი პროგრამული უზრუნველყოფების შეძენაზე და მათ მოვლაზე დახარჯული თანხები.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიები იძლევიან აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის რესურსებისთვის დიდი მონაცემების შენახვის პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას. მონაცემების შენახვასთან ერთად, საჭიროა მონაცემების მაღალი ხარისხით ხელმისაწვდომობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სწორედ აღნიშნული ორი საკითხი თამაშობს გასაღებ როლს ელექტრონული სწავლების პროცესში. ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსებული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც პედაგოგისთვის, ისე სტუდენტებისთვის. პედაგოგს შეუძლია შესაბამისი პორტალის გამოყენებით სასწავლო მასალისა და დავალებების განსაზღვრა, ხოლო სტუდენტს კი მასალის გაცნობა და დავალების შესრულება.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში წარმოგვიდგენს მრავალ შესაძლებლობას [12]:

- მძლავრი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის რესურსების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია ელექტრონული სწავლების საქმიანობისთვის;
- სწავლის ობიექტების წარმოდგენისთვის შესაბამისი გადაწყვეტის მიღება, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელს აქვთ საკუთარი სწავლის

მართვის სისტემა, რომელიც იმპლემენტირებულია კერძო ღრუბლებში, მაგრამ განსხვავდება სასწავლებლებისთვის;

- კერძო ღრუბელში მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა: სამეცნიერო ჩანაწერების, პერსონალური მონაცემების და კვლევითი პროექტების;
- საგანმანათლებლო კონტენტის ხელმისაწვდომობა და მისი ინსტრუმენტარიების გამოყენების შესაძლებლობა ელექტრონული სასწავლო ღრუბლოვანი პროექტში ჩართული სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის;
- კლასტერული არქიტექტურების შექმნა, ღია კოდით, არასტრუქტურირებული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისთვის.

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს მოტივაციას უნივერსიტეტებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ სარგებელი ცოდნისა და ინფორმაციის გაცვლის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობით პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის.

NoSQL

დიდი მონაცემების დამუშავებისას არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია მონაცემების შენახვა. მონაცემების დიდი რაოდენობის გამო მათი შენახვა და დამუშავება ჩვეულებრივი რელაციური მონაცემთა ბაზების გამოყენებით შეუძლებელია. დიდი მონაცემების შესანახად ფართოდ გამოიყენება NoSQL მონაცემთა ბაზები [13].

NoSQL მონაცემთა ბაზები, მონაცემების შენახვის პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს შემდეგ 4 ტიპად:

1. key-value (გასაღები-მნიშვნელობა)
2. document (დოკუმენტი)
3. column-family (სვეტების-ჯგუფი)
4. graph (გრაფი)

NoSQL მონაცემთა ბაზის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ პროგრამას წარმოადგენს MongoDB მონაცემთა ბაზის პროგრამა, რომელიც ბაზაში მონაცემის ჩაწერის საშუალებას იძლევა დოკუმენტის სახით. ის ვრცელდება ღია კოდით და შესაბამისად მისი გამოყენება არ გულისხმობს ფინანსური დანახარჯების გაღებას.

დიდი მონაცემების გამოყენება ელექტრონულ სწავლებაში

ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენებით გაადვილებულია სტუდენტებთან ურთიერთობა (სასწავლო მასალის მიწოდება, დავალებების განსაზღვრა და ა.შ.). წლების განმავლობაში ელექტრონულ პორტალში მონაცემების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება. ეს რიცხვი საკმარისად იზრდება, თუ გარკვეული შეთანხმების საფუძველზე რამდენიმე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება იყენებს საერთო ელექტრონულ პორტალს, რაც ემსახურება სტუდენტების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და ერთი და იმავე სასწავლო მასალის მიწოდებას.

სტუდენტების აქტივობები და მათ მიერ შესრულებული დავალებები, მათი მოცულობიდან გამომდინარე, ქმნიან დიდ მონაცემებს, რომელთა დამუშავება ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენებით შეუძლებელია.

სენტიმენტ-ანალიზის გამოყენება სტუდენტების შეფასების პროცესში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სენტიმენტ-ანალიზი ბუნებრივ ენაზე შემუშავებული ტექსტური მონაცემების ანალიზის საშუალებას იძლევა ტექსტის შინაარსზე (კონტენტზე) დამოკიდებულებით. ამიტომ მისი გამოყენება სტუდენტების ნაშრომების შეფასების პროცესში მოახდენს შეფასების პროცესის სრულ ავტომატიზირებას. ამ მიზნით ერთ-ერთი

არააუცილებელი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს, არის დავალების ელექტრონული ფორმით შესრულება, რისი უზრუნველყოფაც პრობლემას არ წარმოადგენს.

სენტემენტ-ანალიზის გამოყენებით შესაძლებელია არა მხოლოდ საბოლოო შეფასების გაკეთება, არამედ ყოველკვირეული შეფასების დანერგვა და გაკეთება. ყოველკვირეული შეფასების გაკეთება მოემსახურება სტუდენტის მიერ ცოდნის გაღრმავების მიზნით გამოყენებული დამოუკიდებელი საათების შეფასებას. ამ შემთხვევაში სტუდენტს განესაზღვრება „საშინაო“ დავალება, რომლის გაკეთების შემდეგ ის გაიგზავნება შესაბამის სერვერზე, სადაც მოხდება შემოსული დავალების შეფასება.

რა თქმა უნდა, ასეთი შეფასების გაკეთების საწყის ეტაპზე მოითხოვება პედაგოგის აქტიური ჩართულობა, რათა სწორად და ხარისხიანად წარიმართოს მანქანური მეთოდების დასწავლის პროცესი, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, როცა დასწავლის ბაზა იქნება შედარებით სრული, საჭირო იქნება პედაგოგის ნაკლები ჩართულობა.

მანქანური სწავლების ალგორითმებისა და სენტემენტ-ანალიზის გამოყენებით მოხდება შეფასების სისტემის სრული ავტომატიზირება და პედაგოგი გათავისუფლდება იმ რუტინული საქმიანობისგან, რასაც ის აწყდება სტუდენტების ნაშრომის გასწორებისას. ნაცვლად ამისა, მას შეეძლება უფრო მეტი ყურადღება გადაიტანოს სასწავლო კურსის გაუმჯობესებაზე და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაზე.

დასკვნა

ტრადიციული ელექტრონული სწავლების არქიტექტურა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. სწორედ ასეთი განახლების როლში მოიაზრება ღრუბლოვანი ტექნოლოგიები. ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია დიდი მონაცემების განთავსება ინტერნეტსივრცეში. გარდა მონაცემების განთავსებისა, ის იძლევა დიდი მოცულობით გამოთვლების განხორციელების საშუალებას, რაც აუცილებელია მანქანური სწავლების მეთოდებისა და სენტემენტ-ანალიზის გამოყენებისას.

სენტემენტ-ანალიზის მეთოდების გამოყენება ბუნებრივ ენაზე შექმნილი ტექსტების დამუშავების პროცესში ფართოდ გავრცელებულია დიდ მონაცემებში, მაგრამ აქამდე არ მომხდარა ამ მეთოდის გამოყენება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მათი გამოყენებით შესაძლებელია სტუდენტების შეფასების პროცესის სრული ავტომატიზირება, რაც, თავის მხრივ, ათავისუფლებს პედაგოგს რუტინული სამუშაოსგან და საშუალებას აძლევს საკუთარი საქმიანობა მიმართოს სასწავლო კურსის გაუმჯობესებისკენ.

Use big data to increase knowledge

Papuna Qarchava, Lika Sikharulia

Summary

In presented paper are discusses big data, sentiment analysis, e-learning and cloud technologies. Here are their brief descriptions. The article is about improving the quality of learning in higher education institutions using these technologies. According to the author, the use of sentiment analysis method allows to fully automate the student survey process. In particular, machine learning methods can be used to teach the relevant system using students' electronic assignments, which are sorted according to the grades received. Then, using sentiment analysis, the tasks will be checked. By automating student assessment, the teacher is relieved of routine activities and will be able to direct his or her energy toward improving the course.

Использование больших данных для повышения знаний

Папуна Карчава, Лика Сихарулия

Резюме

В этой статье рассматриваются большие данные, sentiment анализ, электронное обучение и облачные технологии. Даны их краткие описания. Статья посвящена повышению качества обучения в вузах с использованием этих технологий. По мнению автора, использование метода sentiment анализа позволяет полностью автоматизировать процесс опроса студентов. В частности, методы машинного обучения могут использоваться для обучения соответствующей системе с помощью электронных заданий учащихся, которые сортируются в соответствии с полученными оценками. Затем, используя sentiment анализа, новые задачи будут проверены. Автоматизируя оценку ученика, учитель освобождается от рутинной деятельности и сможет направить свою энергию на улучшение курса.

ლიტერატურა – References – Литература

1. Baby, N., Pethuru, R., IGI Global, Big Data Computing and the Reference Architecture, What is Hadoop, <http://www.igi-global.com/dictionary/hadoop/12699> , 2014
2. Banica, L., Burtescu, E., Stefan, C., Advanced Security Models for Cloud Infrastructures, Journal of Emerging Trends in Computing and Information Sciences, Vol. 5, No. 6, pp. 484-491, 2014
3. Banica, L., Different Hype Cycle Viewpoints for an e-learning System, Journal of Research & Method in Education, Vol. 4, Issue 5, pp.88-95, 2014
4. Banica, L., Stefan, C., Rosca, D. & Enescu, F., Moving from Learning Management Systems to the e-Learning Cloud, AWERProcedia Information Technology & Computer Science. pp 865-874, www.awer-center.org/pitcs , 2013
5. Banica, L., Paun, V., Stefan, C., Big Data leverages Cloud Computing opportunities, International Journal of Computers & Technology, Volume 13, No.12, <http://cirworld.org/journals/index.php/ijct/article/view/3036> , 2014
6. Bastian M., Heymann S., Jacomy M., Gephi: an open source software for exploring and manipulating networks, International AAAI Conference on Weblogs and Social Media, San Jose, USA , 2009
7. Briggs, S., Big Data in Education: Big Potential or Big Mistake? <http://www.opencolleges.edu.au/informed/features/big-data-big-potential-or-big-mistake/> , 2014
8. Bryson, S., Kenwright, D., Cox, M., Ellsworth, D., and Haines, R., Visually exploring gigabyte data sets in real time, <http://www.forbes.com/sites/gilpress/2013/05/09/a-very-short-history-of-big-data/> , 1999
9. Boyd, d., Crawford, K., Critical questions for big data: Provocations for a cultural, technological, and scholarly phenomenon. Information, Communication & Society, 15(5), 662–679, 2012
10. Dumitru, A., Hadoop - Enterprise Data Warehouse Data Flow Analysis and Optimization, OSCON Open Source Convention, Portland, available at <http://www.oscon.com/oscon2011-public/schedule/detail/21348> , 2011
11. Ferkoun, M., Cloud computing and big data: An ideal combination, available at <http://thoughtsoncloud.com/2014/02/cloud-computing-and-big-data-an-ideal-combination/> , 2014
12. Frank Lo, Big Data Technology, available at <https://datajobs.com/what-is-hadoop-and-nosql>, 2014
13. List of nosql database management systems, <http://nosql-database.org/>

საუბრიდან ტექსტის ამოცნობის ტექნოლოგია

ანა კობიაშვილი, ნოდარ დარჩიაშვილი, მერი გეგეჭკორი

anakobia@hotmail.com, nodob19@gmail.com

რეზიუმე

ნებისმიერ სატელეფონო ცენტრში ყოველდღიურად ფიქსირდება ასობით და ათასობით ზარი. ამის გამო, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელი ხდება მონაცემების შეგროვება და მათი გაანალიზება. ცენტრის პროდუქტიულობის გაზრდის საჭიროებამ განაპირობა ისეთი ელექტრონული სისტემების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც მენეჯერებს საშუალებას მისცემს მომენტალურად მიიღონ წვდომა ცენტრის მუშაობის კრიტიკულ მაჩვენებლებზე. ასეთი ელექტრონული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ხმის ჩანაწერების ან მიმდინარე ზარების ანალიზი საუბრის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით, რომლის მიზანია შემოსული ზარის შინაარსიდან სასარგებლო ინფორმაციის მოძიება და საუბრის ხარისხის გაუმჯობესება.

სტატიაში განხილულია პროგრამა, რომელიც შეიქმნა გადაუდებელი რეაგირების ცენტრის სამუშაო პროცესში საუბრის ანალიტიკის გამოყენების დემონსტრირებისთვის.

მსგავსი სისტემის სატელეფონო ცენტრში დანერგვა საშუალებას მისცემს ოპერატორს შეამციროს ზარზე მუშაობის ის დრო, რომელიც მისამართისა და შემთხვევის ტიპის ძებნის პროცესს სჭირდება. სისტემა აბსოლუტურად ზუსტი ვერ იქნება, რადგან ხმის ამოცნობის ტექნოლოგია ყოველთვის მხოლოდ საფარაუდო შედეგებს იძლევა.

საკვანძო სიტყვები:

ტექსტის ამოცნობა, საუბრის ანალიტიკა, სატელეფონო ცენტრი, საუბრის ამოცნობის სისტემა, ზარზე მუშაობის საშუალო ხანგრძლივობა

დღეისათვის სატელეფონო ცენტრების უმეტესობას აქვს ელექტრონული სისტემა, რომელიც მენეჯერებს საშუალებას აძლევს მომენტალურად მიიღონ წვდომა ცენტრის მუშაობის როგორც მიმდინარე, ისე გასული დღეების კრიტიკულ მაჩვენებლებზე, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ცენტრის პროდუქტიულობის ასამაღლებლად [1].

საუბრის ანალიტიკა არის საუბრის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით ხმის ჩანაწერების ან მიმდინარე ზარების ანალიზის პროცესი. მისი მიზანია ზარის შინაარსიდან სასარგებლო ინფორმაციის მოძიება და საუბრის ხარისხის გაუმჯობესება. საუბრის ანალიზი მომხმარებლის საუბარში ამოცნობს სიტყვებს და აუდიო შაბლონებს.

საუბრის აღქმა კომპიუტერული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეს ინტერდისციპლინარულია: ის მოიცავს რთულ ლინგვისტიკას, მათემატიკასა და გამოთვლებს [2].

არსებობს ოთხი ძირითადი მიდგომა, რომლის საშუალებითაც კომპიუტერს შეუძლია წარმოთქმული ბგერების წერილობით სიტყვებად გარდაქმნა:

- **შაბლონური შედარება** – კომპიუტერს ყოველი სიტყვისათვის აქვს შესაბამისი შაბლონი. სიტყვის მოსმენისას ხდება მისი შედარება ამ შაბლონებთან და დამთხვევისას სიტყვა ამოცნობილად ფიქსირდება.
- **შაბლონებისა და მახასიათებლების ანალიზი** – სიტყვები იყოფა შემადგენელ ნაწილებად და ხდება მათი ამოცნობა საკვანძო მახასიათებლებით, მაგალითად, ხმოვნებით.

- **ენის მოდელირება და სტატისტიკური ანალიზი** – ამ მიდგომის გამოყენებისათვის სისტემას უნდა ჰქონდეს გრამატიკის ცოდნა. სიტყვის ამოცნობისათვის გამოიყენება იმის ალბათობა, თუ რა სიტყვა შეიძლება გვხვდებოდეს ამა თუ იმ სიტყვის შემდეგ.
- **ხელოვნური ნეირონული ქსელები** – ტვინის მსგავსი მოდელები, რომლებსაც ხანგრძლივი სწავლების შემდეგ შეუძლია შაბლონების საიმედოდ ამოცნობა.

საუბრის ამოცნობის ყველაზე მარტივი გზა შაბლონური შედარებაა [3]. როგორც წესი, ის გამოიყენება მარტივი მოთხოვნების შესასრულებლად. მაგალითად, ბანკის ავტომოპასუხე მომხმარებელს აძლევს რამდენიმე არჩევანს ნომრების სახით, რის შემდეგაც მომხმარებელი დაასახელებს თავისი არჩევანის შესაბამის ციფრს. ასეთ სისტემაში საჭიროა მხოლოდ ელემენტის ამორჩევა მოკლე სიიდან. ამიტომ კომპიუტერს, რომელზეც სისტემაა დაყენებული, არ უწევს რთული გამოთვლების ჩატარება. მას არ სჭირდება სინტაქსის ან სემანტიკის ცოდნა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი სისტემები რეალურად საუბრის ამოცნობას არ ახდენენ, ისინი უბრალოდ 10 სხვადასხვა სიგნალს განარჩევენ ერთმანეთისაგან (წარმოთქმული ციფრები 0-დან 9-ის ჩათვლით).

მართალია, 10 ციფრის ფარგლებშიც შეიძლება ფართო ცვალებადობა იყოს, რადგან ყველა ადამიანი ზუსტად ერთნაირად არ წარმოთქვამს სიტყვებს „ოთხი“ ან „ნული“, მაგრამ ეს 10 ციფრი ერთმანეთისგან საკმარისად განსხვავებულია და სისტემისათვის მათი ერთმანეთისაგან გარჩევა დიდ პრობლემას არ წამოადგენს.


ავტომატური გადართვის სისტემები, როგორც წესი, საიმედოდ მუშაობენ, რადგან მათ ძალიან მცირე ლექსიკონი აქვთ: ძირითადად ათი სიტყვა ათი ციფრის წარმოსადგენად. ლექსიკონს, რომელთანაც ესა თუ ის სისტემა მუშაობს, ეწოდება მისი სფერო. ადრეული საუბრის ამომცნობი სისტემები ოპტიმიზებული იყო მცირე სფეროებზე, როგორც არის ექიმის ჩანაწერები, კომპიუტერული ბრძანებები და ლოკალური ჟარგონი. ეს საუბრის ამოცნობის პრობლემას გაცილებით ამარტივებდა (იმიტომ, რომ ლექსიკონი ძალიან მცირე იყო და სისტემას წინასწარ „ასწავლიდნენ“ საჭირო სიტყვებს).

ადამიანის ლექსიკონი შედგება ასობით გავრცელებული და ათასობით ნაკლებად გავრცელებული სიტყვისაგან. თეორიულად, შესაძლებელია სისტემას ვასწავლოთ სრული ლექსიკონი. ამისათვის საჭიროა მიკროფონში ყოველი სიტყვა 3-4-ჯერ წავიკითხოთ [4].

ამ მიდგომის უარყოფითი მხარეა მისი არაეფექტურობა. სისტემას უნდა ვასწავლოთ ყოველი სიტყვის ამოცნობა ცალ-ცალკე, როდესაც ყველა ეს სიტყვა ბგერების ერთი და იგივე კომპლექტისაგან შედგება. მაგალითად, ადამიანს არ სჭირდება ავტომობილის ყველა მოდელის ნახვა იმის მისახვედრად, რომ მის თვალწინ არსებული საგანი ავტომობილია. ცხოვრების განმავლობაში მრავალი ავტომობილის ნახვის შედეგად, ტვინში იქმნება ე. წ. პროტოტიპი. ამის შემდეგ, როდესაც ისეთ ავტომობილს ვხვდავთ, რომელიც ადრე ნანახი არ გვქონდა, ვადარებთ მას პროტოტიპს და ვხვდებით, რომ ის ავტომობილია. ანალოგიურად, სიტყვის ამოცნობისთვის არ გვჭირდება მსოფლიოში ყოველი ადამიანის მიერ წარმოთქმული ყველა სიტყვის მოსმენა. სიტყვების ამოცნობას ვახდენთ მათი საკვანძო მახასიათებლების ცნობით.

საუბრის ამომცნობი სისტემები მუშაობას იწყებენ ხმის მონაკვეთის მოსმენით, მიკროფონის გამოყენებით. პირველი საფეხური არის ხმის ციფრულ ფორმაში გარდაქმნა. შემდეგ, ციფრული მონაცემები გარდაიქმნება სპექტროგრამაში (გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს დროის განმავლობაში ხმის სიხშირის ცვლილებას) და დაიყოფა ურთიერთგადამკვეთ ნაწილებად – აკუსტიკურ კადრებად, რომელთა საშუალო ხანგრძლივობა 1/25-დან 1/50 წამამდეა (სურ.1). ამ კადრების ციფრული დამუშავებისა და ანალიზის შედეგად ხდება მათი შემადგენელი სასაუბრო კომპონენტების პოვნა. მოსმენილი საუბრის სიტყვებად დაყოფისა და ამ სიტყვების

საკვანძო თვისებების პოვნის შემდეგ საჭიროა მათი შედარება ფონეტიკურ ლექსიკონთან (ცნობილი სიტყვებისა და მათი დამახასიათებელი თვისებების სია), რის შედეგადაც ვიგებთ, სავარაუდოდ რა იყო ნათქვამი. საუბრის ამოცნობას სიტყვა „სავარაუდოდ“ ყოველთვის ახასიათებს, რადგან მხოლოდ მოსაუბრემ იცის 100%-იანი სიზუსტით, თუ რა იყო ნათქვამი.



სურ. 1. ხმოვანი ჩანაწერი, წარმოდგენილი სპექტროგრამის სახით

სპექტროგრამა სამგანზომილებიანი გრაფიკია: დრო წარმოდგენილია ჰორიზონტალურ ღერძზე, სიხშირე – ვერტიკალურზე, ხმამაღლობა ნაჩვენებია გრაფიკის ფერით, რაც გვიჩვენებს ყოველი სიხშირის ხმამაღლობას დროის მოცემულ მონაკვეთში.

თეორიულად, რადგანაც სასაუბრო ენები შედგება მცირე რაოდენობის ფონემებისგან (ქართულ ენაში 33, ინგლისურში – დაახლოებით 46), შეგვიძლია ყველა სიტყვა ამოვიცნოთ, თუ ვისწავლით ბგერების ცნობას. იმის ნაცვლად, რომ ვისწავლოთ დაახლოებით 40 000 სიტყვა, დაგვჭირდება მხოლოდ 33 ელემენტის სწავლა.

პრაქტიკაში, საუბრის ამოცნობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ბგერების ამოცნობა და მათი შედარება შენახულ შაბლონებთან. ამისთვის არსებობს რამდენიმე მიზეზი:

- საუბარი ძალიან ცვალებადია: სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვანაირად საუბრობენ (იმის მიუხედავად, რომ ყველა იყენებს ერთსა და იმავე სიტყვას და თეორიულად ყველა სიტყვა ფონემების ერთი და იგივე კომპლექტისგან შედგება).
- სიტყვებს ყოველთვის ერთნაირად არ წარმოვთქვამთ. ასეც რომ იყოს, სიტყვის წარმოთქმაზე გავლენას ახდენს მისი წინა ან მომდევნო სიტყვა.
- ადამიანის ლექსიკონის ზრდასთან ერთად იზრდება ისეთი სიტყვების რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთის მსგავსად ჟღერს. ციფრები 0-დან 9-ის ჩათვლით ჟღერადობით საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან, თუმცა სიტყვები „ხუთი“ და „ყუთი“ ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამის გამო, ციფრების ამოცნობა 50 000 სიტყვიან ლექსიკონში ბევრად უფრო რთულია, ვიდრე 10 სიტყვიან (მხოლოდ ციფრები) ლექსიკონში.
- რაც უფრო მეტ მოსაუბრეს უსმენს სისტემა, მით მეტი ცვალებადობა უნდა გაითვალისწინოს მან და მეტად გაიზრდება შეცდომების ალბათობა.

საუბრის ამოცნობისათვის ელემენტების იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის საკმარისი. ეფექტურობისათვის აუცილებელია ენის მოდელის გათვალისწინება. ყოვე-

ლი წარმოთქმული სიტყვა დამოკიდებულია მის წინა ან მომდევნო სიტყვაზე. გრამატიკის წესები ზოგიერთი სიტყვის ერთმანეთის მიყოლებით წარმოთქმას გამორიცხავს.

პრაქტიკულად ყველა საუბრის ამოცნობის სისტემა იყენებს სტატისტიკურ ანალიზს. ბგერებისა და სიტყვების თანამიმდევრობის ალბათობა, ბგერებს შორის სიჩუმის ალბათობა – ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს სისტემის მუშაობის ეფექტურობაზე. კომპიუტერისათვის საუბრის ამოცნობა ყოველთვის არის სავარაუდო პასუხებს შორის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ვერსიის არჩევა და სწორი პასუხის ცოდნა შეუძლებელია იქამდე, სანამ თვითონ მოსაუბრე არ გაასწორებს ან დაადასტურებს ამოცნობილ სიტყვებს.

დღეისათვის ძალიან მცირე რაოდენობის სერვისი არსებობს ქართული საუბრის ავტომატური ამოცნობისათვის [5-8]. ერთ-ერთი მათგანი არის Google Cloud Speech სერვისი. Google-ის ეს ტექნოლოგია იყენებს ძლიერ ნეირონულ ქსელს და შეუძლია 120 ენის საუბრის ამოცნობა.

Google გვთავაზობს API-ს, რისი გამოყენებითაც შეგვიძლია ჩვენ მიერ შექმნილ აპლიკაციაში გამოვიყენოთ Cloud Speech სერვისი. C# პროგრამისთვის საწყისი კოდი შემდეგნაირად გამოიყურება:

```
using System;
using Google.Cloud.Speech.V1;

namespace NodoSpeechRecognition
{
    class Program
    {
        public static void Main(string[] args)
        {
            var speech = SpeechClient.Create();
            var config = new RecognitionConfig
            {
                Encoding =
                RecognitionConfig.Types
                .AudioEncoding.Flac,
                SampleRateHertz = 8000,
                LanguageCode = "ka-GE"
            };
            var audio = RecognitionAudio
            .FromFile(@"C:\TestSpeechAudio.flac");
            var response = speech.Recognize(config, audio);

            foreach (var result in response.Results)
            {
                foreach (var alternative in
                result.Alternatives)
                {
                    Console.
                    WriteLine(alternative.Transcript);
                }
            }
        }
    }
}
```

```

    }
  }
}

```

მოცემული კოდი კითხულობს ფაილს, სახელად TestSpeechAudio.flac და აგზავნის მისი შემცველი საუბრის ამოცნობის მოთხოვნას Google-ის სერვისში.

Encoding პარამეტრი აღნიშნავს დასამუშავებელი ფაილის გაფართოებას, ჩვენს შემთხვევაში ეს არის FLAC ფორმატი, რომელიც MP3-საგან განსხვავებით, ხმოვანი ჩანაწერის შეკუმშვას ახდენს ხარისხის შემცირების გარეშე.

LanguageCode – ამოსაცნობი ტექსტის ენის კოდია. ქართული ენის შემთხვევაში კოდი არის „ka-GE“.


„var response = speech.Recognize(config, audio);“ – კოდის ეს სტრიქონი არის უშუალოდ სერვისისადმი მიმართვის ბრძანება. ის პარამეტრებად იღებს კონფიგურაციისა და ფაილის მისამართის შემცველ ცვლადებს. მიღებული შედეგი ჩაიწერება response ცვლადში.

დაბრუნებული შედეგი შეიძლება შეიცავდეს ამოცნობილი ტექსტის რამდენიმე შესაძლო მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში result.Alternatives ველს ექნება რამდენიმე ტექსტური მნიშვნელობა.

სურათზე ნაჩვენებია აპლიკაცია, რომელიც ამოცნობილი ტექსტის მიხედვით მომხმარებელს სთავაზობს მისამართის ან შემთხვევის ტიპის სავარაუდო მნიშვნელობებს (სურ. 2).

ეს პროგრამა შექმნილია გადაუდებელი რეაგირების ცენტრის სამუშაო პროცესში საუბრის ანალიტიკის გამოყენების დემონსტრირებისათვის. მასში შეტანილია საქართველოს რამდენიმე მისამართი და შემთხვევის რამდენიმე ტიპი.


მომხმარებელი აჭერს „ხმის ჩაწერა“ ღილაკს, საუბრობს და ხმის ჩაწერას „დასრულება“ ღილაკით წყვეტს. ჩაწერის შემდეგ, „საუბრის ამოცნობა“ ღილაკზე დაჭერით „ამოცნობილი ტექსტი“ ველში ვხედავთ მის მიერ წარმოთქმულ ტექსტს. ტექსტის ამოცნობისთანავე, პროგრამა ტექსტური ძებნის ალგორითმების გამოყენებით ეძებს სიებში ამოცნობილი სიტყვების შემცველ მნიშვნელობებს.



სურ. 2. საუბრის ანალიტიკის დემონსტრირება მისამართის ამოცნობისათვის

მოცემულ მაგალითში, პროგრამის მიერ ამოცნობილი ტექსტის მიხედვით მოიძებნა „9 აპრილის ქუჩა“ ქალაქ თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში (სურ. 3).

შემდეგ სურათზე მოცემულია მაგალითი, რომელშიც ამოცნობილი ტექსტი შეიცავს მაღალი წნევის შემთხვევის ტიპს.



სურ. 3. საუბრის ანალიტიკის დემონსტრირება დაავადების ამოცნობისათვის

მსგავსი სისტემის სატელეფონო ცენტრში დანერგვა საშუალებას მისცემს ოპერატორს შეამციროს ზარზე მუშაობის ის დრო, რომელიც საჭიროა მისამართისა და შემთხვევის ტიპის მოსაძებნად. რა თქმა უნდა, სისტემა აბსოლუტურად ზუსტი ვერ იქნება, რადგან ხმის ამოცნობის ტექნოლოგია ყოველთვის სავარაუდო შედეგებს იძლევა. ამიტომ, ოპერატორს უნდა ჰქონდეს არჩევანი, ჩასვას თუ არა სისტემის მიერ შეთავაზებული მნიშვნელობა საქმეში.

Text Recognition Technology from the Conversation

Ana Kobiashvili, Nodar Darchiashvili, Meri Gegechkori

Summary

Every telephone center daily has hundreds and thousands of calls. Due to this, it is necessary to collect and analyze the data to improve the quality of service. The need to increase the productivity of the center has led to the need for creating electronic systems that enable managers to get instant access to the critical performance of the Center's work. One of the main functions of such an electronic system is the use of voice recordings or current calls using speech recognition technology that aims to find useful information from the incoming call content and improve the quality of the conversation.

The article discusses the program, which was created to demonstrate the use of analytics in the working process of the emergency response center.

The introduction of a similar system in the telephone center will allow the operator to reduce the time of the call, which is caused by the search of the type and address of the accident. The system cannot be absolutely accurate, because the voice recognition technology always gives probable results.

Технология распознавания текста из разговора

Анна Кобиашвили, Нодар Дарчиашвили, Мери Гегечкори

Резюме

Каждый телефонный центр ежедневно получает сотни и тысячи звонков. В связи с этим необходимо собирать и анализировать данные для улучшения качества обслуживания. Необходимость повышения производительности центра привела к необходимости создания электронных систем, которые позволят менеджерам получить мгновенный доступ к критически важным показателям работы центра. Одной из основных функций такой электронной системы является использование голосовых записей или текущих вызовов с использованием технологии распознавания речи, целью которой является поиск полезной информации из содержимого входящего вызова и повышение качества разговора.

В статье рассматривается программа, которая была создана для демонстрации использования аналитики в рабочем процессе центра аварийного реагирования.

Внедрение аналогичной системы в телефонном центре позволит оператору сократить время разговора, которое обусловлено поиском типа и адреса аварии. Система не может быть абсолютно точной, потому что технология распознавания голоса всегда дает вероятные результаты.

ლიტერატურა – References – Литература

1. <https://www.explainthatstuff.com/voicerecognition.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
2. <https://medium.com/swlh/the-past-present-and-future-of-speech-recognition-technology-cf13c179aaf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
3. http://www.doc.ic.ac.uk/~nd/surprise_95/journal/vol1/ks4/article1.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
4. <https://www.tenfold.com/business-development/benefits-speech-analytics-customer-support-call-centers>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
5. <https://www.analyticsindiamag.com/doing-more-with-real-time-speech-analytics-a-showcase/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
6. <http://www.nexidia.com/about-nexidia/news/what-every-call-center-needs-to-know-about-speech-analytics/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
7. <http://www.nexidia.com/about-nexidia/news/what-every-call-center-needs-to-know-about-speech-analytics/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.
8. <https://cloud.google.com/speech-to-text/>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17.10.2019.

პროგრამული უზრუნველყოფის მოდულური ტესტირება

ანა კობიაშვილი, თამაზ ვეკუა

anakobia@hotmail.com, tazo.vekua@gmail.com

რეზიუმე

კომპიუტერის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამული უზრუნველყოფის გამართული მუშაობა. სხვადასხვა აპლიკაციის ფუნქციონირებისას გაჩენილმა შეცდომებმა და უწყესიგრობებმა შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები. ამიტომ უაღრესად აქტუალურია პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფილი ტესტირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამული პროდუქტის მაღალი ხარისხი. ტესტირება ნებისმიერი პროგრამის სასიცოცხლო ციკლის განუყოფელი ნაწილია; ის დამკვეთს აძლევს გარანტიას მიიღოს მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტი, რომელშიც იქნება მინიმალური შეცდომები. ტესტირება ასევე საშუალებას აძლევს ბიზნესის წარმომადგენლებს შეაფასონ პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებული ბიზნეს რისკები, და დაადგინონ, რამდენად გამოსადეგია ეს პროგრამული საშუალებები მოხმარებისათვის.

სტატიაში განხილულია პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი კონკრეტული ფორმა – მოდულური ტესტირება, მისი დანიშნულება, მასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოყვანილია მოდულური ტესტირების შესახებ ჩატარებული კვლევების რიცხვითი მონაცემები, გაანალიზებულია კვლევების შედეგები, გამოკვეთილია ტესტირების ამ ფორმისადმი პრაქტიკოსი დეველოპერების დამოკიდებულება.

საკვანძო სიტყვები:

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება, მოდულური ტესტირება, ტესტერი, ფრეიმვორკი, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება არის პროგრამული საშუალებების და მათი შესაბამისი დოკუმენტაციის დეფექტების აღმოჩენისა და ანალიზის პროცესი, რომლის მიზანია პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის გაუმჯობესება [1].

მოდულური ტესტირება (Unit Testing) არის ტესტირების სახე, რომლის მიზანია პროგრამის საწყისი კოდის ცალკეული მოდულების შემოწმება კორექტულობაზე [2]. ტესტირების ამ ხერხის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ტესტები იწერება ყოველი არატრივიალური ფუნქციის ან მეთოდისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს საკმაოდ სწრაფად შევამოწმოთ, კოდის ყოველმა ახალმა ცვლილებამ ხომ არ გამოიწვია შეცდომების გაჩენა პროგრამის უკვე ტესტირებულ ადგილებში, და ასევე ამარტივებს ასეთი შეცდომების აღმოჩენისა და გასწორების პროცესს.


დღეს თითქმის ყველა პროგრამულ ენას გააჩნია საკუთარი ფრეიმვორკი მოდულური ტესტირებისათვის. მაგალითად, Java-სთვის არსებობს Junit, C#-ისთვის – NUnit და ა. შ.). ეს ფრეიმვორკები საშუალებას იძლევა დაიწეროს მცირე ავტომატური მოდულური ტესტები. დღესდღეობით მოდულური ტესტირება გახდა მიღებული პრაქტიკა პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებისას, თუმცა პროგრამის ხარისხი მაინც პრობლემად რჩება. პროგრამული საინჟინრო მკვლევარები ამტიკიცებენ, რომ საჭიროა პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების შემდგომი განვითარება.

მოდულური ტესტირების მიზანია მოხდეს პროგრამის კოდის კონკრეტული ნაწილის ფუნქციონალის შემოწმება მეთოდის დონეზე [3]. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამება-

ში ასეთი სახის ტესტირება დაყვანილია კლასის დონეზე, ხოლო მინიმალური დონეა კონსტრუქტორების ტესტირება. მოდულურ ტესტებს, როგორც წესი, წერენ დეველოპერები, რათა დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული მეთოდი მუშაობს ისე, როგორც მათ ჩაიფიქრეს და განახორციელეს. კონკრეტულ მეთოდს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ტესტი იმისათვის, რომ მოხდეს მისი ტესტირება ყველა იმ შესაძლო პარამეტრით, რაც შეიძლება გადაეცეს მეთოდს.

მოდულურ ტესტებს ძირითადად დეველოპერები წერენ იმიტომ, რომ კოდის წერის პარალელურად შეამოწმონ მათ მიერ დაწერილი მეთოდები და პროგრამის თვისებები. ბოლო პერიოდში ტარდება არაერთი კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოდულური ტესტების წერა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების თანახმად, კითხვაზე, თუ რა აძლევთ მოტივაციას დეველოპერებს წერონ მოდულური ტესტები, ყველაზე მეტმა გამოკითხულმა გასცა პასუხი, რომ ისინი წერენ მოდულურ ტესტებს საკუთარი სურვილის გამო, რადგან მათ სჯერათ, რომ ეს მათ ეხმარება უფრო მეტად უშეცდომოდ და ეფექტიანი კოდის შექმნაში. საინტერესო ფაქტი ისაა, რომ ამ კითხვაზე არანაკლებმა რაოდენობამ უპასუხა, რომ ეს მხოლოდ მენეჯმენტის მოთხოვნილებაა, თუმცა მენეჯმენტი დიდი სიამოვნებით შეამცირებდა ტესტირების ვადას იმის გამო, რომ პროდუქტი დროულად ჩაებარებინათ. მე-3 და მე-4 ადგილი დაიკავა პასუხებმა, რომლის თანახმად, ტესტების წერა დამკვეთის მოთხოვნაა. (ნახ. 1).




ნახ. 1. მოდულური ტესტების წერის მიზეზები


კვლევა ჩატარებულია ასევე პროგრამის წერისას დეველოპერების მიერ დროის ხარჯვის საკითხთან დაკავშირებით. პროგრამისტები დროის უმეტეს ნაწილს, კერძოდ, 33.04%-ს ხარჯავენ ახალი კოდის წერაზე, დროის 25.32%-ს ხარჯავენ პროგრამის გასამართად, დროის 17.4%-ს ხარჯავენ კოდის რეფაქტორინგში, ტესტების დაწერაში ხარჯავენ დროის 15.8%-ს, ხოლო დროის 8.4%-ს ხარჯავენ სხვა საკითხებში (ნახ. 2).

მოდულური ტესტების წერა ძალიან დიდ გავლენას ახდენს პროგრამის გამართვასა და რეფაქტორინგზე დახარჯულ დროზე (საშუალოდ 25.32% + 17.40%).

კითხვაზე, თუ როგორ იქცეოდნენ პროგრამისტები იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ტესტი ვერ გაივლიდა წარმატებით, 47.02% ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კოდის შესწორება, 25.3% ცვლის ტესტის ლოგიკას იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს პროგრამა. პროგრამისტების 15.6% საერთოდ შლის არსებულ მოდულურ ტესტს, ხოლო 11.2% ტესტის შეცდომას საერთოდ იგნორირებას უკეთებს. ამ კითხვაზე პასუხები საკმაოდ ჰომოგენურია ჯგუფების მიხედვით. პროგრამისტები 10 წელზე მეტი გამოცდილებით უფრო მეტად ფიქრობენ კოდის გასწორებაზე, ვიდრე სხვები, და აცხადებენ, რომ არასწორი ტესტები, რომლებმაც ვერ გაიარა წარმატებით, უნდა წაიშალოს ან მოხდეს მათი იგნორირება, ხოლო პროგრამისტები 1-3 წლამდე გამოცდილებით ფიქრობენ საპირისპიროს (ნახ. 3).



ნახ. 2. პროგრამის წერისას დროის დანახარჯის განაწილება



ნახ. 3. პროგრამის ტესტის წარუმატებლობის შემთხვევაში

კიდევ ერთი საინტერესო კითხვა დეველოპერებისთვის არის ის, თუ რომელ ტექნიკას იყენებენ, როდესაც წერენ მოდულურ ტესტებს. დეველოპერების უმეტესობა, როგორც ჩანს, ტესტების წერისას იყენებს სისტემურ მიდგომებს. მთლიანი კოდის ამოწურვითი ტესტირება არის გაცემულ პასუხებს შორის მეორე საუკეთესო. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პროგრამისტების 54% საკმაოდ ხშირად იყენებს ტესტების ავტომატური გენერირების ფუნქციას. შემდეგ მოდის მუტაციური ანალიზი; მას უფრო იშვიათად იყენებენ, რადგანაც ის მიჩნეულია რთულ ტექნიკად, რაც მკვლევარებს მოსწონთ, თუმცა არ ელოდებიან იმას, რომ ეს ტექნიკა იქნება ხშირად გამოყენებული. ქვედა საფეხურებზე კი მოდის სტაბინგი და მოკინგი (იზოლირებულ გარემოში ტესტვა). ეს ორი ტექნიკა შეესაბამება ტესტების ავტომატურ გენერირებას, ამ ტექნიკებით შესაძლებელია დაფარვის მარტივად მიღწევა.

აღმოჩნდა, რომ ახალი ტესტის წერისას ყველაზე რთულია იმის იდენტიფიცირება, თუ კოდის რა ნაწილი უნდა იქნეს ტესტირებული, შემდეგი პრობლემა არის, თუ რა უნდა შემოწმდეს ტესტში. ტესტი გენერირებულიც რომ იყოს ტესტის ავტომატურად მაგენერირებელი ინსტრუმენტის მიერ, ეს შემდგომში მაინც რჩება პრობლემად ამჯერად უკვე ტესტირისათვის. მესამე ადგილზე არის პრობლემა – ერთეულის იზოლაცია ტესტირების დროს. ეს არის მთავარი გამოწვევა ავტომატური ტესტის გენერაციისათვის. ძალიან მცირე რაოდენობის ინსტრუმენტი თუ არსებობს, რომელიც იქნება ამ პრობლემის მხარდამჭერი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მხრივ არსებობს პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების გაუმჯობესების შესაძლებლობა. ეს პრობლემა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორაა დაწერილი დეველოპერის მიერ კოდი, რამდენად შესაძლებელია მისი ტესტირება და, საზოგადოდ, შეძლებს თუ არა ავტომატური ტესტების ინსტრუმენტი გაუმკლავდეს ამ პრობლემას.

კვლევის მონაწილე 171 დეველოპერმა 29 ქვეყნიდან დაადასტურა, რომ მოდულური ტესტირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროგრამული უზრუნველყოფის წერის დროს [4-6]. უფრო კონკრეტულად, მათი 12% საერთოდ არ წერს ტესტებს, ხოლო დანარჩენ 88%-ს ძლიერი სურვილი აქვს ჰქონდეთ კიდევ უფრო მეტი ტესტი და პროგრამის შექმნისას დროის 15.8%-ს ხარჯავენ ამაში.

Mockito არის Java-ს ბიბლიოთეკა, რომელიც გამოიყენება მოდულური ტესტების ეფექტურად ჩასატარებლად. Mockito გამოიყენება ინტერფეისების იმიტირებისათვის. Mockito-ს მეშვეობით შესაძლებელია ფუნქციის ტესტირება სხვა ფუნქციებისაგან იზოლირებულ გარემოში; ის არ საჭიროებს ბაზასთან კავშირს, „მოკირებული“ ობიექტები ქმნიან რეალური ობიექტების დუბლირებულ სახეს.

განვიხილოთ მოდულური ტესტირების მაგალითი Mockito-სა და Junit-ის გამოყენებით.

შევქმნათ ინტერფეისი სახელად StringService, რომელშიც გამოყენებული იქნება მეთოდი Concatenate(),

```
public interface StringService {
    public string Concatenate(String a, String b);
}
შევქმნათ კლასი StringMethods
public class StringMethods {
    private StringService stringService;

    public void setStringService(StringService stringService){
        this.stringService = stringService;
    }

    public string Concatenate(String a, String b){
        return stringService.Concatenate(string a, string b);
    }
}
```

ბოლოს შევქმნათ StringMethods კლასის ტესტ კლასი. ხოლო StringService-ისათვის გამოვიყენოთ Mockito.

```
import static org.mockito.Mockito.when;
import org.junit.Assert;
import org.junit.Test;
import org.junit.runner.RunWith;
import org.mockito.InjectMocks;
import org.mockito.Mock;
import org.mockito.runners.MockitoJUnitRunner;

@RunWith (MockitoJUnitRunner.class)
```

```
public class StringMethodsTest {
    @InjectMocks
    StringMethods stringMethods = new stringMethods();

    @Mock
    StringService stringService;

    @Test
    public void ConcatenateTest(){
        //Mockito-ს მეშვეობით შექმნილი StringService მეთოდის იმიტირება.
        when(stringService.Concatenate("Saxeli", "Gvari")).thenReturn("SaxeliGvari");

        //Concatenate ფუნქციონალის ტესტირება
        Assert.assertEquals(StringMethods.Concatenate("Saxeli", "Gvari"), "SaxeliGvari");
    }
}
```

როგორც მარტივი ტესტის შედეგად გამოვლინდა, JUnit ერთეულის ტესტების განხორციელების ყველაზე ეფექტური გზაა org.junit.Assert-ის კლასში გამოყენებული მეთოდების გამოყენება.

მოდულური ტესტირებისას, როგორც ჩანს, გარკვეულ სირთულეებსაც აწყდებიან, როგორცაა კოდის იმ ნაწილის იდენტიფიკაცია, რომელიც უნდა შემოწმდეს, ასევე თვითონ ტესტის პროცესის შექმნა, თუ რა უნდა შეამოწმონ ტესტში, დაბოლოს, პროგრამის დაწერილი კოდი, რომელიც ადვილად შესამოწმებელი უნდა იყოს. მას უნდა შეეძლოს მონაცემთა ბაზის, ფაილების სისტემის და ა. შ. იზოლირება. ამ კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ტესტირება საკმაოდ დიდ როლს ასრულებს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისას.

Software Unit Testing

Ana Kobiashvili, Tamaz Vekua

Summary

Software performance is very important for the normal functioning of a computer. Errors and malfunctions when operating different applications can cause serious problems. Therefore, comprehensive software testing is extremely important to ensure a high quality of software product. Testing is an integral part of any program life cycle; it guarantees the customer a product that meets the requirements, with minimal errors. Testing also enables business representatives to evaluate the business risks of the software, and to determine how useful these tools are for use.

The article discusses one particular form of software – unit testing, its purpose, and related problems.

Numerical data on unit testing is presented, the results of researches are analyzed, and the attitude of developers practicing this form of testing is demonstrated.

Модульное тестирование программного обеспечения

Анна Кобиашвили, Тамаз Векуа

Резюме

Производительность программного обеспечения очень важна для нормального функционирования компьютера. Ошибки и неисправности при работе различных приложений могут вызвать серьезные проблемы. Поэтому, комплексное тестирование программного обеспечения чрезвычайно важно для обеспечения высокого качества программного продукта. Тестирование является неотъемлемой частью жизненного цикла любой программы; оно гарантирует заказчику продукт, соответствующий требованиям, с минимальными ошибками. Тестирование также позволяет представителям бизнеса оценить бизнес-риски программного обеспечения и определить, насколько полезны эти инструменты для эксплуатации.

В статье обсуждается одна конкретная форма программного обеспечения – модульное тестирование, его назначение и связанные с ним проблемы.

Приводятся числовые данные о модульном тестировании, анализируются результаты исследований и демонстрируется отношение разработчиков, практикующих эту форму тестирования.

ლიტერატურა – References – Литература

1. https://en.wikipedia.org/wiki/Software_testing (ვიკიპედია). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 07.2019.
2. Software testing – TutorialsPoint.
(https://www.tutorialspoint.com/software_testing/index.htm). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12. 06.2019.
3. <http://tutorials.jenkov.com/java-unit-testing/simple-test.html>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 07.2019.
4. https://www.tutorialspoint.com/mockito/mockito_overview.htm. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 07.2019.
5. <http://tutorials.jenkov.com/java-unit-testing/asserts.html>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 07.2019.
6. A Survey on Unit Testing Practices and Problems – Ermira Daka and Gordon Fraser University of Sheffield Sheffield, United Kingdom. {ermira.daka,gordon.fraser}@sheffield.ac.uk. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 07.2019.

უცხოური ენის შესწავლის გაუმჯობესება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით

ვახტანგ ველიაშვილი, ეკატერინე ჩიკაშუა

vato@lingwing.com

რეზიუმე

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ინფორმაციის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება უცხოური ენების შესწავლის სფეროს ძირითად ინტერესად იქცა. კვლევის შედეგები გარკვეულ მტკიცებულებებს იძლევა, რომ ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება დადებით ეფექტს ახდენს სტუდენტებზე. ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შეიძლება ჩაითვალოს სწავლის და სწავლების ახალ მოდელად. ეს კვლევა მიზნად ისახავს განიხილოს ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობები ენების სწავლების სფეროში. ასევე, სხვადასხვა მაგალითები მოიყვანოს ინფორმაციის და კომუნიკაციის მეშვეობით უცხოური ენის სწავლების შესახებ. კვლევა გამყარებულია ქართული პლატფორმა Lingwing-ის მონაცემების მიხედვით და მიღწეული შედეგებით.

საკვანძო სიტყვები:

ინფორმაციის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უცხოური ენების სწავლა, ონლაინ სწავლა

შესავალი

ინგლისურის ენის შესწავლის (როგორც მეორე ენა) და ინგლისურის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით, ჩვენს ქვეყანაში მრავალი მიდგომა და მეთოდი გამოიყენება, მაგრამ მათი უმრავლესობა ტრადიციულია, ნაკლებად საინტერესო, არაეფექტური და ნაკლები მოტივაციის მიმცემი სტუდენტისთვის. ამრიგად, აუცილებელია კომპიუტერული ტექნოლოგიების (ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის) თანამედროვე მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, რათა სტუდენტებმა ენის ასათვისებლად განივითარონ ძირითადი უნარები (მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ბევრი რამ აქვს შესათავაზებელი როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის მათი ლექსიკის გაღრმავებისა და ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით.

დღესდღეობით, ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და მიდგომები ფართოდ გამოიყენება მათი მოხერხებულობის, ყოვლისმომცველობის, ეფექტურობისა და ეკონომიურობის გამო. ამ მიდგომებიდან, საშუალებებიდან ზოგიერთი არის კომპიუტერის დახმარებით: სწავლება (CAI), ენების შეფასება (CALA), ენის ინსტრუქტაჟი (CALI), ენის სწავლება (CALL); მობილურის დახმარებით ენების სწავლება (MALL); ენის სწავლების გაუმჯობესებული ტექნოლოგია (TELL); ბლოგები; ვიკიპედია; ციფრული ბიბლიოთეკა; მულტიმედია; მობილური სწავლება; ვირტუალური საკლასო ოთახები; დოკუმენტური ფილმები; ციფრული მოთხრობები; მობილური პროგრამები და ა.შ.; ციფრული ნოუტბუქები; ტაბლეტები; სმარტფონები; ჩაწერილი აუდიო-ვიდეო მასალები; ონლაინ სალაპარაკო გაკვეთილები; ციფრული გამოთქმების ლექსიკონები და ა.შ.

თანამედროვე კვლევები აჩვენებს ინგლისური ენის სწავლების სფეროში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციისა და ინგლისურენოვანი უნარების განვითარების დადებით შედეგებს. ამ საშუალებებმა განაპირობა

ინდივიდუალური სწავლის გზა და უზრუნველყო სწავლის თავისუფლება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას, მოსწავლეთა საჭიროებისა და მოხერხებულობის შესაბამისად. ამრიგად, უცხოური ენის სწავლების სფეროში შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების საკითხებში, რათა ამაღლდეს მოსწავლეების უცხოური ენების ცოდნის დონე.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უცხოური ენების სწავლების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ხელსაწყოები და აპლიკაციები:

1. კომპიუტერი

ეს არის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ხერხემალი. თანამედროვე კომუნიკაციის პროცესები შეუძლებელია კომპიუტერების გამოყენების გარეშე. ის აუცილებელია და სასარგებლო კომუნიკაციისთვის მონაცემების მომზადების, შეგროვებისა და შენახვისთვის, მოსმენისა და მეტყველების უნარის, ასევე უცხოურ ენებზე საუბრისა და მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

2. პროექტორი

პროექტორი მნიშვნელოვანი საშუალებაა ბევრი ადამიანისთვის ინფორმაციისა და პროცესების ერთდროულად წარმოსადგენად. მისი გამოყენება შესაძლებელია სწავლებასა და მომზადებაში.

3. რადიო

რადიო ძალზე გამოსადეგია სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთა განათლებისა და სწავლების პროცესში. მრავალი დისტანციური და ღია სასწავლო პროგრამა ტარდება რადიოს დახმარებით. ასევე გამოიყენება აუდიო კონფერენციებში. რადიოთი გადაცემული პროგრამები ხელს უწყობს ენის უნარის განვითარებას.

4. ტელევიზია

დადგინდა, რომ ტელევიზია სასარგებლოა როგორც განათლებისთვის, ისე მოსმენის უნარის განვითარებისთვის, სიტუაციური ენის შესწავლისას, მასმედიის ენის გაგებისთვის. სტუდენტების დიდ რაოდენობას შეუძლია ერთდროულად ისარგებლოს ტელევიზიის პროგრამებით. მრავალი უნივერსიტეტი ატარებს საგანმანათლებლო პროგრამებს ტელევიზიით დისტანციურად. ტელევიზია ძალიან დიდი მამოტივირებელია.

5. ინტერნეტი

დღეისათვის ინტერნეტი არის კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება. თანამედროვე ცხოვრებაში კომუნიკაციის უდიდესი ნაწილი ხდება ინტერნეტის საშუალებით. მან კომუნიკაციები ძალიან სწრაფი, მოსახერხებელი, ეკონომიკური და მიმზიდველი გახადა. ინტერნეტში კომუნიკაციის უამრავი საშუალებაა ხელმისაწვდომი. ასე მაგალითად:

(ა) სოციალური მედია: სოციალური მედია გახდა კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. პლატფორმა უზრუნველყოფს აზრებისა და იდეების გაზიარებას. სოციალური მედიის საშუალებით კეთდება ბლოგები. სტუდენტებს შეუძლიათ დაამატონ უცხოური ენის შემსწავლელი ჯგუფები და ისარგებლონ ინფორმაციის გაზიარებით. მასზე უამრავი სოციალური ქსელია ხელმისაწვდომი, როგორცაა Facebook, Twitter, Instagram და ა.შ. ეს ძალიან სასარგებლოა სიტუაციური ენის შესწავლაში.

(ბ) უცხოური ენის შემსწავლელი ონლაინ საშუალებები: ინტერნეტში ენის ცოდნის გასაუმჯობესებელი უამრავი ონლაინ საშუალებაა: სხვადასხვა ტიპის ელექტრონული სწავლება; ელექტრონული სახელმძღვანელო, ბიბლიოთეკა, ჟურნალი თუ წიგნები; ონლაინ ტრენინგი; ვირტუალური კლასები და ა.შ.

გ) მხატვრული ფილმები უცხოური ენის სწავლებაში: სხვადასხვა ტიპის ფილმების გამოყენებაც არის შესაძლებელი უცხოური ენის სწავლებაში. ისინი შეიძლება იყოს დოკუმენტური, საგანმანათლებლო და გასართობი. ფილმებმა შეიძლება გაზარდოს მოტივაციის დონე.

(დ) ენასთან დაკავშირებული ონლაინ კურსები: ეს კურსები ხელმისაწვდომია ინტერნეტში. ზოგი მათგანი უფასოა, ზოგიც ფასიანი. სტუდენტებს შეუძლიათ თანხა ჩარიცხონ ამ კურსებზე და ადვილად მიიღონ განათლება სახლიდან გაუსვლელად. მათ შეუძლიათ უყურონ ონლაინ და ოფლაინ ვიდეოებს ენის ცოდნის გაუმჯობესების მიზნით.

მეთოდოლოგია

კვლევა წარმოადგენს ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ედგარ დეილის თეორიის პრაქტიკულ გამოყენებას. კერძოდ, ონლაინ და მობილური სწავლების მაგალითზე უცხოური ენების სწავლას. შედარებულია პასიური და აქტიური სწავლის მეთოდები და გამოვლენილია მათ შორის უფრო ეფექტური.

მეორე ნაწილი ეხება ინტერვალური დამახსოვრების ტექნიკის პრაქტიკულ გამოყენებას უცხო ენების სწავლის მაგალითზე.

ორივე მეთოდის გამოსაყენებლად დაგვჭირდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება.

კვლევის შედეგების გამოვლენას ექვსი წლის მუშაობა და ათასობით ადამიანის მონაწილეობა დასჭირდა. მეთოდების ტესტირება მოხდა ორ სხვადასხვა პლატფორმაზე – teach.ge და Lingwing.com.

შემუშავებულია უცხო ენის შესწავლისას მასალის უკეთ დამახსოვრების ახლებური მექანიზმები; დიდი მონაცემების დამუშავების, მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მასალის ისე მიწოდება მომხმარებლისთვის, რომ მაქსიმალურად მარტივად და დიდი ხნით მოხდეს მისი დამახსოვრება.

ედგარ დეილის თეორია ამბობს, რომ რაც უფრო ჩართულია ადამიანი სწავლის პროცესში, მით უფრო კარგად იმახსოვრებს მასალას. მას მოყვანილი აქვს პასიური სწავლის ტიპი, როგორცაა მოსმენა, კითხვა, დანახვა, ყურება და მოსმენა. ის ამბობს, რომ ასეთი სწავლის დროს ადამიანი ბევრად უფრო ცუდად იმახსოვრებს მასალას, ვიდრე აქტიური სწავლის დროს, რომელიც გულისხმობს მასალის წარმოთქმას, წერას ან რაიმეს კეთებას. ეს თეორია 1946 წელს წარმოადგინა პროფესორმა დეილმა და მას შემდეგ ძალიან დიდი კრიტიკის და განხილვის საგანია, თუმცა პრაქტიკული კვლევა არ ჩატარებულა.

ამ თეორიის საფუძველზე ჩვენ ჩავატარეთ პრაქტიკული კვლევა უცხო ენის სწავლის მაგალითზე. საიტის ერთ ვერსიაში გამოვიყენეთ ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც შეესაბამებოდა პასიური სწავლის ტიპს. ესენი იყო სურათებით სწავლა, ტექსტის მოსმენა და წასაკითხი მასალა. მეორე ვერსიაში კი იგივე შინაარსის მასალა უკვე მოცემული იყო აქტიური სწავლების ტიპის შესაბამისი დავალებებით. ეს იყო წერა, რომელსაც ერთვოდა ასევე მოსმენა და საუბარი. დავალებები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და ხმის ამოცნობის გაუმჯობესებული ვერსიის მეშვეობით შევიმუშავეთ, რათა სწავლის პროცესი მაქსიმალურად ბუნებრივი ყოფილიყო და მომხმარებლები აქტიურ კომუნიკაციაში ყოფილიყვნენ კომპიუტერთან.

ყოველი გაკვეთილის შემდეგ, მეორე დღეს მოსწავლეებს ვაკეთებინებდით ტესტებს, სადაც უნდა გაეხსენებინათ ნასწავლი მასალა. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც აქტიური პრაქტიკით მეცადინეობდნენ, 60-70%-ით უფრო მეტი ახსოვდათ, ვიდრე მათ, ვინც პასიური სწავლებით მეცადინეობდნენ.

ამოცანა, რომელიც მოკლევადიანი დამახსოვრების პრობლემას გადაჭრიდა, აქტიური პრაქტიკით სწავლების მეთოდით გადაწყდა. თუმცა ეს არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მოსწავლეს მასალა დიდი ხნის მანძილზე დაემახსოვრებინა.

ამოცანის გადასაჭრელად ინტერვალური გამეორების ტექნიკა გამოვიყენეთ, თუმცა არააუთენტური სახით, რადგან, როგორც პრაქტიკიდან გამოვარკვიეთ, სხვადასხვა ასაკის და უნარების მომხმარებლებისთვის განსხვავდება ინტერვალების სიდიდე.

ინტერვალური გამეორება არის სწავლის ტექნიკა, რომელიც გულისხმობს მასალის გამეორებებს შორის ინტერვალების გაზრდას.

მაქსიმალური შედეგის მისაღწევად გამოვიყენეთ Big Data და Machine learning-ის თანამედროვე მიდგომები, რათა მასალის გამეორება არა განსაზღვრული ინტერვალების მიხედვით მომხდარიყო, არამედ რიგი გარემოებების გათვალისწინებით:

- იგივე უნარების შედეგების მქონე სხვა მომხმარებლის გამოცდილების გადმოტანა სხვა მომხმარებელზე;
- პერიოდების და სიხშირის გამოანგარიშება ყოველ დავალებაზე, რომელიც მომხმარებელმა გაიარა;
- სწორი და არასწორი პასუხების გამოვლენა და სუსტი წერტილების განსაზღვრა;
- გათვალისწინება იმისა, მომხმარებელმა საუბრით შეასრულა დავალება თუ წერით;

ყველა ამ ფაქტორის დამუშავების მიხედვით, თითოეული მომხმარებლისთვის დგება უნიკალური გეგმა, თუ როგორი სიხშირით და რა ინტერვალებით უნდა გაუმეორდეს მომხმარებელს მასალა, რომ მას მაქსიმალურად დიდი ხნის განმავლობაში არ დაავიწყდეს ნასწავლი.

შესაბამისად, კვლევის ბოლოს გავზომეთ ერთნაირი ინტერვალებით გამეორებული მასალის დამახსოვრების ხანგრძლივობა და დამუშავებული, ინტერვალური გამეორების შედეგად დამახსოვრების ხანგრძლივობა.

შედეგები

კვლევის შედეგების მიხედვით, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით მომხმარებლები აქტიური სწავლების შემთხვევაში მასალას 60-70%-ით უფრო კარგად იმახსოვრებენ, ვიდრე პასიური სწავლების დროს, რომელიც გამოიყენება სხვა ონლაინ სწავლების პლატფორმებზე ან ტრადიციული სწავლებისას. ინტერვალური გამეორების მეშვეობით კი მომხმარებელს 40-50%-ით უფრო დიდხანს ამახსოვრდება მასალა, რომლის დანერგვაც ასევე ტექნოლოგიების გამოყენებით არის შესაძლებელი.

Improving the study of a foreign language with the help of information and communication technologies

Vakhtang Veliashvili, Ekaterina Chikashua

Summary

Over the past two decades, the integration of information and communication technologies has become a major interest in the study of foreign languages. The results of the research show the positive effects of using information and communication technologies in student teaching process. Information and communication technologies can be considered as a new model of learning and teaching. The purpose of this research is to show the benefits of applying technology in the field of language learning. And also, various examples of foreign language teaching by using information and communication technologies are presented. The research is based on data obtained from the Georgian platform “Lingwing” and on the achieved results.

Улучшение изучения иностранного языка с помощью информационных и коммуникационных технологий

Вахтанг Велиашвили, Екатерина Чикашуга

Резюме

В последние два десятилетия интегрирование информационных и коммуникационные технологии стали основным интересом в сфере изучения иностранных языков. Результаты исследования показывают положительные эффекты применения информационных и коммуникационных технологии при обучении студентов. Информационные и коммуникационные технологии можно считать новой моделью изучения и обучения. Целью этого исследования является рассмотрение преимущества применения технологии в сфере изучения языков. А так же, приведены разные примеры обучения иностранного языка с помощью информационных и коммуникационных технологии. Исследование основано на данных полученных с грузинской платформы Lingwing и на достигнутых результатах.

ლიტერატურა – References – Литература

1. Altun, M. (2015). The integration of technology into foreign language teaching. International Journal on New Trends in Education and Their Implications. 6(1). 22-27.
2. Asabere, N. Y. & Enguah, S. E. (2012). Integration of expert systems in mobile learning. International. Journal of Information and Communication Technology Research, 2 (1), 55–61.
3. Hornby, A. S., et al. (Eds.) (2002) : Oxford Advanced Learner's Dictionary. New Delhi: Oxford university press.
4. Koul, L. (2010) Methodology of Educational Research. Noida: Vikash Publish House.
5. Kumar, D. P. (2009) The Importance of English Language.

სსმზს

MEMORY

ПАМЯТЬ

თამაზ ტროყაშვილი



შრომათა კრებული უკვე მზად იყო გამოსაცემად, როდესაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი თანამშრომელი გამოაკლდა. გარდაიცვალა ინსტიტუტის მართვის პროცესებისა და მოწყობილობების განყოფილების უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ინსტიტუტის შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა

კანდიდატი თამაზ ტროყაშვილი.

ბატონი თამაზი დაიბადა 1939 წელს. საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1962 წელს ბატონმა თამაზმა მუშაობა დაიწყო მართვის სისტემების ინსტიტუტის (მაშინდელი ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი) ავტომატური მართვისა და რეგულირების განყოფილებაში ტექნიკოსად. 1963-1964 წლებში იგი მუშაობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად თვითაწყობადი სისტემების განყოფილებაში.

ბატონი თამაზი 1964-1968 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში ქ. მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტში. 1970 წელს ამავე ინსტიტუტში მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1974 წლიდან ბატონი თამაზი ხელმძღვანელობდა თვითაწყობადი სისტემების ლაბორატორიას, 1977 წლიდან 2006 წლამდე კი ამავე დასახელების განყოფილებას. 2006 წლიდან იგი იყო მართვის სისტემების, მოდელირებისა და კომპიუტერული გრაფიკის განყოფილების გამგე. 2019 წლიდან განყოფილებას სახელი შეეცვალა და გარდაცვალებამდე ბატონი თამაზი მართვის პროცესებისა და მოწყობილობების განყოფილების უფროსი იყო.

ბატონ თამაზ ტროყაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო ძირითადად მოიცავდა სხვადასხვა სიმძლავრის ჰესებისათვის სიხშირისა და ძაბვის რეგულატორების პროექტირების საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა და აიგო ჰიდროაგრეგატის სიხშირის რეგულატორების მართვის მოწყობილობების სადემონსტრაციო მოდელი. ბატონი თამაზი იყო ექსპერტ-კონსულტანტი ჰესების ელექტრულ ნაწილში.

ბატონი თამაზი მრავალმხრივი ადამიანი იყო. ბოლო წლებში იგი გატაცებული იყო ქართული ანბანის გრაფიკული ნიშნებით. მან ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული კვლევები ჩაატარა და საკუთარი ვერსიაც გამოაქვეყნა.

ბატონმა თამაზმა შექმნა მუსიკალური ინსტრუმენტების ასაწყობი უნივერსალური მოწყობილობა, რომელიც რამდენიმე გამოფენაზე იყო წარდგენილი.

ბატონ თამაზს გამოქვეყნებული აქვს 57 სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს 17 საავტორო მოწმობა, მათგან 9 გამოგონება დანერგილია. იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა სამეცნიერო გრანტები.

ბატონი თამაზი უაღრესად კეთილშობილი, პრინციპული, გულისხმიერი და ღირსეული ადამიანი იყო. იგი ძალიან დააკლდება ინსტიტუტს, ოჯახს, მეგობრებს. მართვის სისტემების ინსტიტუტის თანმშრომლები მუდამ დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენებენ ბატონ თამაზ ტროყაშვილს.